

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №1

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ნასყიდობა	
მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება	4; 11
2. ქირავნობა	
ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება	20
3. იჯარა	
ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი	33
ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისას	44
4. სესხი	
სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა	56
5. ნარდობა	
ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო	72
საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის	83
6. მიბარება	
მიბარებული ნივთის დაკავების უფლება	98
7. დაზღვევა	
სიცოცხლის დაზღვევა	127
8. საბანკო მომსახურება	
ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა	142
საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას	154
საბანკო გარანტიით გაცემული შესრულების უკან დაბრუნების შეუძლებლობა	166
გარანტიის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან	177

1. ნასყიდობა

მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედის უფლება

განმცხადებელი საქართველოს სახელმწიფო

№ას-946-2019

21 ივლისი 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ნასყიდობის ხელშეკრულებით
გაუქმება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ს.-ძესა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან მყიდველი) და სს „თ. ლ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, კასატორი ან გამყიდველი) შორის 2015 წლის 5 თებერვალს დაიდო წერილობითი შეთანხმება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შეთანხმება ან ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც, მოპასუხემ მოსარჩელის მიერ – 42 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის შემდეგ, იკისრა ვალდებულება, ამ უკანასკნელისათვის საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ... მდებარე ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შემდეგი ავტოსადგომები: №59, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №...; №60, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №...; №61, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №...; №65, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №...; №66, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №...; №67, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №... და №68, 12.5 კვ.მ – საკადასტრო კოდით №... (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც სადავო ქონება ან სადავო ავტოსადგომები).

2. მოსარჩელემ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, თანხა სრულად გადაიხადა და ის საჯარო რეესტრში აღირიცხა შეთანხმების საგნის მესაკუთრედ, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ გადაცემული საგნის ფაქტობრივი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

3. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით 2015 წლის 9 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ თან-

ხის დაკისრების, ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა და ნასყიდობის საფასური სრულად გადაიხადა. მართალია, გარიგების დადებამდე ადგილზე დაათვალიერა ავტოსადგომები და არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი გეგმა, მაგრამ ხელშეკრულებიდან გასვლასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, გარიგების დადების შემდეგ ნასყიდობის საგანზე იმგვარი ნაკლის გამოვლენის საფუძვლით ითხოვს, რაც ნივთს გარიგების დადებამდე ჰქონდა, თუმცა, მიუხედავად ნივთის შემოწმებისა, გარიგების დადების დროს მისთვის უცნობი იყო თავისუფალ სივრცეში, მხოლოდ ბოძებით ერთმანეთისგან გამოყოფილი ავტოსადგომების ზუსტი მახასიათებლების შესახებ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ გეგმაზე ასახული არ შეესაბამებოდა რეალობას, გამოვლენილი ნაკლი აბრკოლებდა ნასყიდობის საგნებით დანიშნულებისამებრ სარგებლობას, სახელდობრ, მოსარჩელის ფართში შეჭრილი იყო მეზობლის №62, №63, №64 და №69 ავტოსადგომები, რის გამოც პარკირება შეუძლებელი იყო.

4. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო; ის ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და მყიდველს გადასცა უფლებრივად უნაკლო ნივთები.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა; სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 477-ე, 488-ე, 490-ე, 491-ე, 352-ე და 492-ე მუხლები გამოიყენა.

6. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; სადავო ქონება მოპასუხის სახელზე აღირიცხა; მოპასუხეს 42 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

7.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი ნაკლის მქონე იყო, რაც გარიგების დადების შემდეგ გამოვლინდა. მოსარჩელეს კი, გონივრული წინდახედულობის ფარგლებ-

ში არ შეიძლება, სცოდნოდა სადავო ფაქტის (რეგისტრირებული და ფაქტობრივი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა) შესახებ, რაც, საბოლოოდ, შეუძლებელს ხდიდა ნასყიდობის საგნის და ნიშნულებისამებრ გამოყენებას.

8. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა.

8.1. კასატორის მტკიცებით, არასწორია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა ნაკლიანი ნივთის მიწოდებასთან დაკავშირებით, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით დადგენილია, რომ თითოეული ავტოფარეხი 12.5 კვ.მ-ია, რეგისტრირებული მონაცემების მიმართ კი, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

8.2. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია მოსარჩელის მხრიდან ქონების დათვალიერებისა და ნასყიდობის საგნებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მყიდველისათვის წარდგენის ფაქტები, თუმცა გადაცემული ქონება მაინც ნაკლიან ნივთად ცნო. მოსარჩელისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თითოეული ავტოსადგომის ფართი არ შეადგენდა 12,5 კვ.მ-ს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასა-

ბუთებული პრეტენზია (შედავება).

11. განსახილველ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და თანხის დაკისრების მოთხოვნა სსკ-ის 477.1-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი), 487-ე (გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი), 488.1 (ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის) 488.2-ე (ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე), 491.1-ე (მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით) და 352.1-ე (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას, სახელდობრ, მხარეთა შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, ნასყიდობის საგნის საფასური სრულად გადაიხადა. კასატორის მხრიდან კი, დასტურდება ძირითადი ვალდებულების დარღვევა, მან სსკ-ის 487-ე და 488-ე მუხლების ფარგლებში განახორციელა ნივთობრივი ნაკლის მქონე შესრულება, სახელდობრ, გადაცემული უძრავი ქონების ფაქტობრივი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები ერთმანეთს არ დაემთხვა, რის გამოც, მოსარჩელე ვერ დაეუფლა ნასყიდობის საგანს. ამრიგად, რადგანაც სახეზეა გამყიდველის (მოპასუხის) მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა – ისეთი ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის გადაცემა, რომელიც გარიგების დადების შემდეგ გამოვლინდა, რაც შეუძლებელს ხდის ნასყიდობის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას – მოსარჩელეს უფლება აქვს სსკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოითხოვოს ხელშეკ-

რულების მოშლა.

13. საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სათანადოდ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის რეალიზება და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით (ფაქტების კონსტატაციის ოქმით) დაადასტურა, რომ მოპასუხემ განახორციელა ნივთობრივი ნაკლის მქონე შესრულება, კერძოდ, ნასყიდობის საგნის ანუ ავტოსადგომების ფაქტობრივი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები ერთმანეთს არ დაემთხვა, ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს/კასატორს, გარდა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე მითითებისა, არ წარმოუდგენია, შესაბამისად, მან დაკისრებული მტკიცების ტვირთის წარმატებული რეალიზება ვერ შეძლო. მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 12 იანვარს გამართულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თითოეული ავტოსადგომი 12.5 კვ.მ არ იყო და ნახაზი არასწორად იქნა შედგენილი, აქედან გამომდინარე, არსებობდა ნივთობრივი ნაკლი (სსკ-ის 488.2 მუხლი).

14. რაც შეეხება კასატორის მსჯელობას, რომ მყიდველმა იცოდა, იმის შესახებ, რომ თითოეული ავტოსადგომის ფართი 12,5 კვ.მ არ იყო და ამას ის დაეთანხმა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მოპასუხის ყურადღებას მიაქცევს ნასყიდობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოობის შესახებ შეთანხმების შინაარსზე, რომელიც ავტოსადგომების რეგისტრირებული და ფაქტობრივი მონაცემების არათანხვედნილობის გამო პრეტენზიის წარუდგენლობის თაობაზე მითითებას არ შეიცავს, შესაბამისად, მისი ეს პრეტენზიაც დაუსაბუთებელია.

15. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნას მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათი აქვს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი, მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე მუხლები). ხელშეკრულებიდან გასვლის – როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება, დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალური შეიძლება გულისხმობდეს სახელ-

შეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო ფორმალური – დამატებითი ვადის დაწესებასა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებას. განსახილველ შემთხვევაში, გამოვლინდა სსკ-ის 405.2 (არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის, სახელდობრ, დადგენილია, რომ ნასყიდობის საგანი ანუ თითოეული ავტოსადგომი 12.5 კვ.მ არ არის, ასევე, გამყიდველმა მიუთითა, რომ გარდა სადავო ქონებისა, სხვა ავტოფარეხები საკუთრებაში არ აქვს, შესაბამისად, ვერც ნივთის ნაკლის გამოსწორებას შეძლებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებითი ვადის დაწესება უშედეგოა და მოსარჩელეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გადაცემული თანხის უკან დაბრუნებით (მდრ, სუსგ. №ას-294-2019, 30.09.2019).

16. გარდა ამისა, განსახილველ დავაზე, როგორც უკვე აღინიშნა მოსარჩელე ითხოვს გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ვალდებულების დარღვევისას, 352-405 მუხლების წინაპირობების არსებობისას ხორციელდება. სსკ-ის 352.1 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შედეგს. იგი გამოიხატება მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მხოლოდ ნასყიდობის საფასურის დაბრუნებას ითხოვს, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე მოითხოვდა (სსსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლები). სხვა საკითხია მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება, რაც სასამართლოს ვალდებულებაა.

17. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და თანხის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და მართებულად დაკმაყოფილდა.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დე-

ტალური პასუხის გაცემად (იხ. Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, პარ. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

19. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებული დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

20. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 408.1, 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ. ლ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-444-444-2018

30 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 7 მაისს მ. გ-იამ (შემდეგში – მოსარჩელე, მყიდველი) ქ.ქუთაისში, ელექტროტექნიკის მაღაზიაში შპს „თ-ი“-სგან (შემდეგში – პირველი მოპასუხე, პირველი კასატორი, გამყიდველი), გადახდის განვადებით, 2148 ლარად შეიძინა „სონის“ ტელევიზორი, საგარანტიო ვადად განისაზღვრა 24 თვე. მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა ხელშეკრულებით შეთანხმებული საფასური – 2148 ლარი.

2. ტელევიზორის შეძენიდან მეორე დღეს, პროგრამული გაუმართაობის გამო (ტელევიზორი ვერ უკავშირდებოდა ინტერნეტ საიტებს) მოსარჩელემ მიმართა მაღაზიას, სადაც უზრუნველყვეს ტელევიზორის პროგრამული განახლება. შეძენიდან მე-18 დღეს ტელევიზორს კვლავ აღმოაჩნდა ხარვეზი, კერძოდ, ეკრანზე გაუჩნდა ორი ვერტიკალური წერილი წითელი ხაზი, რის გამოც მოსარჩელემ ტელევიზორი დიაგნოსტიკისა და შეკეთებისთვის საგარანტიო სერვისის ფარგლებში შპს „მ. ს-ი“ (შემდეგში – მეორე მოპასუხე, მეორე კასატორი, სერვის ცენტრი) წარადგინა. სერვის ცენტრმა მყიდველს უარი უთხრა საგარანტიო მომსახურების გაწევაზე, ვინაიდან ტელევიზორს აღენიშნებოდა მექანიკური დაზიანება და არ ექვემდებარებოდა საგარანტიო მომსახურებას.

3. 2016 წლის 4 ივნისს მყიდველმა დაზიანებული ნივთის ახლით შეცვლა მოითხოვა, რაზედაც მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ნივთს აღენიშნებოდა მექანიკური დაზიანება.

4. სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 31 აგვისტოს №005113616 დასკვნის თანახმად და სასამართლოზე გამოკითხული ექსპერტის ჩვენებით, დადგენილია, რომ: 1) ექსპერტიზაზე წარდგენილი ტელევიზორის

თხევადკრისტალურ ეკრანს არ აღენიშნებოდა რაიმე მექანიკური დაზიანება. თხევად კრისტალური ეკრანის დაზიანების მიზეზი იყო მისი ქარხნული წუნი, რომელიც არ ექვემდებარებოდა აღდგენას. არსებულ ვითარებაში ტელევიზორი უფარგისი იყო შემდგომი გამოყენებისათვის, 2) ტელევიზორის გვერდებიდან, 2სმ-ის დაშორებით, ვერტიკალური ხაზის გაჩენის მიზეზი არ იყო დაკავშირებული კედელზე მისი დაკიდების პროცედურასთან, 3) ტელევიზორის თხევადკრისტალურ ეკრანზე, გვერდებიდან თანაბარი მანძილებით დაშორებული, ორი ვერტიკალური ხაზის გაჩენა არ იყო ეკრანის მექანიკური დაზიანების შედეგი, არამედ ეს იყო თხევადკრისტალური ეკრანის ქარხნული წუნი.

5. 2016 წლის 25 ოქტომბერს მყიდველმა სარჩელით მიმართა სასამართლოს გამყიდველისა და სერვის ცენტრის წინააღმდეგ და მის მიერ ტელევიზორის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნება მოითხოვა.

6. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარდგენით უარყვეს სარჩელის საფუძვლიანობა. მოპასუხეთა მტკიცებით, მოსარჩელემ მაღაზიიდან უნაკლო ნივთი წაიღო და ისინი არ იყვნენ ვალდებული, აენაზღაურებინათ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა. მათი მოსაზრებით, დეფექტის გამოვლენა ტელევიზორის ეკრანზე შეძენიდან მე-18 დღეს არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ქარხნულ წუნად.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ 2148 ლარის ანაზღაურება დაეკისრათ.

8. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, რომლებმაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გაცემული საგარანტიო ფურცელი ითვალისწინებდა ნაკლის მქონე ნივთის გამყიდველის მიერ შეკეთების ვალდებულებას, საგარანტიო ფურცელში მითითებული გარემოებების არსებობისას. პალატის განსჯით, გარანტიის გამცემმა პირმა ვერ დაადასტურა, რომ წარმოშობილი დაზიანება არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს და გარანტიის გამცემს არ გააჩნდა დაზიანების აღმოფხვრის ვალდებულება. შესაბამისად, პალატის დასკვნით, გამყიდველი ვალდებული იყო შეეკეთებინა წარდგენილი ნივთი, თუმცა მან ეს ვალდე-

ბულება არ შეასრულა. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ წარმოშობილი დაზიანება არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს და გარანტიის გამცემს არ გააჩნდა დაზიანების აღმოფხვრის ვალდებულება, პალატის განმარტებით, ეკისრებოდა სწორედ საგარანტიო ფურცლის გამცემს, ანუ გამყიდველს, რომელმაც ამ საპროცესო ვალდებულებას თავი ვერ გაართვა.

11. აღნიშნული განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11.1. კასატორთა მტკიცებით, სასამართლომ გაიზიარა დაუსაბუთებელი ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარებული იყო არაკომპეტენტური ექსპერტის მიერ, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს საქმეზე წარმოდგენილი ჰქონდა სონის ავტორიზებული ცენტრის მიერ გაცემული დასკვნა, სადაც მითითებული იყო ტელევიზორის ეკრანის მექანიკურ დაზიანებაზე, ეკრანის შიდა ბზარებზე, რაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შემდგენელ ექსპერტს არ შეუმჩნევია.

11.2. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტი, რომ სადავო ტელევიზორის დაზიანება გამოწვეულია ქარხნული წუნით, ვინაიდან, ეკრანზე მექანიკური დაზიანების შედეგად ზედა მარცხენა კუთხეში ფიქსირდება ბზარი, რომელიც გაშლილია და ტელევიზორის ეკრანზე აღინიშნება ნაკანრები. ამავდროულად, კასატორის განმარტებით, ქარხნული წუნი ნაკლის ისეთი სახეა, რომელიც ვლინდება მყისიერად და, ამდენად, ნივთის შეძენიდან 18 დღის შემდეგ ტელევიზორის ეკრანზე ხაზების გაჩენა არ შეიძლება შეფასდეს ქარხნულ წუნად.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მეორე მოპასუხის მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირველი მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

13. მოსარჩელის განმარტებით, გამყიდველმა მას მიჰყიდა ნაკ-

ლიანი ნივთი. საგარანტიო პირობების შესაბამისად, მყიდველმა გამყიდველს მოსთხოვა ნივთის ნაკლის გამოსწორება, შემდეგ კი, ნაკლიანი ნივთის ახლით შეცვლა, რაკი მისი შეკეთება შეუძლებელი იყო. გამყიდველმა უარი განაცხადა როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნაკლიანი ნივთის ახლით შეცვლაზე. ამის შემდეგ მყიდველმა გამყიდველს მოსთხოვა ნასყიდობის საფასურის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 477-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი; მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება; თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება, შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე), 487-ე (გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი), 491.1 (მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით.), 405.1 (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი) და 352.1 (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) მუხლები).

14. ნასყიდობის ხელშეკრულება კონსენსუალურ გარიგებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც კონტრაჰენტი პირებისთვის სამართლებრივ შედეგებს სახელშეკრულებო შეთანხმების მიღწევის მომენტიდან წარმოშობს. ნასყიდობის ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი შემძენისათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემაა. ამ მოთხოვნის უგულებელყოფა გამყიდველისათვის ნასყიდობის ხელ-

შეკრულების მომწესრიგებელი საკანონმდებლო დანაწესით (სსკ-ის 490-ე-494-ე მუხლებით) განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნის. კანონიდან გამომდინარე, ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი შესრულება (სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში). დამატებითი შესრულების მოთხოვნა უპირატესია სხვა მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით (იგულისხმება სსკ-ის 477-ე და 492-ე მუხლები – ფასის შემცირება; სსკ-ის 477-ე, 487-ე, 491-ე, 405.1-ე და 352.1-ე მუხლები – ხელშეკრულებიდან გასვლა; 477-ე, 494.1-ე, 394.1-ე და 408.1-ე მუხლები – ზიანის ანაზღაურება ან 477-ე, 487-ე, 491-ე, 405-ე, 352-ე, 494.1-ე, 394.1-ე, 407-ე მუხლები – ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება კუმულირებულად). იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ შეასრულებს დამატებითი შესრულების მოთხოვნას, მყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასის უკან დაბრუნება. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი ნივთის გადაცემისას განსაზღვრავს ნივთის ვარგისიანობის ვადას (საგარანტიო ვადა), მისი ვალდებულება უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ განსაზღვრული დროითაა შემოფარგლული და ეს აისახება მისი პასუხისმგებლობის თავისებურებაზეც. სამოქალაქო კოდექსის 496-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი ნივთის გარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას (შდრ. სუსგ. საქმე №ას-1020-963-2015, 25 ნოემბერი, 2015 წელი).

15. განსახილველ შემთხვევაში, საგარანტიო ვადაში, მყიდველმა გამყიდველს ჯერ ნივთის ნაკლის აღმოფხვრის (ტელევიზორის შეკეთების), ხოლო შემდგომ ნაკლიანი ნივთის შეცვლის მოთხოვნით მიმართა, თუმცა გამყიდველისგან როგორც ნაკლის აღმოფხვრის, ასევე ნაკლის მქონე ნივთის შეცვლაზე უარი მიიღო. ამდენად, რაკი გამყიდველმა დამატებით შესრულებაზე უარი თქვა, მყიდველს ხელშეკრულების მოშლისა და გამყიდველის მიერ მიღებული შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა. ამასთან, ეს მოთხოვნა წარმატებული იქნება, თუ მყიდველი დაამტკიცებს, რომ გამყიდველმა მას ნაკლიანი ნივთი გადასცა. ამ გარემოების დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ნივთის ქარხნულ წუნზე (იხ. ამ გაჩინების პ.4). მითითებული ექსპერ-

ტიზის დასკვნის გაქარწყლება მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა, თუმცა მან ვერ შეძლო ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც ზემოხსენებულ დასკვნას დაუპირისპირებოდა. მართალია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი /მტკიცებულების საპირისპიროდ მოპასუხე მიუთითებს შპს „ლ-ოს“ მიერ 0 „შედგენილ დეფექტურ აქტზე, მაგრამ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს აქტი ვერ აქარწყლებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ ფაქტებს. კერძოდ, ე.წ. დეფექტური აქტი არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას დასკვნის შედგენის თარიღის, დასკვნის გამცემი პირის სამართლებრივი სტატუსისა და ტელევიზორის შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე. საგულისხმოა ისიც, რომ თავად მეორე მოპასუხის მიერ გაცემული 2017 წლის 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ შესაკეთებლად ნივთის მეორე მოპასუხისათვის გადაცემის მომენტში და ნივთის უკან დაბრუნების დროს ნასყიდობის საგნის მდგომარეობა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, კერძოდ, მყიდველმა ნივთი უკან ჩაიბარა სრულიად უფუნქციო მდგომარეობაში, მაშინ როდესაც მან სერვის ცენტრში ნივთი მიიტანა მუშა მდგომარეობაში, რომელსაც ჩართვისას ეკრანზე კიდევბში აღენიშნებოდა ორი ვერტიკალური წითელი ხაზი. დეფექტური აქტიდან კი არ დგინდება, თუ რა მდგომარეობაში გადაეცა ტელევიზორი შესაბამის ავტორიზებულ სერვის ცენტრს და გამოიტანა თუ არა სპეციალისტმა დასკვნა ტელევიზორის დაზიანების წარმომავლობის თაობაზე. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ ეთანხმებოდა საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, მას შეეძლო თავად უზრუნველყო ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება ან სასამართლოსათვის მიემართა შესაბამისი შუამდგომლობით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს ამ საპროცესო უფლებებით არ უსარგებლია.

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე, რომლის ფარგლებში მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებო-

ბა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალუბა სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით დაადასტურა გამყიდველის მიერ ნაკლიანი შესრულების, კერძოდ, მყიდველისათვის ნივთობრივად ნაკლიანი ნივთის გადაცემის ფაქტი. ეს გარემოება მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ გააქარწყლა.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაკი გამყიდველმა დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, მყიდველს მიაწოდა ნაკლიანი ნივთი, ამასთან, საქმის მასალებით იკვეთება, რომ გამყიდველმა მყიდველს უარი უთხრა, როგორც ნაკლის აღმოფხვრაზე, ასევე ნაკლიანი ნივთის ახლით შეცვლაზე, მყიდველს წარმოეშვა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რაც მან მართლზომიერად განახორციელა. ამასთან, საქმის მასალებით არ იკვეთება ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა (სსკ-ის 405.3 მუხლი). შესაბამისად, სსკ-ის 352.1 მუხლის საფუძველზე, გამყიდველი (რესტიტუციის მოვალე) ვალდებულია, მყიდველს (რესტიტუციის კრედიტორს) დაუბრუნოს ტელევიზორის შესაძენად გადახდილი თანხა.

18. ამდენად, პირველი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია. კერძოდ, ამ გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება. შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას) მუხლის საფუძველზე, პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

19. მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებითა და საგარანტიო ტალონით ირკვევა, რომ

ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების, მათ შორის, საგარანტიო პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა იკისრა პირველმა მოპასუხემ. შესაბამისად, სწორედ ის იმყოფება სახელშეკრულებო ბოჭვაში მყიდველთან და ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე პასუხისმგებელი პირიც ისაა. ცხადია, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების სამართლებრივ შედეგებზეც ის აგებს პასუხს. რაც შეეხება მეორე მოპასუხეს, ის სახელშეკრულებო ბოჭვაში არ იმყოფება მყიდველთან. მას პირველი მოპასუხე იყენებს მყიდველის წინაშე საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად. კერძოდ, საგარანტიო პირობების მიხედვით, გამყიდველი ვალდებულია, აღმოფხვრას ნივთის ნაკლი, რომელიც მყიდველის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ ვალდებულების შესასრულებლად გამყიდველი იყენებს ნასყიდობის საგნის შეკეთებაზე სპეციალიზებულ იურიდიულ პირს, რაც არ ცვლის იმ სამართლებრივ სურათს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად რჩება გამყიდველი და არა ის პირი, რომელსაც გამყიდველი საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს. უფრო მეტიც, გამყიდველი თავად ამ პირის მოქმედებისთვისაც ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის (სსკ-ის 396-ე მუხლი). გარდა ამისა, მეორე მოპასუხე ვერ იქნება სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული რესტიტუციის მოვალე, რადგან, ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მას მყიდველისგან რაიმე შესრულება არ მიუღია და, ცხადია, ვერც იმას დააბრუნებს, რაც არ მიუღია. აქედან გამომდინარე, მეორე მოპასუხისათვის, პირველ მოპასუხესთან ერთად, სადავო თანხის სოლიდარულად დაკისრება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, გადანყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სსკ-ის 394. „ე“ მუხლის მიხედვით, მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთან, რაკი არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა), საკასაციო პალატა, სსკ-ის 411-ე მუხლის (საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები) მიხედვით, უფლებამოსილია თავად მიიღოს ამ საქმეზე ახალი გადანყვეტილება. კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 დე-

კემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტები – მეორე მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2148 ლარის, ასევე წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღოს ხარჯის – 85.92 ლარის, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით განუღოს ხარჯის – 60 ლარისა და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯის – 100 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით არ უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი მეორე მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 408.3-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „მ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტები – შპს „მ.ს-ისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ 2148 ლარის, ასევე წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღოს ხარჯის – 85,92 ლარის, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით განუღოს ხარჯის – 60 ლარისა და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯის – 100 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. გ-იას სარჩელი, მის სასარგებლოდ, შპს „მ. ს-ისათვის“ 2148 ლარის, ასევე წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღოს ხარჯის – 85,92 ლარის, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით განუღოს ხარჯის – 60 ლარისა და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯის – 100 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ქირაველობა

ნივთზე განთავსებული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ას-301-301-2018

14 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

მ. ტ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „მოიჯარე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „კასატორი“) მიმართ. მოსარჩელის განმარტებით, 27.01.2005 წელს მას და ქალაქ რუსთავის მთავრობას შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულება და განისაზღვრა ქირის ოდენობა. ხელშეკრულების 6.4. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მიეთითა, რომ იჯარა გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც. მოსარჩელემ იჯარით/აღნაგობით აღებული მიწის ნაკვეთზე შეადგინა კვების ობიექტის მშენებლობის პროექტი, რომელიც შეთანხმდა რუსთავის მერიის არქიტექტურის სამსახურთან. 24.04.2012 წელს გაიცა ახალი პროექტისათვის სამშენებლო ნებართვა. 09.10.2012 წელს ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის №3886 ბრძანებით ობიექტი აღიარებულ იქნა ვარგისად. 27.01.2015 წელს ამოიწურა ხელშეკრულების ვადა. მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა არ აუნაზღაურებია, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვიტა, გაესხვისებინა პავილიონი და 04.08.2015 წელს დანიშნა აუქციონი. მოსარჩელე იძულებული გახდა, გამოესყიდა თავისივე აშენებული პავილიონი. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა საკუთარი ხარჯებით აღმართული ნაგებობის ღირებულების (19 000 ლარი) ორი მესამედის, კერ-

ძოდ, 12 667 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იყო იჯარის და არა აღნაგობის ხელშეკრულება. აღნაგობის ხელშეკრულება დადებულია, რომ იქნეს მიჩნეული, იგი იურიდიულ შედეგს ვერ წარმოშობს, ვინაიდან მისი სავალდებულო რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ მომხდარა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.07.2017 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 667 ლარის გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „სპეციალური კანონი“) პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იჯარა გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც; 27.01.2005 წელს საიჯარო ქონებაზე ქალაქ რუსთავის მთავრობასა და მოსარჩელეს შორის 10 წლის ვადით სანოტარო წესით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა ყოველწლიური ქირა და ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში; მოსარჩელემ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთარი სახსრებით ააშენა ნაგებობა და ხელშეკრულების ვადის გასვლის დროს მოპასუხეს მისთვის კომპენსაცია არ გადაუხდია, – მოსარჩელეს, როგორც აღნაგობის უფლების მქონეს, გააჩნდა ნაგებობის ღირებულების ორი მესამედის მოთხოვნის უფლება.

4. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნა- წილი და საფუძვლები:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.01.2018 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. განჩინება ეფუძნება შემდეგს:

5.1. „ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე აუქციონის წესით საკუთრებაში ან სარგებლობაში გასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქ. რუსთავის მთავრობის

04.11.2004 წლის №234 დადგენილებით დამტკიცდა საკუთრებაში ან სარგებლობაში გასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხისა და პირობების თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო-სააუქციონო კომისიის სათანადო სამსახურებთან შეთანხმებული გადანყვეტილება (29.10.2004 წელი, ოქმი №200). დადგენილების დანართით გათვალისწინებული იყო ქ. რუსთავში,№1 სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (შემდეგში „საიჯარო ქონება“) 10-წლიანი იჯარით გაცემა აუქციონის წესით. ამავე დანართის მიხედვით, საიჯარო ქონების გამოყენების ფორმა (მიზნობრიობა) იყო მსუბუქი კონსტრუქციების პავილიონის მოწყობა. ქალაქ რუსთავის მთავრობის 24.12.2004 წლის №282 დადგენილებით აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა მოსარჩელე.

5.2. 27.01.2005 წელს საიჯარო ქონებაზე ქალაქ რუსთავის მთავრობასა და მოსარჩელეს შორის 10 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების 4.4 პუნქტით დადგინდა ყოველწლიური საიჯარო ქირა. 6.3 პუნქტით განისაზღვრა მოიჯარის უფლებები და ერთ-ერთ ქვეპუნქტად მიეთითა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იჯარა გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც სპეციალური კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5.3. 27.01.2005 წლის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა იჯარის უფლება, ამონაწერში მეიჯარედ მითითებულია სახელმწიფო, ხოლო მოიჯარედ – მოსარჩელე. ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 24.04.2012 წლის და 12.07.2012 წლის №3396 ბრძანებების საფუძველზე, საიჯარო ქონებაზე სავაჭრო პავილიონის მოწყობის მიზნით, მოიჯარის სახელზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

5.4. ქალაქ რუსთავის საკრებულომ 09.10.2012 წლის №3886 ბრძანებით, მერიის ზედამხედველობის სამსახურის 03.09.2012 წლის №2233 ოქმის საფუძველზე, ვარგისად აღიარა მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებაზე სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.

5.5. 27.01.2005 წლის ხელშეკრულების 6.3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აღნაგობის უფლება“ და ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წელს აშენებულ ნაგებობაზე საკუთრების უფლება მოსარჩელის სახელზე საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 234-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

5.6. 27.01.2005 წლის იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, საიჯარო ქონება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარის მიერ აღმართული ნაგებობა მოპასუხემ გაასხვისა

აუქციონის წესით, კერძოდ, 18.08.2015 წელს გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე, რომელმაც შეიძინა ქალაქ რუსთავეში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რის შემდეგ მასთან 25.09.2015 წელს გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება №2015080356620.

5.7. მოსარჩელე, როგორც აღნაგობის უფლების მქონე პირი, სარჩელით ითხოვდა 12 667 ლარის ანაზღაურებას, რაც იყო საიჯარო ქონებაზე მისი ხარჯებით აღმართული ნაგებობის ღირებულების (19 000 ლარი) ორი მესამედი (სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ უმთავრესი საფუძვლით, რომ აღნაგობის უფლება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული და ამდენად, იგი ვერ მიიჩნეოდა წარმოშობილად. მოპასუხეს სადავო ნაგებობის მოსარჩელის მიერ საკუთარი ხარჯებით აღმართვის ფაქტი, ასევე, მისი ღირებულება, სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ამ ახალ ფაქტებს სააპელაციო სასამართლო ვერ მიიღებს.

5.8. სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, ეს სასამართლოს კომპეტენციაა და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს იჯარის და არა აღნაგობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით.

5.9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 233-ე, 234-ე, 183-ე მუხლებზე და განმარტა, რომ აღნაგობის უფლების, ისევე, როგორც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია, გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. იმ ვითარებაში, როდესაც უდავოა დადგენილი, რომ არც აღნაგობის უფლება და არც ხელშეკრულების ფარგლებში 2012 წელს აშენებულ ნაგებობაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა, აღნაგობის უფლება, ისევე, როგორც აღნაგობიდან ნაწარმოები ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ვერ მიიჩნევა წარმოშობილად. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, სწორედ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მინის ნაკვეთით სარგებლო-

ბის უფლებაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და არა აღნაგობის სანივთო უფლება. ხელშეკრულების 6.3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აღნაგობის უფლება“, სამართლებრივი დატვირთვით, არა სანივთო უფლების, არამედ იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთიდან სარგებლის მიღების მიზნით, მასზე მსუბუქი კონსტრუქციების სავაჭრო პავილიონის მოწყობის უფლების წარმოშობას ნიშნავდა.

5.10. მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი 27.01.2005 წლის ხელშეკრულებაა, რომელიც სამართლებრივი ბუნებით იჯარის ხელშეკრულებაა. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 581-ე მუხლზე (იჯარის ხელშეკრულებით მიეჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მიეჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) და განმარტა, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 545-ე მუხლი, რომლის მიხედვით, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები. სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.

5.11. უდავოა, რომ საიჯარო ქონებაზე მსუბუქი კონსტრუქციების პავილიონის მოწყობა შედიოდა ორივე მხარის ინტერესში, რადგან ასეთის გარეშე მიწის ნაკვეთი ვერ ჩაითვლებოდა ვარგისად იჯარით გათვალისწინებული მიზნებისთვის და ვერ იქნებოდა სარგებლის მომტანი მხარეებისთვის. სასამართლომ განმარტა, რომ გამქირავებლის მიერ საკუთარი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისას (დამქირავებლისათვის უნაკლო ნივთის გადაცემა) დამქირავებელს ეკისრება ნივთზე ზრუნვა, საპირისპირო მსჯელობა საპირისპირო დასკვნამდე მიგვიყვანს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელს ნივთზე ხარჯების გაღება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა ან შემდგომში აღმოჩნდება ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს. სწორედ ის ხარჯები, რომლებიც ნაკლის აღმოსაფხვრელად და ნივთის ვარგისიანობის აღსადგენად იქნება გაღებუ-

ლი, უნდა მიეკუთვნოს აუცილებელი ხარჯების კატეგორიას. აუცილებლობა კი გამომდინარეობს ორივე მხარის ინტერესებიდან, ერთის მხრივ, დამქირავებელმა ისარგებლოს ნივთით, ხოლო მეორეს მხრივ, დამქირავებელმა მიიღოს სარგებელი. მოსარჩელის მიერ სავაჭრო პავილიონის მოსაწყობად გაწეული ხარჯები, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ამ პავილიონის საბაზრო ღირებულების ორ მესამედს (12 667 ლარი), წარმოადგენდა იმ აუცილებელ ხარჯებს, რაც მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის (სავაჭრო პავილიონის მოწყობა და ფუნქციონირება) ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად იყო საჭირო.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

9. საქმეზე დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

9.1. ქალაქ რუსთავის მთავრობის 04.11.2004 წლის №234 დადგენილებით დამტკიცდა საკუთრებაში ან სარგებლობაში გასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხისა და პირობების თაობაზე ადგილობრივი

თვითმმართველობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო-სააუქციონო კომისიის სათანადო სამსახურებთან შეთანხმებული გადაწყვეტილება (29.10.2004 წელი, ოქმი №200). დადგენილების დანართით გათვალისწინებული იყო საიჯარო ქონების 10-წლიანი იჯარით გაცემა აუქციონის წესით. საიჯარო ქონების გამოყენების ფორმა (მიზნობრიობა) იყო მსუბუქი კონსტრუქციების პავილიონის მოწყობა. ქალაქ რუსთავის მთავრობის 24.12.2004 წლის №282 დადგენილებით აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა მოსარჩელე.

9.2. 27.01.2005 წელს ქალაქ რუსთავის მთავრობასა და მოსარჩელეს შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულება 10 წლის ვადით, რომლითაც მოსარჩელეს ყოველწლიური საიჯარო ქირის გადახდის პირობით (ხელშეკრულების 4.4 პუნქტი) სარგებლობაში გადაეცა ქ. რუსთავში, №1 სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20კვ.მ.; მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იჯარა გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც, სპეციალური კანონის (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტი) პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ხელშეკრულების 6.3 პუნქტი).

9.3. საჯარო რეესტრში 27.01.2005 წლის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებულია იჯარის უფლება. ამონაწერში შეიჯარედ მითითებულია სახელმწიფო, ხოლო მოიჯარედ – მოსარჩელე. ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 24.04.2012 წლის და 12.07.2012 წლის №3396 ბრძანებების საფუძველზე, საიჯარო ქონებაზე სავაჭრო პავილიონის მოწყობის მიზნით, მოიჯარის სახელზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

9.4. ქალაქ რუსთავის საკრებულომ 09.10.2012 წლის №3886 ბრძანებით, მერიის ზედამხედველობის სამსახურის 03.09.2012 წლის №2233 ოქმის შესაბამისად, ვარგისად აღიარა მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებაზე სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.

9.5. მოსარჩელის სახელზე საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა აღნაგობის უფლება 27.01.2005 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ან/და 2012 წელს აშენებულ ნაგებობაზე – საკუთრების უფლება.

9.6. 27.01.2005 წლის იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, საიჯარო ქონება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარის მიერ აღმართული ნაგებობა მოპასუხემ გაასხვისა აუქციონის წესით. 18.08.2015 წელს გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე, რომელმაც შეიძინა № საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რის შემდეგ

მასთან 25.09.2015 წელს გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება.

9.7. საიჯარო ქონებაზე მოსარჩელის ხარჯებით აღმართული ნაგებობის ღირებულება 19 000 ლარია.

10. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ტერმინი „იჯარა“ გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც, ტერმინი „მოიჯარე“ კი – აღნაგობის უფლების მქონესაც, ამავე კანონის 4.1. მუხლი ადგენდა, რომ ამ კანონის საფუძველზე საკუთრების, იჯარის, აღნაგობის, ქირავნობისა და უზუფრუქტის უფლებების სამართლებრივი საკითხები განისაზღვრებოდა სსკ-ით. ყოველივე ეს ნიშნავდა სსკ-ის 234-ე და 237-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვას, კერძოდ, უძრავი ნივთის შეძენის წესების (ხელშეკრულების დადების მომეტე მოქმედი რედაქციით სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილი ასეთად მიიჩნეოდა საანოტარო წესით დამოწმებულ საბუთს და შეძენის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში) გამოყენებას, ასევე, აღნაგობის უფლების საჯარო რეესტრში შეტანას მინის ნაკვეთზე არამესაკუთრეთა სანივთო უფლებებს შორის მხოლოდ პირველი რიგის უფლებად, რაც არ შეიძლება შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში, სასყიდლიანი აღნაგობის ურთიერთობებში, აღნაგობის უფლების მქონე პირი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული, იძენდა აღმართული ნაგებობის ღირებულების ორი მესამედის მოთხოვნის უფლებას, რისი მოლოდინიც ჰქონდა მოსარჩელეს. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში სანივთო უფლებებს შორის პირველი რიგის უფლებად მოსარჩელის უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა (სახელმწიფოსა და მოსარჩელეს შორის დარეგისტრირდა მხოლოდ ვალდებულებით სამართლებრივი იჯარა) და თანხის გადახდაზე მოპასუხის უარიც, ძირითადად, სწორედ აღნიშნულს ეფუძნება. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას – ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – და-

ვიცავთ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვავინწყდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალური თეორიის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაჰენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს (საქმე №ას-1215-2018, 29.03.2019წ., პ. 202).

11. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რასაც ეთანხმება კასატორიც, თუმცა მიუთითებს, რომ სასამართლომ გადანყევტილება დააფუძნა იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებსაც არ ემყარებოდა სასარჩელო მოთხოვნა და არ არსებობდა განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადანყევტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი. სამართალში დამკვიდრებულია პრინციპი – „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომელიც დავის გადანყევტის ფუნდამენტს წარმოადგენს (სუსგ. №ას-1764-2018, 13.04.2020წ., სუსგ №ას-351-2020, 29.12.2020წ.).

12. იჯარა ორმხრივმა ვალდებულებული, სასყიდლიანი და კონსესუალური ტიპის ხელშეკრულებაა. მეიჯარის ვალდებულებაა, დროებით სარგებლობაში გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი (ქონება) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისგან სწორი სამეურნეო გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით ნაყოფის მიღება, ხოლო მოიჯარის ვალდებულება შეთანხმებული საზღაურის გადახდა (სსკ-ის 581-ე მუხლი). შესაბამისად, საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის არა მხოლოდ იჯარის საგნით სარგებლობა, არამედ იჯარის საგნის სარგებლობის გამო მიღებული შემოსავალი. იჯარას ქირავნობისგან სწორედ იჯარის საგნის სარგებლობით შემოსავლის მიღების აუცილებლობა მიჯნავს. შემოსავლის მიღების შესაძლებლობის აუცილებლობის უზრუნველყოფა კი, მეიჯა-

რის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გამოკვეთილი პასუხისმგებლობაა, რასაც ეფუძნება მოიჯარის ვალდებულება საიჯარო ქირის გადახდის შესახებ (სუსგ. №ას-294-294-2018, 08.05.2018წ.).

13. სსკ-ის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილით იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საკასაციო საჩივრის ფარგლებში უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისთვის მოიჯარის სასარგებლოდ თანხის დაკისრების კანონიერება სსკ-ის 545-ე მუხლის საფუძველზე (სსკ-ის 545-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები. სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იჯარის სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, მეიჯარე ვალდებულია საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა (სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ქონება სარგებლობაში უნდა გადაეცეს მოსარგებლეს სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და იჯარის მთელი დროის განმავლობაში მეიჯარემ უნდა შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. აუცილებელი ხარჯების ინსტიტუტი იმ ხარჯებს გულისხმობს, რაც აუცილებელია ნივთის ვარგისიანობის შენარჩუნებისათვის. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის „ვარგისიანობა“ გულისხმობს ნაყოფის მიღების შესაძლებლობას (სუსგ. №ას-648-616-2013, 02.06.2014წ.; სუსგ. №ას-1113-1033-2017, 24.10.2019წ.). ნივთის ვარგისიანობა, ანუ იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, მონმდება სსკ-ის 533-ე და 535-ე მუხლების მიხედვით. კერძოდ, გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი (სსკ-ის 533-ე მუხლი), გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის (სსკ-ის 535-ე მუხლი). ვინაიდან იჯარის ხელშეკრულება (განსხვავებით ქირავნობისაგან) ითვალისწინებს სამეურნეო დანიშნულებას, მაშინ, თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, იჯარით გაცემული (გაქირავებული) ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ ნივთი იძლევა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას (სუსგ. №ას-1113-1033-2017, 24.10.2019წ.).

14. სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით

შედავებული არ არის, რომ საიჯარო ქონებაზე მსუბუქი კონსტრუქციების პავილიონის მოწყობა შედიოდა ორივე მხარის ინტერესში, რადგან ასეთის გარეშე მიწის ნაკვეთი ვერ მიიჩნეოდა ვარგისად იჯარით გათვალისწინებული მიზნებისთვის – სავაჭრო პავილიონის მოწყობა/ფუნქციონირება და ვერ იქნებოდა სარგებლის მომტანი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამქირავებლის მიერ საკუთარი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისას (დამქირავებლისათვის უნაკლო ნივთის გადაცემა) დამქირავებელს ეკისრება ნივთზე ზრუნვა, საპირისპირო მსჯელობა საპირისპირო დასკვნამდე მიგვიყვანს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამქირავებელს ნივთზე ხარჯების გაღება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა ან შემდგომში აღმოჩნდება ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს. სწორედ ის ხარჯები, რომელიც ნაკლის აღმოსაფხვრელად და ნივთის ვარგისიანობის აღსადგენად იქნება გაღებული, უნდა მივაკუთვნოთ აუცილებელი ხარჯების კატეგორიას (სუსგ №ას-797-764-2016, 03.10.2016წ.). საკასაციო პალატა იზიარებს მსჯელობას, რომ მოსარჩელის მიერ სავაჭრო პავილიონის მოსაწყობად გაწეული ხარჯები წარმოადგენდა იმ აუცილებელ ხარჯებს, რაც მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის (სავაჭრო პავილიონის მოწყობა და ფუნქციონირება) ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად იყო საჭირო.

15. რაც შეეხება დაკისრებული თანხის ოდენობას, როგორც საქმის მასალებით დგინდება, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 12 667 ლარის, როგორც საიჯარო ქონებაზე მოსარჩელის ხარჯებით აღმართული ნაგებობის ღირებულების (19 000 ლარი) ორი მესამედის დაკისრება. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, კერძოდ, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ იმსჯელა მოთხოვნაზე მოსარჩელის მიერ ჩამოყალიბებულ ფარგლებში. სარჩელს მოპასუხემ დაუპირისპირა შესაგებელი, რომლითაც მას სადავო ნაგებობის მოსარჩელის მიერ საკუთარი ხარჯებით აღმართვის ფაქტი, მისი ღირებულება სადავოდ არ გაუხდია და არც სასამართლოსთვის არ წარუდგენია ამ ფაქტებს უარყოფელი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიც არის შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპ-

როცესო თავდაცვის საშუალება, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი, ასევე, დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავასა და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან (სუსგ საქმე №ას-108-2021, 22.04.2021 წელი).

16. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას, ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად მიიჩნევა. მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენით გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმე №ას-664-635-2016, 02.03.2017 წელი) (სუსგ №ას-132-2019, 30.06.2021 წელი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაზიარებული ვერ იქნება დაკისრებული თანხის შე-

ნობა-ნაგებობის რეალურ ღირებულებასთან შეუსაბამობის თაობაზე კასატორის მსჯელობა.

17. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.01.2018წ. განჩინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. იჯარა

ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-8-8-2016

13 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა და მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. პ. ქ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. კ-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ ფაქტობრივად განეული ხარჯის – 10 948 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 10 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით (იხ. სასარჩელო მოთხოვნის შემცირების შესახებ 21.05.2014წ. განცხადება, ასევე, 21.05.2014წ. სხდომის ოქმი).

1.2. სარჩელის თანახმად, 2013 წლის გაზაფხულზე მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე ოჯახის წევრებთან ერთად ჩაიბარებდა მოპასუხის ფერმერულ მეურნეობას. შეთანხმებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, იგი შეუდგა მზადებას, მოაწყო დენის კვების ჰესი, ჩაატარა რეკონსტრუქცია, იყიდა პირუტყვის საკვები, მუშახელისათვის ინვენტარი და სხვა საჭირო ნივთები. შეთანხმების მიხედვით, მოპასუხე მოსარჩელეს 2013 წლის სექტემბერში გადასცემდა 40 სულ მენველ ძროხასა და სხვა პირუტყვს, სულ 88 ერთეულს, 3 წლის განმავლობაში მოპასუხე არ ჩაერეოდა მოსარჩელის საქმიანობაში, თავისი შეხედულებით აიყვანდა მწველავეებსა და მწყემსებს, მიღებული რძე გაიყოფოდა ყოველდღიური შემოსავლის მიხედვით, ასევე გაიყოფოდა საქონლის ნამატი, ხოლო მიღებულ ზარალზე (საქონლის დაღუპვა, დაკარგვა, დაავადება და სხვა) პასუხისმგებელი იყო მოსარჩელე. შეთანხმების შესაბამისად, სამუშაოების დასრულების შემდგომ, 2013 წლის ოქტომბერში მოპასუხემ მოსარჩელეს ჩააბარა პირუტყვი, რომელ-

საც ჩაუტარდა შესაბამისი ვაქცინაცია. ახმეტიდან ჩამოყვანილ იქნენ მწყემსები, დაიქირავეს მუშახელი და დაიწყო ფერმერული საქმიანობა. დაახლოებით თვენახევარში მოპასუხემ უმიზეზოდ მოსთხოვა მოსარჩელეს პირუტყვისა და ფერმის დაბრუნება, მიაყენა ზიანი, რაც გამოიხატება მოსარჩელის მიერ გაწეულ ხარჯებსა და მიუღებელ შემოსავალში (იხ. სარჩელი).

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი, თუმცა დაეთანხმა რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო ზოგიერთი მათგანის თაობაზე კვალიფიციური შედავება წარადგინა. შესაგებლის თანახმად, იგი ნამდვილად ეძებდა ადამიანს, ვინც ფერმერულ მეურნეობას გაუძღვებოდა და ამის შესახებ იცოდა მოსარჩელემ. ამ უკანასკნელმა თავად შესთავაზა 3 წლით ფერმის იჯარით გადაცემა, რასაც ნაწილობრივ დაეთანხმა მოპასუხე, კერძოდ, შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე ოჯახის წევრების მეშვეობით აწარმოებდა ფერმერულ საქმიანობას, ხოლო იგი, როგორც მესაკუთრე, შეინარჩუნებდა კონტროლის ფუნქციას, მხარეთა შეთანხმებით, გამოსაცდელი ვადა განისაზღვრა ორი თვით და მოპასუხეც მონაწილეობდა სხვადასხვა საქმიანობაში. მოსარჩელემ თავად დაარღვია შეთანხმება, რადგან საქმიანობა დაიწყო არა უშუალოდ ოჯახის წევრების, არამედ დაქირავებული მუშახელის დახმარებით, რომლებიც არასათანადო ცოდნითა და გულისხმიერებით ეპყრობოდნენ პირუტყვს. მოსარჩელემ ფერმერული მეურნეობის მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ გამოსაცდელ ვადაში ნამდვილად განია გარკვეული ხარჯები, რომელიც არ აღემატება 2500-2600 ლარს და რომლის გადახდა არაერთხელ შესთავაზა მხარეს. მისთვის სასურველი იყო შეთანხმების დახვეწა და თანამშრომლობის გაგრძელება, რაც არ ისურვა მოსარჩელემ, ამასთან, მოსარჩელემ წაიღო მის მიერ მიტანილი ყველა მოძრავი ინვენტარი და წაიყვანა ცხენი. მოსარჩელემ ცალმხრივად თავად შეწყვიტა ხელშეკრულება და მისი შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება უსაფუძვლოა (იხ. შესაგებელი).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მხარეთა შორის არსებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 999 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით განაწილდა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწი-

ლის – 89,97 ლარის, ასევე, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 429,15 ლარის გადახდა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 271,56 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი ჩაითვალა გადახდილად.

4. აპელანტების მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა:

4.1. მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დამატებით 8 000 ლარის გადახდა, საიდანაც 5 090 ლარი წარმოადგენდა გაწეულ ხარჯს, ხოლო 2 910 ლარი – მიუღებელ შემოსავალს (იხ. სააპელაციო სასამართლოს 13.05.2015წ. სხდომის ოქმი);

4.2. მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების, ასევე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების დაკისრების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 119,96 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა იმ საოქმო განჩინებების გაუქმება, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები მოწმეთა დაკითხვის, მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის, მოპასუხის მოწმეთა განმარტებების მტკიცებულებათა სიიდან ამორიცხვის თაობაზე და ა.შ. ასევე, სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გაუქმება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე, მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დამატებით 6 000 ლარის დაკისრება (იხ. დაზუს-

ტებული საკასაციო საჩვარი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტიდან გამომდინარე კრედიტორის მეორადი მოთხოვნის საფუძვლიანობა, ამ თვალსაზრისით, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიჩნეულ იქნა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ზეპირი ფორმით დადებულ ერთობლივ საქმიანობად შეფასება და ამ ურთიერთობის მხარეთა ორმხრივი ნების საფუძველზე შეწყვეტა, რა დროსაც მოსარჩელემ მოპასუხეს დაუტოვა ხელშეკრულების შესრულებისათვის განკუთვნილი ნივთები და კომპენსაციის სახით მას დაეკისრა ამ ნივთების ღირებულების ანაზღაურება, ხოლო სარჩელით მოთხოვნილი სხვა ნივთების გადაცემის/ხარჯის გაწევის ფაქტი, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა.

1.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს არ ეთანხმება კასატორი, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების არასწორ გამოყენება-განმარტებაზე, ისე – საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე მითითებით.

1.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმებამდე (სსკ-ის 393-ე მუხლი) სასამართლო ვალდებულია, უპირველესად განსაზღვროს სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც კანონმდებელი განსახილველი ნორმით ადგენს ზემდგომი სასამართლოს ვალდებულებას, გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თუ დასტურდება მითითებულთაგან ერთ-ერთი დარღვევა. ხსენებული ნორმის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომ სასამართლოებს

სრულყოფილად არ გამოუკვლევიათ და არ შეუფასებიათ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც შეუძლებელია სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე გაკეთებული დასკვნის შეფასება.

1.4. წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს – ვინ?, ვისგან?, რას?, რის საფუძველზე ითხოვს?. პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან მიმართებაში იძლევა პასუხს, მესამე – მოთხოვნასთან, ხოლო მეოთხე – მოთხოვნის საფუძველთან მიმართებაში. დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ამოსავალია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებები (სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობა; მოპასუხის შედეგების არსებითობა). განსახილველ შემთხვევაში, მხარეები მათ შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას სადავოდ არ ხდიან, რაც შეეხება მოთხოვნის საფუძვლიანობას, მნიშვნელოვანია შემონმდეს მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობა და სწორედ ამ საკითხის დადგენის შემდგომად შესაძლებელი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმისა და მტკიცების საგანში შემაჯავლი გარემოებების განსაზღვრა.

1.5. სარჩელის თანახმად, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა მისი კუთვნილი მეცხოველეობის ფერმა და სხვადასხვა რაოდენობის პირუტყვი, მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადა განისაზღვრა 3 წლით, რომლის განმავლობაშიც მოპასუხე არ ჩაერეოდა მოსარჩელის საქმიანობაში, ხოლო მეურნეობის გაძლოის შედეგად მიღებული ნამატი (რძე, ასევე, საქონელი) უნდა განაწილებულიყო მხარეთა შორის; ინვენტარის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების რისკი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელსაც მეცხოველეობის ფერმა თავისი ინვენტარით უნდა დაებრუნებინა მესაკუთრისათვის. მოპასუხეს მითითებული გარემოებები სადავოდ არ გაუხდია იმ განსხვავებით, რომ მან ქონების გადაცემის თაობაზე გარიგების დადების გამო-საცდელ ვადაზე მიუთითა. ამ გარემოებათა სამართლებრივი ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენდა შეთანხმებას ერთობლივ საქმიანობაზე, სადაც მოსარჩელის შენატანს მომსახურების გაწევა, ხოლო მოპასუხისას – უძრავ-მოძრავი ქონება, ამხანაგობის მიზანს კი – მოგების მიღება წარმოადგენდა (სკ-ის 930-ე მუხლი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა არასწორად შეფასდა ერთობლივ საქმიანობად, რამდენადაც საქმეების ერ-

თობლივად გაძლოლის ფაქტზე მათ არ მიუთითებთ, ასევე ამხანაგობის თანასაკუთრებაში ქონების გადაცემის ან სხვაგვარი შეთანხმების არსებობის ფაქტი არ არის აღნიშნული სარჩელსა და შესაგებელში (სკ-ის 932-ე და 934-ე მუხლები), მითითებულის საპირისპიროდ, მხარეთა განმარტება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ კასატორის მიერ მოპასუხისათვის გადაცემული ქონების დაბრუნებაზე, ინვენტარის დალუპვის რისკსა თუ სასყიდლის ნატურით ანაზღაურების საკითხის თაობაზე იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ხელშემკვრელ პირთა ნამდვილი ნება სწორედ იჯარის სამართლებრივ ურთიერთობაზე შეთანხმებაა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, იჯარის ხელშეკრულების მახასიათებელი ნიშნებია გრძელვადიანი ორმხრივი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება და უზრუნველყოს ამ ურთიერთობის ფარგლებში ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა, რომელიც შეიძლება ნატურითაც იქნას ანაზღაურებული. ამ ურთიერთობის საგანს წარმოადგენს განსაზღვრული ქონება, ასევე, მათგან გამომდინარე ქონებრივი უფლებები. ასეთ შემთხვევაში, მეიჯარე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას გადაცემულ სიკეთეზე, თუმცა, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მისი არაპირდაპირი მფლობელი ხდება, ხოლო ქონების პირდაპირ მფლობელობას ახორციელებს მოიჯარე, რომლის ეკონომიკური ინტერესი გადაცემული ქონების შედეგად შემოსავლის მიღებაა. სამოქალაქო კოდექსის 583-ე მუხლის ძალით იჯარის საგნის მფლობელს ეკისრება ნივთების გონივრული, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი (სარგებლის მიღების მიზანი) სარგებლობის ვალდებულება, მისი მოვლა-პატრონობა, შესაბამისად, ინვენტარის შემთხვევითი დალუპვისა თუ დაზიანების რისკიც ქონების მიმღებს აწევს. გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემულ ინვენტარს ემატება მოიჯარის მიერ შეძენილი ცალკეული ნივთები (ინვენტარს მიკუთვნებული ცალკეული ნაწილები), რომლებიც მეიჯარის საკუთრებაში გადადის საერთო ინვენტართან მათი შეერთების მომენტიდან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იჯარის ხელშეკრულების ერთ-ერთ მახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მოიჯარის ვალდებულება, ხელშეკრულების ამოწურვის შემდგომ გარიგების საგანი პირდაპირ მფლობელობაში დაუბრუნოს მეიჯარეს (სკ-ის 584-ე მუხლი). ამ ურთიერთობისათვის კანონი იმპერატიულ დანაწესს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით არ ადგენს. ამდენად, შეიძლება დავას-

კენათ, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი ურთიერთობა შინაარსობრივად იჯარის ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

1.6. სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლით გამოწვეული როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის (ხელშეკრულების შესრულების მიზნით გაწეული ხარჯები), ისე – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაა. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ თვითნებურად შეწყვიტა ხელშეკრულება, აიძულა მოსარჩელე, დაეტოვებინა ფერმა და უარს აცხადებს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე, თავის მხრივ, მოპასუხეს ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი სადავოდ არ გაუხდია, თუმცა, შესაგებელში მითითებულია, რომ მას სურდა ხელშეკრულების გაგრძელება, ფერმერული მეურნეობის სირთულისა და მისი სპეციფიკური თვისებების თაობაზე მოსარჩელის არასაკმარისი ცოდნის გამო, მოიჯარემ თავად განაცხადა უარი ხელშეკრულებაზე და მიატოვა მეურნეობა. სააპელაციო პალატის დასკვნის თანახმად კი, ხელშეკრულება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეწყდა. ამ ფაქტს სასამართლო ამყარებს მხარეთა შორის ურთიერთობის შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობასა და საქმეში არსებულ მიღება-ჩაბარების აქტზე. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რასაც საკასაციო პალატა იზიარებს, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას, თუ რა გზით მივიდა პალატა მითითებულ დასკვნამდე. საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი მიუთითებს მხარეთა შეთანხმების შეწყვეტის გამო მოპასუხისათვის გარკვეული ქონების ჩაბარებაზე. საგულისხმოა თავად სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მონშეთა ჩვენებებზე, რომელთა თანახმადაც, მოპასუხე აკონტროლებდა მოსარჩელის საქმიანობას, ამონებდა მას, რამაც გამოიწვია პ.ქ-ის უკმაყოფილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს, ნორმა არც ერთ მტკიცებულებას უპირატეს მნიშვნელობას არ ანიჭებს და სასამართლოს ავალდებულებს, ინდივიდუალურად და ერთობლიობაში შეაფასოს ისინი ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, სწორედ ამ გზით განისაზღვრება მათი განკუთვნიდობის, იურიდიული დამაჯერებლობის საკითხი და მათი ერთობლივი ანალიზით დგინდება მტკიცების საგანში შემავალი სადავო გარემოებების არსებობა-არარსებობა (ფაქტები).

1.7. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარის სწორად განსაზღვრას წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის არსებითი

მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან სარჩელის ფორმალური დასაბუთების შესწავლით დასტურდება, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი და 411-ე მუხლია. 394-ე მუხლის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა, რომელიც თავის თავში ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას მოიცავს, ხოლო 411-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა სწორედ ზემოხსენებული გარემოებების არსებობა შეიძლება გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტას მოვალის ცალმხრივი (კანონსაწინააღმდეგო) ნება არ უდევს საფუძვლად, არამედ იგი მოსარჩელის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან ორმხრივი შეთანხმების შედეგია, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე მსჯელობა სამართლებრივად უსაფუძვლოა. ამ ვითარებაში სარჩელი, შესაბამისი დასაბუთების პირობებში, შეიძლება შესრულების კონდიქციას ემყარებოდეს (სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), რადროსაც განსხვავებულია მოთხოვნის ფარგლებიც (სკ-ის 979-ე მუხლი).

1.8. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას კომპენსაციის საკითხის განსაზღვრის ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან საქმის მასალების არასრულყოფილი კვლევის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო, ერთი მხრივ, საქმეში წარმოდგენილ 2013 წლის 21 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ კასატორმა მოპასუხეს ჩააბარა: „პირუტყვისათვის შეძენილი მედიკამენტები, თივა, სიმინდი, ხორბალი, მარილი, ფქვილი, ცხენი, ბუნებრივი გაზის ბალონები თავისი მოწყობილობით, ელექტროენერგიის მიმღები ე.წ „გესი“, შეშის ღუმელი, ფერმისთვის შეძენილი ინვენტარი – სანური, ცომის გობები, „ვედროები“, თასი, რძის ბაკები, სარეცხი საშუალებები, ფერმის შიდა მოწყობილობები ხის კოჭებისაგან, ნათურები, „გესის შლანგი“, მეცხოველეობისათვის საკვები პროდუქტები“, ამავე აქტზე ხელმოწერით ჯ. კ-ე ადასტურებს, რომ „დაიტოვა ხორბალი, სიმინდი, პრესები, გესის დანადგარი და წყლის შლანგი“, პალატა ასევე აღწერს ექსპერტ დ. რ-ის 2013 წლის 19 ნოემბრის №019/2-0 დასკვნაში გადმოცემულ ქონების/სამუშაოს შესრულების ღირებულებას და ზემოხსენებული აქტის შეფასებით ადგენს, რომ მხარეებმა ერთმანეთს ჩააბარეს ის ქონება, რომლებიც ხელშეკრულების ფარგლებში იქნა გადაცემული, თუმცა დასახელებული მტკიცებულებების გაზიარება-უარყოფის თაობაზე დასაბუთებუ-

ლი დასკვნის გაკეთების გარეშე ქვემდგომი სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხეს მოსარჩელემ დაუტოვა თივის პრესები, საქონლის მედიკამენტები, ხორბალი, ე.წ. „ჰესი“, შეძენილი თუნუქი, სიმინდი, მინი „ჰესის“ მოწყობილობა, რაც შეეხება ე.წ. „შლანგის“ ღირებულების ანაზღაურებაზე უარს, იგი პალატამ მოწმე ზ. ე-ის ჩვენებას დაამყარა და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული სხვა ხარჯების განევა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. საკასაციო პალატა ყურადღებას შეაჩერებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი დასაშვებ მტკიცებულებადაა მიჩნეული, იგი მოპასუხის მიერ არ შედგავებულა, შესაგებელში მან პრეტენზია იმ კუთხით გამოთქვა, რომ მოსარჩელის მეუღლის თხოვნით მოაწერა აქტს ხელი, თუმცა უდავოა, რომ ნივთების გადაცემის შესახებ აქტის ხელმოწერით დადასტურება მოპასუხეს არ უარუყვია. თავად სასამართლო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტს ამ აქტზე ამყარებს, ხოლო მისი შინაარსის გაზიარებისა თუ უარყოფის თაობაზე გადანყვეტილებაში არ აუსახავს საკმარისი და დამაჯერებელი დასკვნები, რაც, პალატის შეფასებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების დარღვევაზე მიუთითებს. აქვე საკასაციო პალატა ხაზგასმით ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დარღვევის თაობაზე, ვინაიდან შესაგებელში მოპასუხის მიერ განმარტებულია, რომ მოსარჩელემ მეურნეობის დაწყებისათვის საშუალოდ განა 2 500-2 600 ლარის ოდენობით ხარჯი, სარჩელი დაკმაყოფილებულია 2 999 ლარის ფარგლებში, რაც შეეხება კასატორის მითითებას სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ ჯერ 3 000, ხოლო შემდგომ 3 300 ლარის ოდენობით ხარჯის განევის ფაქტის აღიარების თაობაზე, ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზია არ არის დასაბუთებული, კასატორი ვერ აზუსტებს აღიარების კონკრეტულ მომენტს და შემოიფარგლება მითითებით, რომ აღიარება სასამართლოს სხდომაზე, გადანყვეტილების გამოტანამდე მოხდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის, 404-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო დარღვევის შემოწმება საკასაციო სასამართლოს მხრიდან მხოლოდ მხარის მითითების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, ხოლო დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად მიიჩნევა კასატორის კონკრეტული მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

1.9. განსახილველ შემთხვევაში, მხარე არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც. სააპელაციო პალატამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი დაასაბუთა ხელშეკრულების ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეწყვეტით, თუმცა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ამ მსჯელობის თაობაზე წარმოდგენილი პრეტენზიების საფუძვლიანობა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლთან მიმართებაში, ვიდრე უტყუარად არ დადგინდება წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.7. პუნქტში აღწერილი წინაპირობები.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების დარღვევით, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს იგი. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით კი, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გზით უნდა დაადგინოს მტკიცების საგანში შემაჯავრობელი გარემოებები და ამ გზით შემცირებული მოთხოვნის (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი) გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს უფლების საკითხი.

2. შემაჯავრობელი გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების გაუქმებაზე უარის თქმის დასაბუთება:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მოითხოვს, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლოს იმ საოქმო განჩინებების გაუქმებას, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა „შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის, მტკიცებულებათა საქმისათვის

დართვის, მოპასუხის მოწმეთა განმარტებების მტკიცებულებათა სიიდან ამორიცხვის თაობაზე და ა.შ“. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მოტივირებულ მსჯელობას ამ განჩინებათა მიღებისას დაშვებული საპროცესო დარღვევების თაობაზე (ამ თვალსაზრისით მოთხოვნაც კი არ არის სრულყოფილად ფორმირებული), შესაბამისად, პალატა მხარის ამ მოთხოვნას ვერ შეაფასებს, ვინაიდან პრეტენზიის ამ ფორმით წარდგენა არ შეესაბამება ზემოხსენებული ნორმის (სსსკ-ის 404.2 მუხლი) მიზნებს.

3. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა განისაზღვროს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორის შუამდგომლობა შემაჯამებელი გადაწყვეტილების წინმსწრები ყველა საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების
დაუზრუნავლობისას**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-24-2021

11 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის შედეგების დამტკიცების თაობაზე 2013 წლის 7 მარტის №E-1- 6886 გადაწყვეტილებით, უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისთვის გამართულ აუქციონში გამარჯვებულად რ. ყ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან 1-ლი კასატორი) გამოცხადდა (.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ფართი 225,33 კვ.მ, მისამართი: თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული №. შენობა-ნაგებობის 1-ლი სართულის ნაწილი). სარგებლობის უფლების გაცემი იყო შპს „უ.ქ. – თ-სი“. სარგებლობის ფორმას – იჯარა ხოლო სარგებლობის წლიურ საფასურს – 5 424 ლარი შეადგენდა. სარგებლობის უფლების ვადა 2 წლით განისაზღვრა.

2. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/385) არსებული უძრავი ქონება ს/კ-ით №... ორ ნაწილად, ს/კ-ით №.... და №... დაიყო.

3. მოპასუხისათვის იჯარით გადაცემული ფართი №.... ს/კ-ით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში მოექცა.

4. შპს „უ.ქ.- თ-ის“ 2014 წლის 7 ნოემბრის შეტყობინებით, მოპასუხეს ეცნობა მეიჯარის/უზუფრუქტუარის მიერ 2013 წლის 7 მარტის იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

5. შპს „უ.ქ. – თ-ის“ განცხადების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული,

როგორც მარეგისტრირებელი ორგანო) 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იჯარის უფლება შეწყდა. ამ დროიდან მარეგისტრირებელ ორგანოში უძრავ ქონებაზე მოპასუხის სასარგებლოდ იჯარა აღარ ფიქსირდება.

6. იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 24 აგვისტომდე შეიცვალა უძრავი ქონების მესაკუთრე, მეიჯარე და უზუფრუქტუარი, სახელდობრ:

6.1. იჯარის რეგისტრაციისას ქონების მესაკუთრეს თბილისის თვითმმართველი ერთეული, მეიჯარეს კი, შპს „უ.ქ.-თ-სი“, წარმოადგენდა, რომელსაც უზუფრუქტითვე ჰქონდა გადაცემული უძრავი ქონება ს/კ-ით №...

6.2. ნივთის დაყოფის შედეგად თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დასახლება მუხიანის, ... და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონება ს/კ-ით №... სახელმწიფოს საკუთრებაა. მეიჯარე და უზუფრუქტუარი კი, კვლავ შპს „უ.ქ. – თ-ია“ (იხ. 04.10.2014 წ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

6.3. 2016 წლის 26 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ს/კ-ით №... უძრავი ქონების მესაკუთრეა სსიპ თვითმმართველი თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო უზუფრუქტუარი შპს „თ.ჯ-ი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინაალმდევე მხარე ან მეორე კასატორი).

7. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს №04-1/93 ბრძანების (თბილისში, და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი:,) არსებული უძრავი ქონების შპს „თ.ჯ-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ) თანახმად, მოსარჩელე კომპანიის დირექტორის 2016 წლის 18 ივლისის №1/3178 განცხადება დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაეცა უძრავი ქონება (მდებარე: თბილისში, და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 25285 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 შენობა-ნაგებობები, საკადასტრო კოდი). უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი ერთი წლის ვადით განისაზღვრა.

8. 2016 წლის 26 აგვისტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ N04-/93 ბრძანება 2016 წლის 24 აგვისტოს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა.

9. 2017 წლის 12 აპრილს მოპასუხემ თბილისში, ... მიკრორაიონისა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ შენობა №5-ში,

პირველ სართულზე არსებული 220 კვ.მ ფართზე იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა მოსარჩელეს. მითითებულ დრომდე ზემოაღნიშნულ ფართს იგი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან 2013 წელს დადებული ვადაგასული ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა.

10. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხისათვის იჯარით გადაცემული 225,33 კვ.მ და მოპასუხის მიერ 2017 წლის 12 აპრილის განცხადებაში მითითებული 220 კვ.მ უძრავი ქონება, ერთი და იგივე ფართია.

11. 2019 წლის 22 აპრილის წერილით, მოსარჩელემ მოპასუხეს განმეორებით აცნობა, რომ 2013 წლის 29 იანვრის №E-1- 6886 შეთანხმების საფუძველზე, მის სარგებლობაში არსებულ 225,33 კვ.მ ფართზე ერიცხებოდა 12 თვის საიჯარო ქირის დავალიანება – 5424 ლარი.

12. მოპასუხეს საიჯარო ქირა – 5 424 ლარი არ გადაუხდია.

13. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქირის ოდენობით.

14. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე – შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ სარჩელი უსაფუძვლო და ხანდაზმული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – 5424 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ; სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 128-ე, 129-ე, 130-ე, 137-ე, 141-ე, 144-ე, 316-ე და 581-ე მუხლები გამოიყენა.

16. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – 3 464 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

17.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013

წლის 7 მარტის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ ფართს მოპასუხე 2016 წლის 24 აგვისტოდან 2017 წლის 12 აპრილამდე ფლობდა.

17.2. სააპელაციო პალატის დასკვნით, მართალია, მოსარჩელეს უშუალოდ ახალი ხელშეკრულება აღარ დაუდია მოპასუხესთან და, როგორც მეიჯარე, ვერ მოსთხოვდა საიჯარო თანხის გადახდას, თუმცა მოსარჩელე, როგორც უზუფრუქტუარი და ამავე დროს შპს „უ.ქ. – თ-ის“ (რომელიც საიჯარო სამართლებრივ ურთიერთობაში იყო მოპასუხესთან) უფლებამონაცვლეც უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის ზიანის – საიჯარო ქირის ანაზღაურება.

17.3. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ 2017 წლის 12 აპრილიდან იმავე წლის 24 აგვისტომდე მოპასუხის მიერ ფართის ფლობის ფაქტი ვერ დაადასტურა, ზიანი მოსარჩელის სარგებლობის უფლების წარმოშობის მომენტიდან – 2016 წლის 24 აგვისტოდან, საიჯარო ფართის ფლობის დადასტურებული პერიოდისთვის – 2017 წლის 12 აპრილამდე უნდა ანაზღაურებულიყო, რაც 7 თვეს და 20 დღეს შეადგენს, ხოლო მისაღები თანხა – 3464 ლარია.

17.4. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მოპასუხის მითითება უარყო და განმარტა, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიერ უსაფუძვლოდ დაკავებულ ქონებაზე უზუფრუქტუარის უფლებამოსილება წარმოეშვა 2016 წლის 24 აგვისტოდან. შესაბამისად, მოპასუხის მიერ საიჯარო ქონების დაბრუნებლობით მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებაც მოსარჩელის უფლებების წარმოშობის მომენტიდან დაიწყო. სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2019 წლის 24 მაისს, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიიჩნეოდა, რომ მოსარჩელისთვის ქონების სარგებლობაში მიღების მომენტიდან ცნობილი იყო მისი უფლების დარღვევის შესახებ, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მაინც არ იყო გასული.

18. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

19. პირველი კასატორის მტკიცებით, მოსარჩელე არ არის სადავო ქონების მესაკუთრე, რაიმე სახის საიჯარო უფლებები მას არ გადასცემია და ვერც გადაეცემოდა, რადგან იჯარის ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების სარგებლობაში მიღებამდე შეწყდა და აღარ გაგრძელებულა.

19.1. კასატორის მოსაზრებით, არასწორად დადგინდა უფლე-

ბამონაცვლეობის საკითხიც. სარჩელი აღძრულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რადგან მოსარჩელე, როგორც ყოფილ უზუფრუქტუარი, უზუფრუქტის ვადის გასვლის შემდგომ რაიმე უფლებით ვერ ისარგებლებს.

19.2. გარდა ამისა, კასატორის აზრით, სარჩელი ხანდაზმულია, რადგან უზუფრუქტის ვადა 2017 წლის 8 აგვისტოს ამოიწურა, სარჩელი კი სასამართლოში წარდგენილია 2019 წლის 24 მაისს – ვადის გასვლის შემდგომ.

20. მეორე კასატორის მტკიცებით, არასწორად დადგინდა მოპასუხის მიერ ქონების ფლობის ფაქტი, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიერ 2017 წლის 12 აპრილს წარდგენილი განცხადებით დასტურდება, რომ იგი მითითებული თარიღიდანაც აგრძელებდა ნივთის უკანონო მფლობელობას, რადგან მასში აღნიშნულია ქონების უწყვეტად ფლობის შესახებ და მხარე ვადაგასული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას ითხოვს. ამდენად, მოპასუხე აგრძელებდა ქონების ფლობას და 2017 წლის 24 აგვისტომდე არ შეუწყვეტია.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაბუთებული, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

22. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის/პირველი კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია, ხოლო მოპასუხის/მეორე კასატორის პრეტენზიები უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

23. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, მოთხოვნები ნივთის დაბრუნების და-

ყოფნებისთვის საიჯარო ქირის ოდენობით ზიანის ანაზღაურების შესახებ სსკ-ის 581-ე (იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც; იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) და 591-ე (თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებული ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის) მუხლებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შესრულებულია აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები. ამასთან, არ იკვეთება მოთხოვნის გამომრიცხველი, შემაფერხებელი ან შემწყვეტი გარემოებები.

24. ზემოხსენებული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია, შემდეგი სამართლებრივი წინამძღვრების არსებობა: ა) იჯარის ხელშეკრულების არსებობა; ბ) საიჯარო ურთიერთობის დამთავრება; გ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნება. მოცემულ შემთხვევაში, ყველა სამართლებრივი წინაპირობა განხორციელებულია, კერძოდ: იჯარის ხელშეკრულება დადებულია; საიჯარო ურთიერთობა მეიჯარის (შპს „უ.ქ. – თ-ის“) მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად ვადაზე ადრეა შეწყვეტილი; მოიჯარის მიერ დაყოვნებულია საიჯარო ქონების დაბრუნება.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 591-ე მუხლი ადგენს საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, იჯარის საგნის უკან დაბრუნების დაყოვნებისათვის მოიჯარის მიერ ზიანის სახით საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას და მისი მიზანი მეიჯარის ინტერესების დაცვაა, ამ უკანასკნელისათვის მოიჯარისაგან საიჯარო ქირისა და სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭებით.

25.1. განსახილველ შემთხვევაში, 2017 წლის 12 აპრილს მოპასუხემ თბილისში, ... და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ შენობა №5-ში, პირველ სართულზე არსებული 220 კვ.მ ფართზე იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მი-

მართა მოსარჩელეს (იხ. განცხადება). განცხადებითვე დასტურდება, რომ მხარე მითითებულ დრომდე ფლობდა ზემოაღნიშნულ ფართს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან 2013 წელს დადებული ვადაგასული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, არ არსებობს მოპასუხის მიერ მითითებული ფართის ფლობის სხვა სამართლებრივი საფუძველი და ასეთზე არც მხარეები არ მიუთითებენ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხისათვის იჯარით გადაცემული 225,33 კვ.მ და მოპასუხის მიერ 2017 წლის 12 აპრილის განცხადებაში მითითებული 220 კვ.მ უძრავი ქონება, ერთი და იგივე ნივთია.

25.2. ამასთან, დადგენილია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 4 მაისის №17.06.401 განკარგულების მიხედვით, რეორგანიზაციის საფუძველზე მოსარჩელეს, რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მათ შორის – შპს „უ.ქ. – თ-იც“ შეერწყა, შესაბამისად, მის უფლებამონაცვლესა და საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს სწორედ მოსარჩელე წარმოადგენს.

26. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა და ასანაზღაურებელ თანხას განსაზღვრავს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების ფაქტიურად ფლობის პერიოდი.

26.1. საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

26.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთმეჯერებისა და გაანალიზების საფუძველ-

ზე გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია, მხარემ მიიღოს თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს შესაბამის გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

26.3. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმისწარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას. მხარეებს შეუძლიათ, საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

26.4. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა (შდრ. სუსგ ას-344-2019, 12.02.2021 წ.).

26.5. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. საპირისპირო მოქმედება კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი

დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

26.6. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეები სრულიად თავისუფალი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებს ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, ახსნა-განმარტებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს, დასაბუთდეს და საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას დაუკავშირდეს.

26.7. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და, პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის წარმომშობი ყველა გარემოება, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика“, თბ., 2003, გვ.64).

26.8. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომ 2017 წლის 12 აპრილის შემდგომ მოიჯარე აღარ აგრძელებდა საიჯარო ქონების ფლობას, მოპასუხეს ევალებოდა. სააპელაციო პალატამ კი, დაუსაბუთებლად დაასკვნა, რომ ამ გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმომშობ ფაქტზე (ქონების დაბრუნების დაყოვნება), მითითება (სსკ-ის 591-ე მუხლი) ევალებოდა მოსარჩელეს, რაც მან განახორციელა კიდეც. მითითებული ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება კი, მოიჯარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა (სსკ-ის 602-ე მუხლი). აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდანაც, რომ რ.ყ-ის 2017 წლის 12 აპრილის განცხადება უდავოდ ადასტურებს მოპასუხის მხრიდან საიჯარო ქონების ფლობის ფაქტს; ამავდროულად განცხადებით მხარე გამოხატავს სურვილს გააგრძელოს საიჯარო ურთიერთობა და ეს გარემოება დამატებით მეტყველებს მასზე, რომ მოიჯარეს გააჩნია ნივთის ფლობის გაგრძელების და არა მისი მიტოვების ინტენსი.

პალატის მოსაზრებით, მოპასუხემ/კასატორმა ვერ შეძლო დაეკისრებულ მტკიცების ტვირთის წარმატებული რეალიზება, ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხე მისთვის 2013 წლის 7 მარტის იჯარის ხეშეკრულების საფუძველზე გადაცემულ ფართს ფლობდა მინიმუმ 2016 წლის 24 აგვისტოდან 2017 წლის 24 აგვისტომდე პერიოდში.

26.9. სადავო არაა ის გარემოება, რომ ქონების გადაცემის ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა, საიჯარო ქირის გათვალისწინებით, შეადგენს – 5 424 ლარს, შესაბამისად, აშკარაა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლის ყველა წინაპირობა.

27. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანია, შეამოწმოს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის დასაბუთებულობა/ხანდაზმულობა.

27.1. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელმა განსაზღვრა სამოქალაქო უფლების დაცვის გარკვეული ვადებით შეზღუდვის აუ-

ცილებლობა, რომელიც მყარ სამოქალაქო ბრუნვაზეა ორიენტირებული და მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლით მხარე კარგავს იმ სამართლებრივ ბერკეტებს, რომელთა საშუალებითაც მოთხოვნის იძულებით აღსრულების შესაძლებლობა ჰქონდა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, სახელშეკრულებო მოთხოვნა დაექვემდებარა ხანდაზმულობას და, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრა 3 წლით. იმავე კოდექსის 130-ე მუხლის (ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ) მიხედვით კი, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

27.2. დადგენილია, რომ მოსარჩელეს, მოპასუხის უკანონო მფლობელობაში არსებულ ქონებაზე უზუფერუქტუარის უფლებამოსილება (უსასყიდლო უზუფერუქტი) 2016 წლის 24 აგვისტოდან წარმოეშვა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით მისთვის ზიანის მიყენებაც ამ დროიდან დაიწყო. ამდენად, სარჩელი სასამართლოში აღძრულია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით – 2019 წლის 24 მაისს, შესაბამისად, პირველი კასატორის ეს პრეტენზიაც დაუსაბუთებელია.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად და შესაბამისად საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია შემოიფარგლოს კასატორთა მხოლოდ არსებითი არგუმენტების მიმოხილვით (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, # 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

29. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს პირველი კასატორის/მოპასუხის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ხოლო მეორე კასატორის მოთხოვნები ექვემდებარება დაკმაყოფილებას სრული მოცულობით.

30. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სულ – 463 (163+300) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 257.1, 253-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. რ. ყ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „თ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „თ. ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს, რ.ყ-ს დაეკისროს 5424 ლარის გადახდა შპს „თ. ჯ-ის“ სასარგებლოდ;
5. რ.ყ-ს შპს „თ. ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟები სულ – 463 (163+300) ლარი;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სსსსი

სსსსის ხელშეკრულების ნამდვილობა

განმარტება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-896-2019

30 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, თანხის დაკის-
რება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს.ა.პ-მა“ (შემდგომ – საწარმო, გამსესხებელი, მოსარჩე-
ლე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ე-ის“ (შემდგომ – მოპა-
სუხე საწარმო, მსესხებელი, პირველი მოპასუხე), გ.ბ-ძისა (შემ-
დგომ – მეორე მოპასუხე, გამყიდველი) და რ.თ-ძის (შემდგომ –
მესამე მოპასუხე, დირექტორი, ასევე ერთობლივად მოხსენიებუ-
ლი, როგორც მოპასუხეები, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე-
ბი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთათვის სოლიდარულად 643 800
აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს ასესხა 524 000 აშშ დოლა-
რი, სარგებლის – წლიური 20%-ის დარიცხვის პირობით, ასევე, და-
მატებით გასცა ფინანსური დახმარების 15000 აშშ დოლარი მივლი-
ნების ხარჯებისათვის – ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის
რუსეთში გაყიდვის მიზნით. მოპასუხე კომპანიას სესხი უნდა და-
ებრუნებინა 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ დღემდე არ და-
ებრუნებია. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი – მეორე
მოპასუხე და დირექტორი საზოგადოების პასუხისმგებლობის შეზ-
ღუდულ ფორმას ბოროტად იყენებდნენ, რათა თავი აერიდებინათ
კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისათვის. ამიტომ
მათ 524 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 104 800 აშშ დოლარი და
სამივლინებო ხარჯების დასაფარად გაცემული სესხი – 15 000 აშშ
დოლარი კომპანიასთან ერთად სოლიდარულად უნდა დაეკისროთ.

მოპასუხეების შესაგებელი

3. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, მხარეებს სესხის ხელშეკრულება არ დაუდიათ. თანხა, რის დაბრუნებასაც მოსარჩელე მოითხოვს, ესაა მის მიერ მოპასუხე კომპანიაში (ნატურალური ჯემების, წვენებისა და ხილის პიურეების წარმოებაში) ჩადებული თანხა და არა – სესხი. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოთხოვნა თანხის ან სარგებლის დაკისრების თაობაზე. რაც შეეხება სამივლინებო ხარჯებს, საქმეში არ არსებობს მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადაცემის მტკიცებულება, შესაბამისად, ეს მოთხოვნაც დაუსაბუთებელია.

შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა და მისი საფუძვლები

4. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი წარადგინეს მოსარჩელე საწარმოს, ს. ჩ-ისა (შემდგომ – პირველი პარტნიორი) და ს. ჩ-ვის (შემდგომ – მეორე პარტნიორი, მყიდველი, ასევე ერთობლივად მოხსენიებული შეგებებული სარჩელის მოპასუხეები) წინააღმდეგ და მოითხოვეს მოსარჩელე საწარმოს პარტნიორთა კრების 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; პირველი და მეორე პარტნიორის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად 8 976 159 ლარის დაკისრება; ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, ხილის გადამამუშავებელი საამქროსა და დამხმარე ნაგებობების სარგებლობაზე შეგებებული სარჩელის მოპასუხეთა მიერ ხელშეშლის აღკვეთა.

5. პირველმა და მეორე პარტნიორმა 600 000 აშშ დოლარის ინვესტირების ვალდებულება იკისრეს მურაბების, ჯემების, ნაყინების, წვენებისა და ხილის პროდუქტების წარმოების ბიზნესში, რის შედეგადაც ისინი მოსარჩელე საწარმოს 51% წილის მფლობელები გახდებოდნენ. ფული განაწილებოდა კონკრეტული მიმართულებებით, მათ შორის – ერთ-ერთი იყო მეორე მოპასუხის ვალის დაფარვა. მათ ნაკისრი მოვალეობა შეასრულეს არაჯეროვნად. შენატანის შეტანა მნიშვნელოვნად დააგვიანეს, ამასთან, თანხა სრულად არ შეიტანეს, კერძოდ, გადარიცხული თანხის ნაწილი 149 000 აშშ დოლარი უკანვე გაიტანეს. ამის გამო გაიზარდა მეორე მოპასუხის გადასახდელი ვალი, ვერ დამზადდა სათანადო რაოდენობის პროდუქცია, მზა პროდუქცია ვერ გაიტანეს ბაზარზე, რამაც მოსარჩელეს მიაყენა 8 976 159 ლარის ზიანი.

6. 2016 წლის 15 აპრილს მეორე მოპასუხესა და მეორე პარტნიორს შორის დაიდო „გამოსყიდვის უფლებით გირავნობის ხელშეკრულება“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეორე მოპასუხე მეორე პარტნიორს გადასცემდა მოსარჩელე საწარმოში საკუთარ წილს (35%-ს) გამოსყიდვის უფლებით. მყიდველმა აიღო მეორე მოპასუხის ვალის დაფარვის ვალდებულება, კერძოდ, მას უნდა დაეფარა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში გამყიდველის იპოთეკური სესხი – 150000 აშშ დოლარი, რათა გაეთავისუფლებინა იპოთეკით დატვირთული ქონება, რომელიც ეკუთვნოდა გამყიდველსა და მოსარჩელე საწარმოს. გამყიდველს მყიდველისათვის 150000 დოლარი გონივრულ ვადაში უნდა დაებრუნებინა, რის შემდეგაც გამყიდველს დაუბრუნდებოდა 35% მოსარჩელე საწარმოს წილი. 2017 წლის 17 ოქტომბერს, ვიდრე გამყიდველი გამოსყიდვის უფლებით ისარგებლებდა, პარტნიორთა გადაწყვეტილებით მყიდველი გამოვიდა საწარმოდან და, ამავდროულად, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება მდებარე, ქ. ბათუმში, ამდენად, 2017 წლის 17 ოქტომბრის პარტნიორთა გადაწყვეტილება არის ბათილი, უძრავი ქონება უნდა დაუბრუნდეს საწარმოს, ხოლო პირველ და მეორე პარტნიორს უნდა აეკრძალოთ უკანონო ხელშეშლა, ვინაიდან ისინი საწარმოს თანამშრომლებს აღარ უშვებენ ტერიტორიაზე და ამ გზით ზღუდავენ ქონების მფლობელობასა და სარგებლობას.

შესაგებელი შეგებებულ სარჩელზე

7. შეგებებული სარჩელის მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ ცნეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილი:

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს დაეკისრა 643 800 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; სარჩელი მეორე და მესამე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი პარტნიორთა 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ჩანაწერებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და ქ. ბათუმში, მდებარე უძრავი ქონება – 1732 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები აღირიცხა მოსარჩელე საწარმოს საკუთრებად. შეგებებული სარჩელი, ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

9. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება შეგე-

ბეჭდული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში; შეგე-
ბეჭდული სარჩელი პირველი საწარმოს პარტნიორთა 2017 წლის 17
ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ასე-
ვე ქ. ბათუმში, ... მდებარე უძრავი ქონების, 1732 კვ.მ მიწის ნაკვე-
თისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველი საწარ-
მოს საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. დანარ-
ჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

11. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცე-
ბულებების საფუძველზე (მოსარჩელის საბანკო ამონაწერი, 2015
წლის 18 აგვისტოს პარტნიორთა კრების ოქმი, სესხის ხელშეკრუ-
ლება, 2016 წლის 12 აგვისტო ე.წ. ფინანსური დახმარების შესახებ
ხელშეკრულება) მიიჩნია, რომ მოსარჩელე კომპანიამ მოპასუხე
კომპანიას სესხის სახით 524000 აშშ დოლარი წლიური 20% სარ-
გებლით და სამივლინებო ხარჯი -15000 დოლარი გადასცა.

12. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის
მტკიცება, რომ ჩარიცხული თანხა პირველი და მეორე პარტნიო-
რის შენატანი იყო. ეს უკანასკნელები არ წარმოადგენდნენ მოპა-
სუხე კომპანიის პარტნიორებს, რაც გამორიცხავდა იმის ალბათო-
ბას, რომ მათ აღნიშნული თანხა საწარმოში, როგორც პარტნიო-
რებს ისე შეჰქონდათ. რაც შეეხება გამსესხებლის მიერ თანხის ნა-
წილის უკანვე გატანას, პალატამ მიუთითა, რომ საქმეში მართლაც
იყო წარდგენილი საღაროს გასავლის ორდერები, რომლის თანახ-
მადაც, გამსესხებელმა 149 000 აშშ დოლარი გაიტანა, თუმცა გა-
სავლის ორდერები დათარიღებული იყო 2016 წლის 3 აგვისტოთი,
ხოლო ბოლო შემაჯამებელი ხელშეკრულება, რომელიც ზუსტად
ასახავდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის ბალანსს, შედ-
გენილი და ხელმოწერილი იყო 2016 წლის 12 აგვისტოს. ამ შეთან-
ხმებაში ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ მსესხებლის დავალი-
ანება ამ დროისათვის შეადგენდა 524 000 აშშ დოლარს, წლიური
20% სარგებლით. ამავე ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მო-
სარჩელემ გასცა დამატებით, ფინანსური დახმარების სახით 15000
აშშ დოლარი, მივლინების ხარჯებისათვის მოპასუხე კომპანიის
ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის რუსეთში გაყიდვის მიზ-
ნით.

13. ამასთან, პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დას-
ტურდებოდა მოპასუხე კომპანიის წინაშე პირველი და მეორე პარ-
ტნიორის რაიმე სახის ვალდებულების არსებობა. ერთადერთი მტკი-
ცებულება, რაზედაც ამ შემთხვევაში აპელანტი თავის მოთხოვ-
ნას ამყარებდა ე.წ. ბიზნესგეგმა იყო, რომელიც არ იყო ვალდებუ-
ლების დამადასტურებელი მტკიცებულება ან პარტნიორთა შეთან-
ხმება, არამედ – ერთგვარი წინადადება ბიზნესის განვითარების

შესახებ. პირველი პარტნიორი იყო მხოლოდ მოსარჩელე საწარმოს პარტნიორი, სადაც მან შენატანის ვალდებულება სრულად შეასრულა (მოსარჩელის პარტნიორთა 2015 წლის 21 დეკემბრის ოქმი).

14. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სესხის თანხის დაკისრება მოპასუხე კომპანიის 90% წილის მფლობელი პარტნიორისა და დირექტორისათვის (მეორე და მესამე მოპასუხისათვის). მოსარჩელე, პარტნიორისა და დირექტორის მიმართ მოთხოვნას მათ ფიდუციურ ვალდებულებებს (დირექტორის მიმართ) და გამჭოლ პასუხისმგებლობას (პარტნიორის მიმართ) უკავშირებს საწარმოს ვალების გამო. პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა დირექტორის, ან პარტნიორის მხრიდან შეთანხმებული, ან ინდივიდუალური ქმედება, რომელიც მიმართული იქნებოდა საწარმოსა და მისი კრედიტორების ინტერესის დასაზიანებლად, დირექტორის ან პარტნიორის საკეთილდღეოდ, ან საწარმოს გადასახადებისაგან თავის არიდებისაკენ, და თავიანთი პირადი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებისაკენ, ან პირადი სარგებლისაკენ. აღნიშნულ ფაქტებზე მოსარჩელეს არც კი მიუთითებია.

15. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2017 წლის 17 ოქტომბრის პარტნიორთა გადანყევტილების ბათილად ცნობის ნაწილში და მიუთითა, რომ კრებას ესწრებოდნენ 65% წილის მფლობელი პირველი პარტნიორი და 35% წილის მფლობელი მეორე პარტნიორი. დღის წესრიგში იდგა საკითხი ამ უკანასკნელის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ მისი სურვილის გამო. პარტნიორებმა განიხილეს საკითხი, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გადაწყვიტეს, რომ ვერ ხედავდნენ ერთობლივი საქმიანობის, თანამშრომლობის პერსპექტივას კომპანიის განვითარების თვალსაზრისით, რის გამოც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მეორე პარტნიორი მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებლობიდან გამოვიდა მის წილ კაპიტალთან ერთად, ხოლო საზოგადოების 100% წილის მესაკუთრე გახდა პირველი პარტნიორი. პალატამ უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის გარიგება წილის გამოსყიდვის უფლების ხელშეკრულება იყო, რომლის თანახმადაც გამყიდველი, პარტნიორთა კრების შესაბამისად, იღებდა ვალდებულებას მყიდველისათვის გადაეცა საკუთარი წილი 35% მოსარჩელე კომპანიაში გამოსყიდვის უფლებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათ შორის – წილზე უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების, სავალდებულო რეგისტრაციას ითვალისწინებს მეწარმეთა

და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში (51-ე მუხლის მე-5 პუნქტი). უდავო იყო, მხარეთა გარიგება ნილზე უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მენარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში არ დარეგისტრირებულა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ნილზე გამოსყიდვის უფლება მეორე მოპასუხეს არ წარმოშობია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

16. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება პირველმა და მეორე მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს (შემდგომ – ასევე ერთობლივად მოხსენიებული როგორც კასატორი), გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სარჩელის სრულად უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

17. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელემ მოპასუხე სანარმოს სადავო თანხა ასესხა. მოსარჩელე სანარმოს საწესდებო კაპიტალში უკრძინული მხარის მიერ შეტანილი თანხა უნდა მოხმარებოდა პროდუქციის (ნატურალური ჯემების, წვენებისა და ხილის პიურეების) დამზადებას. ამასთან, თანხა მოპასუხე კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა, სიმბოლური ხელშეკრულების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, ჩარიცხული 519 720 აშშ დოლარიდან პირველმა პარტნიორმა, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გაფორმების გზით, უკან გაიტანა 148.500 აშშ დოლარი. შესაბამისად, პროდუქციის დასამზადებლად დარჩა მხოლოდ 371 000 აშშ დოლარი, რომელმაც ვერ უზრუნველყო პარტნიორებს შორის წინასწარ დაგეგმილი ამოცანების შესრულება, რაც განერილი იყო საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 18 მაისის ბიზნესგეგმით. ბიზნესგეგმა არ შესრულდა მოწინააღმდეგე მხარის ბრალით, რამაც კასატორს დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა.

18. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ საბანკო ამონაწერი მიიჩნია სესხის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რაც არასწორია, ვინაიდან მასში არ არის მითითებული სესხის სარგებლიანობის თაობაზე. მართალია, მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელთა საერთო კრებამ 2018 წლის 18 გადაწყვეტილებით ნება დართო საზოგადოების დირექტორს მოპასუხისათვის სესხის – 500 000 აშშ დოლარის გაცემის თაობაზე, მაგრამ არც ამ საოქმო გადაწყვეტილებით არ ირკვევა, რომ სესხი სარგებლიანი იყო. შესაბამისად, სასამართლოს მითითება, ამ მტკიცებულების საბანკო ამონაწერთან ერთად იმის დასადასტურებლად, რომ გაცემული სესხი იყო წლიური 20%-ის სარგებლით, ყოვლად უკანონო და არასამართლიანია.

19. ამასთან, საბანკო ამონაწერის თანახმად, 10.09.2015 წლი-

დან 21.01.2016 წლამდე მოსარჩელემ მოპასუხეს სულ შვიდჯერ გადაურიცხა თანხა, საიდანაც საბანკო გადარიცხვის გრაფაში „ოპერაციის შინაარსი“ არსად მითითებულია მივლინებისათვის 15 000 აშშ დოლარის გადარიცხვის შესახებ. საქმეში არ არსებობს არცერთი ირიბი მტკიცებულება, კი, რომელიც მიანიშნებდა მაინც მივლინების ხარჯის – 15 000 აშშ დოლარის გაცემას, მაგრამ სასამართლო ყოვლად დაუსაბუთებლად, მხოლოდ მოსარჩელის ზეპირსიტყვიერი განმარტებით, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს ამ თანხის მოპასუხე კომპანიისათვის გადაცემას, რაც უკანონო და არასამართლიანია.

19. 2016 წლის 12 აგვისტოს ფინანსური დახმარების განვეის შესახებ ხელშეკრულება უკანონოა, რადგან არ არსებობს ხელშეკრულების ქართული ვარიანტი, იგი ნოტარიულად დამოწმებული არ არის და არც საჯარო რეესტრში არაა რეგისტრირებული; მასზე ხელისმომწერი პირი – მოპასუხე კომპანიის დირექტორი, არ ფლობს რუსულ ენას; ამასთან, ეს უკანასკნელი არ იყო უფლებამოსილი პირი, სესხის ხელშეკრულების დადებასა და მის ხელმოწერაზე, რადგან საწარმოს პარტნიორებს მისთვის ეს უფლებამოსილება არ მიუნიჭებიათ. შესაბამისად, სასამართლოს ეს ხელშეკრულება სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად არ უნდა მიეჩნია.

20. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა 17.10.2017 წლის მოსარჩელის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. როგორც საქმის მასალებით დგინდება, უძრავი ქონება და საწარმოო ხაზი მოსარჩელე კომპანიის კაპიტალში შეიტანა წილის გამყიდველმა და არა – მყიდველმა. ამ უკანასკნელს გამყიდველმა მხოლოდ დროებით, შემდეგი გამოსყიდვის უფლებით დათმო წილი. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ხელი შეუწყო მყიდველის უსაფუძვლო გამდიდრებას, ვინაიდან გამყიდველის მიერ საზოგადოებაში შეტანილი უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე 150 000 აშშ დოლარი. რომ არა გამოსყიდვის უფლებით წილის გასხვისება, პირველი პარტნიორი ისევ სამეწარმეო რეესტრში იქნებოდა რეგისტრირებული. შესაბამისად, იგი კრებაზე უნდა მიწვეულიყო. მისი, როგორც პოტენციური პარტნიორის გვერდის ავლით მიღებული გადაწყვეტილება, არ არის სამართლიანი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ

საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

23. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სესხის – 524 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 104 800 აშშ დოლარის მოპასუხე კომპანიისათვის დაკისრების საფუძველს სსკ-ის 623-ე მუხლი (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადაცემის მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი) და 625.1 მუხლის პირველი წინადადება (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი) წარმოადგენს.

24. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, ანუ ის დადებულად მიიჩნევა და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ №ას-361-343-2015, 14 დეკემბერი, 2015 წელი). შესაბამისად, მარტოოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას (შდრ. სუსგ №ას-1288-2019, 4 მარტი, 2021 წელი). სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, შესაბამისად, სადავოობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის ფაქტიც. ზემოლნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: სესხის ხელშეკრულების დადება, რაც გულის-

ხმოზს არა მარტო მხარეთა ურთიერთმფარავი ნების არსებობას, არამედ მოსარჩელის მიერ თანხის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის დამტკიცებას; მხარეების შეთანხმება სესხისათვის პროცენტზე.

25. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სსკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მონმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ. სუსგ №ას-398-371-2017, 6 ივნისი, 2017 წელი).

26. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებათა, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთებს.

27. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის 2015 წლის 18 აგვისტოს პარტნიორთა კრების ოქმის თანახმად, კომპანიის დირექტორს

ნება დაერთო, მოპასუხე კომპანიისათვის მიეცა სესხი – 500 000 აშშ დოლარი. მხარეთა შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გამსესხებელი, ქონებრივი უზრუნველყოფის გარანტიების გარეშე 3 წლის ვადით, მსესხებელს აძლევს 500 000 აშშ დოლარს, წლიური 20% სარგებლით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას 3 წლის ვადის ამონურვის შემდეგ გამსესხებელს ერთდროულად დაუბრუნოს მიღებული სესხი და სესხის სრული საპროცენტო სარგებელი – 20%. მოსარჩელის საბანკო ამონაწერის (რომელიც 2015 წლის 31 ივლისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით ანგარიშებზე თანხების მოძრაობას ასახავს) თანახმად, კომპანიამ მოპასუხე კომპანიას გადაურიცხა 524000 აშშ დოლარი (შვიდ ნაწილად), თანხის გაცემის დანიშნულებაში (მიზნობრიობაში) მითითებულია, რომ ეს არის სესხი, გაცემული მხარეთა შორის არსებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელემ მოახდინა მისი მტკიცების ტვირთის რეალიზება და საქმეში წარმოდგენილი გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტებით დაადასტურა მოპასუხისათვის სადავო თანხის გადარიცხვის ფაქტი. ამასთან, მხარეებმა 2016 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს „ფინანსური დახმარების შესახებ“ შეთანხმება, რომლითაც გააგრძელეს სესხის ხელშეკრულების ვადა და, ასევე, შეთანხმებით, კიდევ ერთხელ, დაადასტურეს სასესხო ურთიერთობის არსებობა, რომ მოსარჩელემ მისცა, ხოლო მოპასუხე კომპანიამ მიიღო საგადასახადო დავალებითა და 2015 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხა 524000 აშშ დოლარი.

28. კასატორი მოსარჩელის მიერ თანხის გადაცემის ფაქტს არ უარყოფს, თუმცა ამტკიცებს, მოსარჩელის მიერ მოპასუხე კომპანიისათვის გადარიცხული ფული იყო არა სესხი, არამედ პირველი პარტნიორის შენატანი მოსარჩელე კომპანიაში, მეორე მოპასუხის მიერ შეტანილი უძრავი ქონების საპირწონედ. კასატორის ეს მითითება დაუსაბუთებელია. კასატორი ფაქტობრივად ცდილობს, სასამართლო დაარწმუნოს, რომ მოსარჩელე კომპანიის მიერ მოპასუხე კომპანიისათვის გადარიცხულ თანხა იყო პირველი პარტნიორის შენატანი მოსარჩელე კომპანიაში. აღნიშნულ არაკვალიფიციურ შედავებასთან დაკავშირებით პალატა მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ პირველი პარტნიორი იყო მოსარჩელე კომპანიის 65% წილის მფლობელი და, შესაბამისად, შენატანი შეჭკონდა სწორედ მოსარჩელე კომპანიაში. ამ უკანასკნელის 2015 წლის 21 დეკემბრის ოქმით დგინდება, რომ პირველი პარტნიორმა საწესდები კაპიტალი შეავსო 100%-ით და კაპიტალში ჩადებულმა თანხამ შეადგინა 519720 აშშ დოლარი. იგი მოპასუხე კომპანიის პარტნიორი არა-

სოდეს ყოფილა და სადავო თანხაც მოპასუხე კომპანიას ჩაურიცხა არა მან, არამედ მოსარჩელე კომპანიამ. ამდენად, მოპასუხემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების შედავება.

29. კასატორი სესხის ოდენობასაც ხდის სადავოდ. მისი მტკიცებით, პირველმა პარტნიორმა მოპასუხე კომპანიიდან უკან გაიტანა 148.500 აშშ დოლარი. პირველ რიგში, პალატა მიუთითებს, რომ სასესხო ურთიერთობის მხარე, გამსესხებელი არის მოსარჩელე კომპანია და არა – პირველი პარტნიორი, შესაბამისად, ამ უკანასკნელის მიერ მოპასუხე კომპანიიდან თანხის გატანა გამსესხებლის წინაშე მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი თანხის ოდენობას არ ამცირებს. ამასთან, ამ მიმართებით პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ პირველმა პარტნიორმა თანხა გაიტანა 2016 წლის 3 აგვისტოს (გასავლის ორდერი), რის შემდეგაც, 2016 წლის 12 აგვისტოს მოსარჩელე და მოპასუხე კომპანიას შორის გაფორმდა ახალი შეთანხმება, სადაც ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული, რომ ამ დროისათვის მსესხებლის დავალიანება გამსესხებლის მიმართ 524 000 აშშ დოლარი იყო, წლიური 20% სარგებლით.

30. კასატორის შემდეგი პრეტენზიის მიხედვით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სესხი სარგებლიანი იყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაფორმასავალდებულო გარიგებების მიმართ განამტკიცებს ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ ხელშეკრულების ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეებმა სესხის ხელშეკრულებისათვის წერილობითი ფორმა განსაზღვრეს, სადაც გაითვალისწინეს საპროცენტო სარგებელიც (იხ. პ. 25), 2016 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებაშიც, რომლითაც მხარეებმა სესხის ვადა გააგრძელეს, მითითებულია, რომ სესხი – 524 000 აშშ დოლარის წლიური 20%-იანი განაკვეთით იყო გაცემული. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც წერილობითი ხელშეკრულებით სესხის სასყიდლიანობა დგინდება, კასატორი დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, პარტნიორთა გადანყევითებაში, რომლითაც საზოგადოების დირექტორს სესხის გაცემის ნება დაერთო ანდა გადარიცხვის მიზნობრიობაში სარგებლის შესახებ რატომ უნდა ყოფილიყო მითითებული. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ სესხის სარგებლიანობის შესახებ მტკიცებას წარამატებით გაართვა თავი, ხოლო მოპასუხის შედავება დაუსაბუთებელია.

31. მოსარჩელის მეორე მოთხოვნის მოპასუხისათვის გადაცემული თანხის – 15 000 აშშ დოლარის დაბრუნების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 623-ე მუხლი (სესხის ხელშეკრულებით გამ-

სესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი). ამ მოთხოვნის წინააღმდეგ წარდგენილი მოპასუხის შესაგებელი იმას ეფუძნება, რომ საქმეში არ არის წარდგენილი ირიბი სახის მტკიცებულება, რომელიც მიანიშნებდა მაინც მივლინების ხარჯის – 15 000 აშშ დოლარის მოსარჩელის მიერ მოპასუხე კომპანიისათვის გადაცემას. პალატა არ იზიარებს კასატორის ამ პრეტენზიას და ყურადღებას მიაქცევს შემდეგს: 2016 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებაში, რომლითაც მხარეებმა სესხის ხელშეკრულების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელეს, მითითებულია, რომ „მოსარჩელემ გაცა დამატებითი ფინანსური დახმარების სახით 15 000 აშშ დოლარი მივლინების ხარჯებისათვის მოპასუხე კომპანიის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის რუსეთში გაყიდვის მიზნით“, ხოლო „მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მოცემული თანხა – 15 000 აშშ დოლარი 2016 წლის 31 დეკემბრამდე“.

32. პალატა კიდევ ერთხელ, მიუთითებს, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემაა (შდრ. სუსგ №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი). როგორც საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ. სუსგ №ას-398-371-2017, 6 ივნისი, 2017 წელი). 2016 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებაში პირდაპირაა მითითებული მსესხებლის მიერ კონკრეტული თანხის – 15 000 აშშ დოლარის მიღების თაობაზე. თუ სესხის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სესხის თანხა უკვე გადაცემულია, ივარაუდება, რომ გამსესხებელმა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მსესხებლისათვის ფულის გადაცემის თაობაზე, შეასრულა, ვინაიდან თანხის სა-

კუთრებაში გადაცემა შეიძლება თანხის ფაქტობრივი გადაცემით ანდა გადაცემის აღიარებით მოხდეს. რამდენადაც 2016 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით, რომელსაც ორივე მხარე აწერს ხელს, სესხის თანხის გადაცემა „აღიარებულია“, საკასაციო სასამართლო ამ საბუთს დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოპასუხემ მოსარჩელისაგან სესხად მიიღო 15 000 აშშ დოლარიც.

33. კასატორი მითითებული შეთანხმების ბათილობაზე რამდენიმე საფუძვლით აპელირებს, კერძოდ, მისი პრეტენზიის მიხედვით, ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმებული არ არის და არც საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული; მასზე ხელისმომწერი პირი – მოპასუხე კომპანიის დირექტორი, არ ფლობს რუსულ ენას; ეს უკანასკნელისათვის მოპასუხე კომპანიის პარტნიორებს არ მიუნიჭებიათ ამ ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება. რეესტრიდან ამონაწერით ირკვევა, რომ მოპასუხე საწარმოს დირექტორი ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იყო, წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის შესახებ რაიმე ჩანაწერი არ არსებობს. კასატორის პრეტენზია, რომ მან რუსულენოვან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ისე, რომ რუსული არ იცოდა, არასათანადო შედაგებაა და არ ქმნის შეთანხმების ბათილობის წინაპირობას. რაც შეეხება დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებას, როგორც აღინიშნა, სესხი არაფორმასავალდებულო გარიგებაა და მხარეებმა მისი ნამდვილობის წინაპირობად მარტივი წერილობითი ფორმა განსაზღვრეს. გარიგებით არც რეგისტრაციასავალდებულო უფლება ან ვალდებულება არ წარმოშობილა, შესაბამისად, რეესტრში რეგისტრაციას არ ექვემდებარებოდა.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე საწარმო მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს სათანადოდ ვერ შეედავა და მისი შესაგებელი დაუსაბუთებელია.

35. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეგებებული მოსარჩელეების მოთხოვნა წარმატებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი შესრულებული იქნებოდა სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან

ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) და 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

36. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებია: მხარეთა შორის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა, ვალდებულების ბრალეული დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების დარღვევასა და ზიანს შორის. დასახელებული შემადგენლობიდან რომელიმე ელემენტის არარსებობა გამოირიცხავს იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც შეგებებული სარჩელის მოსარჩელეს სურს.

37. შეგებებული სარჩელის მოსარჩელე ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის თაობაზე მოთხოვნას აფუძნებს 2015 წლის 18 მაისის ე.წ. „ბიზნესგეგმას“. გარდა იმისა, რომ ამ დოკუმენტში არ არის მითითებული შეგებებული სარჩელის მოპასუხეთა რაიმე ვალდებულების შესახებ, მას ხელს ანერს მხოლოდ შეგებებული სარჩელის მოსარჩელე. მასში მითითებულია ე.წ. „ბიზნეს წინადადების“ შესახებ, რომელიც არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებას. ამდენად, შეგებებულ მოსარჩელეს, სახელშეკრულებო ზიანისათვის, პირველ რიგში, მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა უნდა ემტკიცებინა. რაკი არ დასტურდება მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისა და რაიმე ვალდებულების არსებობის ფაქტი, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა გამოირიცხება, რადგან შეგებებული სარჩელის მოსარჩელე ზიანის მიყენებას სწორედ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას უკავშირებს.

38. კასატორი 2017 წლის 17 ოქტომბრის მოსარჩელე საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმის ბათილობას იმ საფუძველით მოითხოვს, რომ წილის გამყიდველი არ იყო მიწვეული პარტნიორთა კრებაზე. პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებული საფუძველი პარტნიორთა კრების ოქმის ბათილობის წინაპირობას არ ქმნის. დადგენილია, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო წილის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. აქედან გამომდინარე, ვიდრე გამყიდველი საწარმოს წილს გამოისყიდოდა, საწარმოს პარტნიორად, გამყიდველის ნაცვლად, მიიჩნეოდა მყიდველი. შესაბამისად, კრებას მისი მოწვევის ვალდებულება არ გააჩნდა. რაც შეეხება კრების გადაწყვეტილების შინაარსს, დადგენილია, რომ კრების 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მეორე პარტნიორი მოსარჩელე კომპანიიდან გამოვიდა მის წილ კაპი-

ტალთან ერთად, ხოლო საზოგადოების 100% წილის მესაკუთრე გახდა პირველი პარტნიორი. დადგენილია ისიც, რომ 2016 წლის 15 აპრილს მეორე მოპასუხესა და მეორე პარტნიორს შორის დადებული გამოსყიდვის უფლებით წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში წილის მესაკუთრედ დარეგისტრირდა მყიდველი, ხოლო წილთან დაკავშირებული გამოსყიდვის ვალდებულება არ დარეგისტრირებულია.

39. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ასევე რეგისტრირდება წილზე უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ამავე კანონის 51 მუხლის 51 პუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის წილზე საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ვალდებულება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ნორმა განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოების წილზე საკუთრების უფლებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის წინაპირობას. მოცემულ შემთხვევაში, გამოსყიდვაზე უფლებამოსილმა პირმა არ მიიღო რა შესაბამისი ზომები საკუთარი უფლების უზრუნველსაყოფად და არ დაარეგისტრირა წილთან დაკავშირებული გამოსყიდვის ვალდებულება, მისი პრეტენზია, რომ საბოლოოდ, მყიდველს უფრო მეტი ღირებულების ქონება დარჩა საკუთრებად, ვიდრე მის მიერ გამყიდველის გასტუმრებული ვალი იყო (150 000 აშშ დოლარი), დაუსაბუთებელია.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სწორია.

41. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკ-

მაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრისა და 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინებებით კასატორებს გადაუვადდათ საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის დასრულებამდე. აქედან გამომდინარე, კასატორებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ე-ისა“ და გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

3. შპს „ე-სა“ და გ. ბ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრისა და 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინებებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 3900 ლარის გადახდა.

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ნარდობა

ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

განმცხადებელი საქართველოს სახელით

№ას-601-2020

13 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „მ.ქ.კ-მა“ (შემდგომ – შემკვეთი, მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ.ს-სის“ (შემდგომ – მენარდე, მოპასუხე, აპელანტი) მიმართ 25 000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 2014 წლის დეკემბრიდან საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიურად 4375 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. 2014 წლის 25 ნოემბერს მოსარჩელემ და მოპასუხემ დადეს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნისა და მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მენარდეს უნდა შეექმნა, დაენერგა და შემკვეთისათვის გადაეცა კომპიუტერული პროგრამის ერთი ეგზემპლარი. პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა 11 მოდულისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების ღირებულება 50 000 ლარით განისაზღვრა. შემკვეთმა ავანსად 2014 წლის 8 დეკემბერს გადაიხადა 25 000 ლარი.

3. მენარდეს კომპიუტერული პროგრამა უნდა შეექმნა შემკვეთის მიერ დასმული ამოცანებისა და მოთხოვნების შესაბამისად და სრულად მიეწოდებინა/დაენერგა 2015 წლის 1 მაისამდე. მან 2015 წლის მარტში შემკვეთს მიაწოდა რამდენიმე მოდულის საცდელი ვერსია. მოდულების ტესტირების ფარგლებში გამოვლინდა არაერთი ხარვეზი, რის თაობაზეც მენარდე ინფორმირებული იყო.

4. ვინაიდან შემუშავებული მოდულები ვერ მუშაობდა გამართულად, მხარეთა შორის გაიმართა არაერთი შეხვედრა და ტრენინგი, რა დროსაც დეტალურად განიხილებოდა პროგრამის ხარვეზები. მე-

ნარდეს არაერთხელ მიეცა დამატებითი ვადა კომპიუტერული პროგრამის გასამართად. 2016 წლის 6 სექტემბრის ელექტრონული წერილით, საბოლოო ვადა განისაზღვრა 2016 წლის 17 სექტემბრით. დამატებითი ვადაც უშედეგოდ გავიდა. ამდენად, მენარდემ ვერც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ვერც დამატებით ვადაში ვერ უზრუნველყო ნაწილი მოდულების შექმნა, ხოლო ნაწილის – იმდაგვარად შექმნა და დანერგვა, რომ პროგრამას მონაცემები სწორად აესახა, შეენახა და დამუშავებინა.

5. ვინაიდან მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შემკვეთმა 2016 წლის 22 სექტემბრის ელექტრონული წერილით აცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა ავანსად გადახდილი თანხის – 25 000 ლარის უკან დაბრუნება.

6. მოსარჩელის განმარტებით, რაკი მოპასუხემ ვალდებულება ვერ შეასრულა ჯეროვნად, დათქმულ ვადაში, მოსარჩელემ თანხა ვალდებულების გარეშე გადაიხადა, რაც ფაქტობრივად ქონებრივი დანაკლისია. ამ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნული ვალუტით 17.5 პროცენტი იყო. მოსარჩელეს თავისი საქმიანობისათვის, რომ გამოეყენებინა ავანსად გადახდილი 25 000 ლარი, იგი მიიღებდა სარგებელს წლიურად 4 375 ლარს, რაც მოპასუხეს მიუღებელი შემოსავლის სახით უნდა დაეკისროს.

მოპასუხის შესაგებელი

7. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, ვალდებულების დადგენილ დროში შეუსრულებლობა გამომწვეული იყო ორი ფაქტორით, რომლებიც ნათლად ჩანს ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: მოსარჩელემ მოპასუხეს პროგრამის შესაქმნელად არ მიაწოდა ფუნქციონალების ზუსტი ჩამონათვალი და პირობები, ხშირად უწევდათ უკვე შექმნილი მოდულის გარდაქმნა ან მასში ფუნქციონალის ჩამატება, რასაც ლოგიკურია, სჭირდებოდა დრო. ხელშეკრულების მიხედვით, მხარეს მზა პროგრამა შემკვეთისათვის უნდა გადაეცა 2015 წლის 1 მაისამდე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ თარიღის შემდეგაც კი, მოსარჩელეს თავის განსაზღვრულ ფუნქციონალებში შექმნა ცვლილება/დამატება. ამდენად, დათქმულ ვადაში პროგრამის სრულიად გამართული სახით მიუწოდებლობა მხოლოდ მოპასუხის პასუხისმგებლობა ვერ იქნება.

8. მოსარჩელეს პრეტენზია აქვს შექმნილი და დანერგილი პროგრამის ნაკლოვანებაზე, მაშინ, როდესაც ვერ ასაბუთებს კონკრეტულად რა ნაწილში აღმოჩნდა ხარვეზიანი, პროგრამა ასახავდა ინფორმაციას მომხმარებლის შესახებ მონაცემების შეყვანის ეტა-

პიდან სესხის გაცემამდე და მის თანმდევ მთელ პროცედურას. გაურკვეველია უშუალოდ რომელ ნაწილში მიიჩნია მოსარჩელემ პროგრამა ხარვეზიანად. მეტიც, წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მხარემ მიიღო და სარგებლობდა შეკვეთილი პროგრამით.

9. გარდა ამისა, მიგრაციის პროცესის შემდეგ მოპასუხემ არაერთხელ სთხოვა მოსარჩელეს, მიეწოდებინა ლოანკეპერ-ში დაცული მონაცემები ზუსტად, რაც ვერ მოხერხდა. მოპასუხეს მიეწოდა არაზუსტი ინფორმაცია, რომლის რედაქტირება და ახალ პროგრამაში ასახვა მოითხოვდა შესაბამის დროსა და რესურსს. მოპასუხეს უწევდა თითოეული სესხის დამუშავება მისი მიზნობრიობის, თანხის დარიცხვების, პროცენტის დარიცხვის წესების და სხვა სპეციფიკური თვისებების შესწავლა, რაც მისი მოვალეობა არ იყო. ამდენად, მოპასუხე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს, მოსარჩელეს უწევდა ტექნიკურ მხარდაჭერას, პროგრამის სარგებლობასთან დაკავშირებით მის თანამშრომლებთან მართავდა ტრენინგებს. არასამართლიანი და დაუსაბუთებელია როგორც ამ მოტივით ხელშეკრულების შეწყვეტა, ისე – მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობად მიჩნევა.

10. მოპასუხე არ ცნობს მოსარჩელის მოთხოვნას არც მიუღებელი შემოსავლის ნაწილში დაუსაბუთებლობის მოტივით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივრო ნაწილი:

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 25 000 ლარის გადახდის ვალდებულება დაეკისრა. დარჩენილ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

12. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივრო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავო იყო, რომ მენარდემ შემკვეთს პროგრამის სატესტო ვერსია 2014 წლის ბოლოს, ხოლო 2015 წლის მარტში 8 მოდულისგან შემდგარი კომპიუტერული პროგრამის საცდელი ვერსია მიაწოდა. სააპელაციო პა-

ლატამ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ გადაცემული პროგრამა ფუნქციონალურად გამართული იყო, რაც საქმის მასალებში წარდგენილი ტრენინგის ჩანაწერებით დგინდებოდა.

15. რაც შეეხება ე.წ „მიგრაციის“ პროცესს, პალატამ მიიჩნია, რომ მისი შესრულება მენარდის ვალდებულება იყო, თუმცა შემკვეთის სარგებლობაში არსებული ძველი პროგრამიდან (Loan Keeper) მენარდის მიერ შექმნილ ახალ პროგრამაში (Nova) მონაცემთა მიგრაციის წარუმატებლობა, შემკვეთის მიერ მენარდისთვის არაზუსტი და არასრული ინფორმაციის გადაცემის შედეგი იყო.

16. საქმეში წარდგენილი წერილობითი მიმოწერის კვლევის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ შესრულება ნაკლიანი იყო, თუმცა ნაკლი ცალსახად შემკვეთის მფლობელობაში არსებული პროგრამის მიერ ინფორმაციის არასწორი და არასრული დამუშავების შედეგი იყო. მიმოწერაში საუბარია სხვა პროგრამულ ხარვეზებზეც, როგორებიცაა – მენეჯერის ლილაკის გააქტიურება, ხელშეკრულების გახსნა და სხვა მრავალი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ცალსახაა, რომ ტექნიკურ პრობლემებს მენარდე მალევე ასწორებდა, ვინაიდან მათზე განმეორებითი მიმოწერა აღარ იმართებოდა. რაც შეეხება Loan Keeper-ის პროგრამიდან მენარდის მიერ შექმნილ პროგრამა Nova-ში მონაცემთა მიგრაციას, საქმის მასალებში წარდგენილი მიმოწერის სრული უმრავლესობა სწორედ ამ საკითხს შეეხება, საიდანაც დგინდება, რომ მიგრაციის პროცესის წარუმატებლობა არა მენარდის ზერელე, უპასუხისმგებლო ან არაპროფესიულმა მიდგომამ, არამედ შემკვეთის სარგებლობაში არსებულ პროგრამაში განთავსებული ინფორმაციის უზუსტობამ გამოიწვია.

17. საბოლოოდ, პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ საქმეზე ვერ წარადგინა იმგვარი შეუდავებელი მტკიცებულება, რომლითაც მენარდის მიერ არსებითი გადაცდომის ჩადენისა და მიგრაციის პროცესის მენარდის ბრალეული ქმედების გამო შეუსრულებლობის ფაქტი დადასტურდებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, აპელანტმა შეძლო, სასამართლოსთვის შეექმნა მტკიცებულებებით გამყარებული შინაგანი რწმენა, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოს მის მიერ შექმნილი პროგრამა (8 ფუნქციონალი) მოპასუხეს გადაეცა, იგი სატესტო რეჟიმში მუშაობდა და გამოვლენილ ფუნქციურ ხარვეზებს მენარდე მყისიერად ასწორებდა. რაც შეეხება მიგრაციის პროცესს, რომლის წარუმატებლობამაც, საბოლოოდ, პროგრამის ექსპლუატაციაში ჩაშვების შესაძლებლობა გამოიჩინა, არა მენარდის არაჯეროვანი შესრულების, არამედ შემკვეთის სარგებლობაში არსებული ძველი პროგრამის არასრული და არასწორი ინ-

ფორმაციის გამო ვერ მოხერხდა, რაც მენარდისთვის ავანსის სახით გადახდილი 25 000 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლიანობას გამოიწვევდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

19. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ნარდობისამართლებრივ ურთიერთობად. მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან ის არ ითვალისწინებდა შექმნილ პროდუქტზე მოპასუხისათვის საკუთრების უფლების გადაცემას, არამედ პროგრამის ერთი ეგზემპლარით სარგებლობის უფლებას, ხოლო ეგზემპლარის გადაცემის შემდეგ მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდებოდა მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ ნარდობის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 644-ე მუხლით და უნდა დაედგინა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის პატივსაღები საფუძველი.

20. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, კერძოდ, მოსარჩელეს კი არ უნდა დაჰკისრებოდა უარყოფითი ფაქტის მტკიცების ტვირთი, არამედ მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა მოსარჩელისათვის გამართული პროგრამის გადაცემის ფაქტი.

21. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ შემკვეთის სარგებლობაში არსებული ძველი პროგრამიდან მენარდის ახალ პროგრამაში მონაცემთა მიგრაციის წარუმატებლობა შემკვეთის მიერ მენარდისათვის არაზუსტი და არასრული ინფორმაციის გადაცემის შედეგი იყო. გადაწყვეტილებაში მოხმობილი მხარეთა ელექტრონული მიმოწერები არა მიგრაციის პროცესს და მენარდის მიერ შექმნილი პროგრამის ფუნქციურ გამართულობას, არამედ ერთ-ერთ მოდულს – რეპორტიנגს უკავშირდებოდა.

22. არცერთ მიმოწერაში არ ჩანს, რომ შემკვეთი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მენარდეს ან ძველი ბაზიდან არასწორი ინფორმაციის მიღება ხდებოდა. წერილებიდან არც ის დასტურდება, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის პროგრამის ალგორითმის მიწოდების ვალდებულება და მენარდის მიერ შექმნილი ახალი პროგრამის ხარვეზების გამოსწორება შემკვეთის პასუხისმგებლობა იყო. მიგრაციისათვის მენარდე ითხოვდა მონაცემთა ბაზის სრულ back-up-ს. 23.01.2015 წლის წერილიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ

2015 წლის იანვარში მენარდეს სრულად გადაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად, გაუგებარია, სააპელაციო სასამართლო რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე მენარდესა და შემკვეთს შორის სწორი მონაცემების გადაცემის თაობაზე დისკუსია მიმდინარეობდა, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, მენარდეს 2015 წლის 1 მაისამდე უნდა გადაეცა პროგრამა. საინტერესოა, რას აკეთებდა შემკვეთი 2015 წლის მაისიდან ამავე წლის ნოემბრამდე?

23. ამასთან, მხარეები ხელშეკრულებით არ შეთანხმებულან და არც მიმოწერით არ დასტურდება, რომ მენარდე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უკავშირებდა შემკვეთის მიერ ინფორმაციის გამოთხოვასა და მიწოდებას. შემკვეთის ძველი პროგრამა რომ არასრულყოფილი იყო და ვერ აკმაყოფილებდა მოსარჩელის მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ გაჩნდა ახალი პროგრამის შექმნისა და შეძენის საჭიროება. შესაბამისად, მოპასუხის აპელირება, რომ ძველი პროგრამა ვერ ასრულებდა კონკრეტულ დავალებებს, ვერ გახდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

26. უპირველესად, საკასაციო პალატა ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები არ მოიცავს ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის

დამახასიათებელ ნიშნებს. ხელშეკრულების ცალკეული სახის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია ის არსებითი უფლება-მოვალეობები, რომლებსაც მხარეები იძენენ გარიგების შედეგად. ნასყიდობის ხელშეკრულება მიმართულია უკვე არსებული საქონლის გადაცემასთან. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, ამავე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით შეექმნა, დაენერგა და მოსარჩელისათვის გადაეცა კომპიუტერული პროგრამის ერთი ეგზემპლარი. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულებას ნარდობის ხელშეკრულების შინაარსი აქვს. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი. ნასყიდობა კი, განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, საქონლის წარმოება – დამზადებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არ არეგულირებს (მდრ: იხ. სუსგ №ას-1162-1091-2012, 7.03.2013).

27. მოსარჩელის მტკიცებით, მან ხელშეკრულებაზე უარი ნაკლის გამო თქვა, შესაბამისად, მოპასუხისათვის ავანსად გადახდილი 25 000 ლარი უნდა დაუბრუნდეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 644-ე (ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები), სსკ-ის 405.1 (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი) და სსკ-ის 352.1 (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) მუხლებს ეფუძნება. ეს უკანასკნელი ნორმა განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ

შედეგს. იგი გამოიხატება მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში.

28. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 644-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების არსებობა; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაკლიანი შესრულება; ვალდებულების დარღვევისათვის მენარდე მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი (მდრ: სუსგ №ას-1003-924-2017; 1 დეკემბერი, 2017. პ.34).

29. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, შესრულება ნაკლიანი არ იყო. ამასთან, მიგრაციის ხარვეზი დიდწილად გამოწვეული იყო მოსარჩელის ბრალით, რადგან პროგრამის ექსპლუატაციაში მიუღებლობა გამოიწვია არა იმ ფაქტმა, რომ პროგრამა ფუნქციური თვალსაზრისით არ იყო შექმნილი ან გამართულად ვერ მუშაობდა, არამედ იმან, რომ შემკვეთის სარგებლობაში არსებულ პროგრამაში (Loan keeper) შენახული ინფორმაცია იყო არაზუსტი, რაც ახალ პროგრამაში (Nova) გადმოტანის შემდგომ, ლოგიკურ სხვაობას იძლეოდა. ამდენად, მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, შემკვეთი ხელშეკრულებიდან სსკ-ის 636-ე მუხლის (შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანი) შესაბამისად გავიდა, რასაც არ მოსდევს რესტიტუცია.

30. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შემკვეთის მიერ ნაკლიანი შესრულება მენარდისთვის არაზუსტი და არასრული ინფორმაციის გადაცემის შედეგი იყო, კერძოდ, საქმეში არსებული არაერთი წერილობითი მტკიცებულებიდან, მათ შორის, თავად შემკვეთი კომპანიის რეპორტირების დეპარტამენტის სპეციალისტის – მ. ა. (შემდგომ – სპეციალისტი) 2015 წლის 4 ნოემბრის წერილიდან ირკვეოდა, რომ იგი აქტიურად ეკონტაქტებოდა Loan Keeper-ის ბაზის ადმინისტრატორ გ. რ-ს (შემდგომ – ძველი პროგრამის ადმინისტრატორი). ამის შესახებ იგი მენარდე კომპანიის პროექტის მენეჯერ გ. კ-ას (შემდგომ – პროექტის მენეჯერი) წერს და ეუბნება, რომ ძველი პროგრამის ადმინისტრატორმა კიდევ ერთი ვერსია გაუგზავნა, მაგრამ იქაც ხარვეზებია, ისევე მიუთითა გარკვევით, თუ რა მონაცემები ესაჭიროებოდა, ასევე აღნიშნავდა, რომ არ მოუშვებოდა, სანამ სწორ ვერსიას არ გააკეთებს. მენარდე კომპანიის პროექტის მენეჯერის 2015 წლის 3 ნოემბრის წერილში, რომლის ადრესატი შემკვეთი კომპანიის 10 წარმომადგენელი იყო, მათ შორის, კომპანიის გენერალურ დირექტორი, სესხების დეპარტამენტის უფროსი, რეპორტირების დეპარტამენტის

სპეციალისტი, მენეჯერი შემკვეთებს განუმარტავს, რომ Loan Keeper-ის ბაზის ადმინისტრატორისათვის მიემართათ და 100%-იანი სწორი სიის ამოღების საშუალება ჰქონოდათ, რათა მისთვის სხვადასხვა დროს რეპორტის გამორთმევა აღარ დასჭირვებოდათ, რადგან ის არაერთ შეცდომას შეიცავდა. ამავე წერილში პროექტის მენეჯერი შემკვეთებს მიმართავს, რომ გაკეთდეს რეპორტი და გადამოწმდეს აქტიურ სესხებზე შემოწმების მომენტისთვის ნამდვილად სწორი ინფორმაციის არსებობა, ამის შემდეგ შემსრულებელი ახალი რეპორტის საფუძველზე ხელახალ მიგრაციას გააკეთებს. 2015 წლის 14 დეკემბერს რეპორტირების დეპარტამენტის სპეციალისტმა მენარდე კომპანიის პროექტის მენეჯერს გაუგზავნა ძველი პროგრამის ადმინისტრატორთან მიმონერა, ასევე ტექსტი, რომ საბოლოოდ ამ უკანასკნელმა ვერ გაუგზავნა ის მონაცემები, რაც მათ სჭირდებოდათ, მაგრამ ამაზე მეტის გაკეთება მას არ შეუძლია. ამავე პირებს შორის 2016 წლის 9 მარტის მიმონერით დადგინდა, რომ ამ დროის განმავლობაში ძველი პროგრამის ადმინისტრატორთან კომუნიკაცია გრძელდებოდა, მას დამატებითი დეტალების გასარკვევად უკავშირდებოდნენ, თუმცა – უშედეგოდ. მოგვიანებით სპეციალისტმა მენარდე კომპანიის მენეჯერს რეპორტის შაბლონები გაუგზავნა, თუმცა იქვე მიუთითა, რომ ამას შემკვეთი კომპანია ფაქტობრივად არ იყენებდა, რადგან ისიც ხისტად მიჰყვება დადგენილ გრაფიკს და კლიენტის რეალურ მიმდინარე დავალიანებას არ ითვალისწინებდა, რის გამოც დაგეგმილი დაფარვები არასწორი იყო. ძველი პროგრამის ადმინისტრატორსა და სპეციალისტის ერთ-ერთ მიმონერაში, სადაც ეს უკანასკნელი კვლავ ითხოვს ნებისმიერ სესხზე პროცენტის უწყვეტად გადაცილების დაწყების თარიღამდე არსებული მაქსიმალური გრაფიკის თარიღს, ადმინისტრატორი პასუხობს, რომ Loan Keeper-ის პროგრამა ახლა რასაც ითვლის ის არის მაქსიმუმი და ეს საკითხი უნდა დაეხურათ. გარდა ამისა, 2016 წლის 22 სექტემბერს, მენარდე კომპანიის გენერალური დირექტორი შემკვეთი კომპანიის გენერალურ დირექტორს წერს, რომ მიგრაციაში გამოვლენილი უზუსტობების გადამოწმება და გასწორება მხოლოდ მათი პასუხისმგებლობის საკითხი ვერ იქნება, ვინაიდან მიღებული მონაცემების არასრულყოფილების გამო, საკმაოდ ბევრი რესურსი დაეხარჯათ ნორმალიზაციისა და დალაგებისთვის და მათი სისწორის სისტემური საშუალებებისთვის სხვა საშუალება არ არსებობდა. საპასუხო წერილში მიგრაციისთვის გადაცემული მონაცემების სიზუსტის შესახებ არაფერია ნათქვამი. ასევე, 2016 წლის 13 ივნისის ელექტრონულ წერილში მითითებულია: „მიგრაციის პრობლემები და დრო, რომელიც დაიხარჯა მათ გასწორება-

ზე, გამოწვეულია არსებულ მონაცემებში ძალიან დიდი რაოდენობა უზუსტობებისა და ძალიან ბევრი პრობლემური სესხების არსებობიდან (წინასწარ გადახდის შემთხვევაში, Loan Keeper კლიენტს ახდევინებს გადახდის დღისთვის დარიცხულზე მეტ პროცენტს, არის შემთხვევები, როდესაც ჯარიმები მეტია გადახდილი, ვიდრე დარიცხულია, გადახდებისას არ არსებობს გადახდის დრო, არის მხოლოდ თარიღი, რაც რესტრუქტურებული სესხების მიგრაციას ურევს (რესტრუქტურიზაციის დღეს არსებული გადახდა უნდა მივაკუთვნოთ ან ძველ ან ახალ სესხს, რაც კალენდარულად ცვლის შედეგს), ბაზაში არ არსებობს მონაცემი იმის თაობაზე, თუ რამდენის გადახდა უწევს კლიენტს და ამის კალკულაცია პირდაპირ Loan Keeper-ის სისტემაში, უცნობი ალგორითმით ხდება, უკვე დაფარული გრაფიკების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს და ა.შ.“. საპასუხო წერილში შემკვეთის წარმომადგენლები Loan Keeper-ის სისტემაში არსებულ ხარვეზებზე პროტესტს არ გამოთქვამენ და საწინააღმდეგო აზრს არ აფიქსირებენ.

31. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების წინააღმდეგ (ნაკლიანი შესრულება მენარდისთვის არაზუსტი და არასრული ინფორმაციის გადაცემამ გამოიწვია) კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია (სსსკ-ის 407.2 მუხლი). არ არის გასაზიარებელი კასატორის პრეტენზია, რომ წერილები არ უკავშირდება მიგრაციის პროცესს, არამედ ერთ-ერთ მოდულს – რეპორტირებს. ელექტრონული წერილების შინაარსიდან ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ მიმონერა მიგრაციის პროცესის ხარვეზებს შეეხებოდა და როგორც ზემოთ მოხმობილი წერილების ამონარიდებიდან ირკვევა, მათში ზუსტად, რომ მიგრაციის პროცესზეა საუბარი.

32. ამ მიმართებით კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ სასამართლომ მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა, კერძოდ, მოსარჩელეს კი არ უნდა დაჰკისრებდა უარყოფითი ფაქტის მტკიცების ტვირთი, არამედ მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა მოსარჩელისათვის გამართული პროგრამის გადაცემის ფაქტი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრეტენზია დაუსაბუთებელია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმე-

თა ჩვენებით, ფაქტების კონსტანტაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს აკისრია (მდრ. სუსგ №ას-1324-2019, 12 მარტი, 2021 წელი; №ას-58-2020, 11 მარტი, 2020 წელი). გარდა ამისა, პრეტენზია არარელევანტურია იმიტომაც, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინდა შესრულების ნაკლიანობა და კასაციის ეტაპზე ეს სადავო გარემოებას აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მენარდემ სსკ-ის 644-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის მესამე წინაპირობა დაამტკიცა, კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ვალდებულების დარღვევისათვის უმთავრესად მენარდე თავად არ იყო პასუხისმგებელი და ხარვეზი ძირითადად შემკვეთის ბრალით იყო განპირობებული, კასატორს სწორედ ამ ფაქტის გაბათილება ევალებოდა, რაც მან ვერ შეძლო.

33. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ კასატორმა (შემკვეთმა), მართალია, დაძლია ნაკლიანი შესრულების მტკიცების ტვირთი, თუმცა, რაკი მოპასუხემ დაამტკიცა, რომ ნაკლი მოსარჩელის ბრალით იყო გამოწვეული, ამ უკანასკნელი რესტიტუციის თაობაზე მოთხოვნა დაუსაბუთებელია. შესაბამისად, მენარდე ხელშეკრულებიდან გავიდა სსკ-ი 636-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც შემკვეთს ხელშეკრულებაზე უარის უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჰქონდა, მათ შორის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიუხედავად, რადგან ნორმა სახელშეკრულებო სამართალში ე.წ. საგამონაკლისო დანაწესია, რომელიც შემკვეთს ნებისმიერ დროს, უპირობოდ ანიჭებს უფლებას, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (იხ. სუსგ №ას-697-663-2015, 15 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-901-851-2015, 5 თებერვალი, 2016 წელი; №ას-981-926-2015, 11 მარტი, 2016 წელი).

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანაცვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანაცვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „მ.ქ.კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1973-2018

26 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიჭაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: თანხის დასკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით შპს ფ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმო ან მენარდე) სასარჩელო მოთხოვნა შპს G.R.-ის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, შემკვეთი ან კასატორი) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დავალიანების – 20 288,70 ლარის გადახდა დაეკისრა.

2. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მენარდის სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 16 ოქტომ-

ბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

4. სააპელაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე შემდეგი გარემოებები დაადგინა:

4.1. მენარდე სანარმოსა და შემკვეთს შორის, 2012 წლის 8 ოქტომბერს, გამარტივებული წესით დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

4.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კურორტ „გ“-ზე შემკვეთი სანარმოს კუთვნილი ადმინისტრაციული და სასტუმროს მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად. ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, 751 795 ლარს შეადგენდა. ანაზღაურება უნდა მომხდარიყო უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეტაპობრივად, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციულად;

4.3. ხელშეკრულებაში 2013 წლის 9 იანვარს შევიდა ცვლილება და მისი მოქმედების ვადა 2013 წლის 31 ივლისამდე განისაზღვრა, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები დარჩა უცვლელი;

4.4. მენარდე სანარმო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს ეტაპობრივად ასრულებდა და შემკვეთი სანარმო (აპელანტი) შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ნაწილ-ნაწილ, უნაზღაურებდა.

4.5. საბოლოოდ მენარდემ სამუშაო 2013 წლის 31 ივლისს დაასრულა და ამ დროისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 30 032,68 ლარი შეადგინა. შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ხარისხი დაამოწმა აპელანტის (შემკვეთის) მიერ დანიშნულმა ტექნიკურმა ზედამხედველმა, შპს „გ-მა“ (შემდეგში: ტექნიკური ზედამხედველი). ამის საფუძველზე, მენარდემ გამოწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა №ეა-701496495, რომელიც შემკვეთმა დაადასტურა და თანხის ნაწილი – 9743 ლარი გადაიხადა კიდეც, ხოლო დანარჩენი თანხა აღარ გადაუხდია. შესაბამისად, შემკვეთის დავალიანება მენარდის მიმართ 30032.68- 9743=20289.68 ლარია. მენარდემ სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ 20 288,70 ლარის ფარგლებში დაუყენა მოპასუხეს (შემკვეთს).

5. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა აპელანტს (შემკვეთს), რომ გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვისას გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება არეგულირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქა-

ლაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია;

6. ზემოხსენებული ბრძანება „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოიცა და იგი აწესრიგებს იმგვარ ურთიერთობას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ცალკე დარეგულირებული არ არის, ე.ი. იგი კანონის ნორმებს ავსებს. ამის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის დროს განეული მომსახურების ანაზღაურება სწორედ ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე უნდა მოხდეს (შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-487-455-2017). აღნიშნული ნორმატიული აქტის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით უნდა განისაზღვროს;

7. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, უდავოა, რომ აპელანტმა (შემკვეთმა) მოწინააღმდეგე მხარისაგან სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული ფორმით შეისყიდა, ამიტომ მას გადახდის ვალდებულება, სწორედ, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით ეკისრებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 8.3. პუნქტითაც, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ფარგლებში უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე უშუალოდ შემსყიდველის და საამისოდ შერჩეული პირის (ტექნიკური ზედამხედველის) მიერ დადასტურებული აქტი იარსებებდა. თუმცა, იმავდროულად, არც ზემოხსენებული ბრძანება და არც ხელშეკრულება ამ დანახარჯების განსაზღვრას მაინცდამაინც სსიპ ლევან სამზარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე არ ითვალისწინებდა;

8. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 8.3 და 10.2 პუნქტების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირება შემკვეთის მიერ „სპეციალურად დაქირავებულ პირს“, ტექნიკურ ზედამხედველს უნდა განეხორციელებინა. მასვე უნდა დაედგინა შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბა-

მისობა. ამის შესაბამისად, აშკარაა, რომ, ხელშეკრულების მიხედვით, ფაქტობრივი დანახარჯების დადგენა სწორედ, ტექნიკური ზედამხედველის მოვალეობა იყო.

9. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმის მასალებში მოთავსებულ მასალებზე და მიუთითა აპელანტის 2013 წლის 1 აგვისტოს წერილზე, რომელშიც საუბარია მის (შემკვეთის) მიერ მენარდე სანარმოსათვის საბოლოო ანგარიშსწორებამდე გადახდილი საზღაურის თაობაზე, თუმცა ექსპერტის დასკვნა ნახსენები არ არის. მსგავსი მტკიცებულება აპელანტს არც სასამართლოსათვის წარუდგენია – საქმეში არსებული 2014 წლის 20 მარტის დასკვნა არა მოსარჩელეს, არამედ სხვა სანარმოს ეხება. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით ნათელია, რომ რეალურადაც, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ანაზღაურება სწორედ ტექნიკური ზედამხედველის მიერ შედგენილი საბუთების საფუძველზე ხორციელდებოდა.

10. საქმის მასალების მიხედვით, აპელანტის მიერ დანიშნულმა ტექნიკურმა ზედამხედველმა ფაქტობრივი დანახარჯების საფუძველზე, აპელანტის (შემკვეთი სანარმოს) ვალდებულების მოცულობა განსაზღვრა, სწორედ ამის საფუძველზე შეადგინა მოსარჩელემ (მენარდემ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც აპელანტმა (შემკვეთმა) – დაადასტურა და მომსახურების ნაწილი აანაზღაურა კიდევც.

11. სსკ-ის 325-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების პირობების დადგენა შესაძლებელია. ეს ნიშნავს, რომ აპელანტის ვალდებულება წარმოშობილია და მან იგი უნდა შეასრულოს.

12. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეზე 2016 წლის 28 იანვარს გამოტანილ გადანყვეტილებაში საქმეზე №ას-468-442-2014 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიუთითებს: „სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საზედამხედველო კომპანიისა და ინჟინრის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია და უფლება-მოვალეობები, რომელთაგან შესრულებული სამუშაოების განსაზღვრის შედეგად საბოლოო გადახდის სერთიფიკატის გამოცემა ერთი-ერთი არსებითი პირობათაგანი იყო... მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევის საგანი არ უნდა გახდეს რეალურად რა სამუშაოები შესრულდა და რას შეადგენს მათი ღირებულება. ამისათვის მხარეებმა ხელშეკრულებით ინჟინერი მიიჩნიეს კომპეტენტურ პირად. ხოლო შემკვეთი, რომელიც სადავოდ ხდის თავისივე დანიშნული ინჟინერის კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებას, უფლებამოსილი იყო, აღნიშნულის თაობაზე ამ

უკანასკნელთან ედავა. ამდენად, ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ გადახდის სერტიფიკატი საბოლოო იყო მენარდესთან და არა – ინჟინერთან მიმართებით. არ შეიძლება, მენარდემ პასუხი აგოს შემკვეთის მიერ დანიშნულ და მისივე სახელით მოქმედ ინჟინრის მიერ თუნდაც უსწოროდ შედგენილ სერტიფიკატზე. აღნიშნული გამომდინარეობს ვალდებულების შესრულების პირობათა სამართლიანი განსაზღვრის პრინციპიდანაც, რომელსაც სსკ-ის 425.1 მუხლი ადგენს (თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე)“. ამრიგად, დადგენილია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა, მისი მოცულობა მხარეთა მიერ შეთანხმებულმა პირმა დაადგინა და იგი აპელანტმა ფაქტობრივად მიიღო კიდევ. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 648-ე მუხლის საფუძველზე, შემკვეთმა (მოპასუხემ) მენარდეს (მოსარჩელეს) ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური უნდა გადაუხადოს.

13. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი დანახარჯების ოდენობის განსასაზღვრად ექსპერტიზა დანიშნა, რომელიც ვერ ჩატარდა, რადგან ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო საბუთები იმყოფებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2014 წლის 6 თებერვალს გაგზავნილი №13 წერილიდან დგინდება, რომ ეს ფაქტი აპელანტისთვისაც იმთავითვე იყო ცნობილი. აქედან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარებისათვის მხარეებს ხელი არ შეუშლიათ და ეს გარემოება მათთვის საზიანო სამართლებრივ შედეგს ვერ გამოიწვევს.

14. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით აპელანტმა ვერ დამტკიცა, რომ მოსარჩელემ სამუშაო ხარვეზით შეასრულა. ტექნიკური ზედამხედველის მიერ შედგენილ სერტიფიკატში აღნიშნულის თაობაზე მითითება არ არის. პირიქით, 2013 წლის 31 ივლისის წერილით ტექნიკურმა ზედამხედველმა დაადასტურა, რომ სამუშაო შესრულებული იყო პროექტის მიხედვით და ხარისხიანად და შემკვეთს „ანგარიშსწორების უზრუნველყოფა“ სთხოვა. რაც შეეხება 2013 წლის 30 ივლისის „დეფექტურ აქტს“, იგი თავად აპელანტი საწარმოს დირექტორის, მენეჯერისა და ბუღალტრის მიერ არის შედგენილი. აქტში ასახული ხარვეზების ნამდვილობა არც მენარდეს და არც ტექნიკურ ზედამხედველს დაუდასტურებიათ. ამის შესაბამისად, აქტი დამოუკიდებელი მტკიცებულება არ არის და მხოლოდ მის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ხარვეზის

დადგენა შეუძლებელია. საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები კი აპელანტს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ასეც რომ არ იყოს, აპელანტს ნივთის ნაკლის გამო გადასახდელი საზღაურის შემცირება არ მოუთხოვია. ამიტომ, „დეფექტურ აქტში“ ასახული ხარვეზები, დადასტურების შემთხვევაშიც კი, ანაზღაურების ვალდებულებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძვლები არ არსებობს და იგი უცვლელი უნდა დარჩეს.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შემკვეთმა საწარმომ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მენარდის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

15.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით შემკვეთის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ შემკვეთი საწარმოს საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვს წარმოდგენილი.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი

ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], პარ. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

18. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამოწმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

19. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 629-ე, 648-ე, 319-ე, 327-ე, 361.2-ე და 317-ე მუხლები. ამასთან, საკასაციო სასამართლო კასატორის მხოლოდ იმ ძირითად პრეტენზიებზე გაამახვილებს ყურადღებას, რასაც შესაძლოა საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი საწარმო დაამტკიცებდა საკუთარი პოზიციის დასაბუთებულობას.

20. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქარ-

თველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-64-634-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდაველად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცების საგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

21. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე და მოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

22. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მი-

ღებულის გადანაცვების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანაცვების გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

23. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანაცვების გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

24. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანაცვების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე

პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

25. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ აღძრული სასარჩელო მოთხოვნის პასუხად შემკვეთა საწარმომ მის მიერ წარდგენილ შესაგებელში მიუთითა შესრულებული სამუშაოს ხარვეზებზე და ამასთან დაკავშირებული მხარეთა შორის ნაწარმოები მიმოწერა დაურთო შესაგებელს, თუმცა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით შემკვეთმა ვერ შეძლო საკუთარი მტკიცების ტვირთის დაძლევა. საკასაციო სასამართლო ყურადღება ამახვილებს მხარეთა შორის 2012 წლის 8 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების 7.5 პუნქტზე, რომლის თანახმად „შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირე-

ბა“, რომელიც შემკვეთ სანარმოს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების შემოწმების უფლებამოსილებას ნებისმიერ დროს ანიჭებდა, თუმცა, დადგენილი ფაქტია, რომ ასეთი უფლებით მას არ უსარგებლია, ყოველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით ირკვევა, რომ ტექნიკური ზედამხედველის მიერ შედგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოწერა მენარდემ საგადასახადო ანგრიშფაქტურა №ეა-701496495, რომელიც შემკვეთმა დაადასტურა და თანხის მხოლოდ ნაწილი – 9743 ლარი გადაიხადა კიდეც, ხოლო დანარჩენი თანხა არ გადაუხდია; იმ სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ შესრულებული სამუშაოების ინსპექტირების უფლებით ისარგებლა შეკვეთმა და ამის თაობაზე დოკუმენტაცია წარუდგინა სასამართლოს, საქმეში არ მოიპოვება. მხარეთა შორის შეთანხმებული ზემოხსენებული 7.5 პუნქტით დადგენილი მოწესრიგება გავლენას ახდენს ამავე ხელშეკრულებით დადგენილ ანგარიშსწორების წესზეც, რადგან 8.3 პუნქტით დადგენილია, რომ „ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველისა და საამისოდ შერჩეული პირის (ტექნიკური ზედამხედველის) მიერ დადასტურებული აქტი“. იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ შემკვეთს არ უსარგებლია ხელშეკრულებით შეთანხმებული შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირების უფლებამოსილებით, ამასთან, სწორედ შემკვეთის მიერ დანიშნულმა ტექნიკურმა ზედამხედველმა ჩაიბარა სამუშაოები, რაც დასტურდება მის მიერ შემკვეთისათვის გაგზავნილი მასალით ობიექტზე შესრულებული ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების დამოწმებული ფორმით №2-და სერთიფიკატით, რომლითაც ზედამხედველმა დაადასტურა, რომ პროექტის მიხედვით და ხარისხიანად შესრულდა სამუშაო, სრულიად დაუსაბუთებელია მოპასუხის (კასატორის) მხრიდან მენარდის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისათვის მხოლოდ ნაწილი თანხის გადახდა, რადგან გადაუხდელი ნაწილის დასაბუთებულობა გამოვლენილი არ არის საქმეში მოპასუხის მიერ წარდგენილი შესატყვისის მტკიცებულებებით. ამასთან, როგორც ეს საპეალაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, შესრულებული სამუშაოს ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაზეც კი არ ათავისუფლებს სრულად შემკვეთს პასუხისმგებლობისაგან, რადგან ნარდობის მარეგულირებელი ნორმები ადგენს პრეზუმფციას, რომ თუ მენარდემ შეასრულა მისი ვალდებულება, მას უნდა აუნაზღაურდეს შესრულების საფასური. თუმცა, როგორც ნებისმიერ პრეზუმფციას, ამ უკანასკნელსაც გამოეცლება სამარ-

თლებრივი საფუძველი, თუკი დადგინდება, რომ შემკვეთი, არა-ჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში მოითხოვს ნაკლოვანების აღმოფხვრას, ან, თავად გამოასწორებს ნაკლს და მენარდისაგან მოითხოვს განეული ხარჯის ანაზღაურებას. თუ შემკვეთი არ განახორციელებს ამგვარ ქმედებას/მოთხოვნას, მას შეუძლია, ნაკლოვანი შესრულების პროპორციულად მოითხოვოს მენარდისათვის გადასახდელი თანხის შემცირება; შემკვეთს ასევე შეუძლია ამტკიცოს, რომ შესრულებული სამუშაო უხარისხო და გამოუსადეგარია. მოცემულ საქმეზე სავსებით სწორად არის გადანაწილებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი (ამგვარ დავებში მოთხოვნის დამფუძნებელი (როგორც აღმჭურველი, ისე გამომრიცხველი) ნორმების აბსტრაქტული შემადგენლობისა და შესაბამისი მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ იხილეთ: სუსგ-ებები: №ას-1115-2019; №ას-959-2019; №ას-796-2019; №ას-589-2019; №ას-203-203-2018) – იხ. სუსგ №ას-1975-2018);

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ამ ტიპის ხელშეკრულების სპეციფიკურობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზუმირებულია გარკვეული ნაკლისა თუ ხარვეზის აღმოჩენა/გამოვლენა, შემკვეთის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობასაც ადგენს სსკ-ის 642-ე მუხლით, თუმცა, ეს არაა ერთადერთი რეგულაცია, რადგან დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, კანონმდებელი ადგენს შესაძლებლობას, შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 643-ე მუხლი), ასევე, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 644-ე მუხლი), ხოლო, თუკი შემკვეთი არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სსკ-ის 645-ე მუხლი). დასახელებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა კეთილსინდისიერების ნაგულები პრეზუმფციის (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითაა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია (იხ. სუსგ №ას-164-160-2016,

28.07.2016; შეად. სუსგ-ას №ას-1975-2018, 26.06.2020წ.)

27. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია იმასაც უკავშირდება, რომ საქმე განხილულია განსჯადობის წესების დარღვევით, რომელზეც, კასატორის მითითებით, საერთოდ არ უმსჯელია სასამართლოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს განსაზღვრავს ადგენს, რომ „საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში“. განსახილველ შემთხვევაში შემკვეთმა საწარმომ სააპელაციო საჩივრით, სხვა გარემოებებთან ერთად, სადავო გახადა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხილვა და ამ საფუძვლით სარჩელის განუხილველად დატოვება მოითხოვა (იხ. სააპელაციო საჩივარი). ამრიგად გამოვლენილია საპროცესო კოდექსით დადგენილი წინაპირობა, კერძოდ, მოპასუხის მოთხოვნით საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობის შემოწმების თაობაზე. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ორივე საწარმოს (შემკვეთისა და მენარდის) იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი (იხ. ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან), მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშსწორება ხორციელდება შემკვეთის მიერ უნაღდო ანგარიშსწორებით (იხ. ხელშეკრულების მე-8 მუხლი), ამდენად, განსახილველი შემთხვევის სპეციფიკურობა იმაში ვლინდება, რომ შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გადასახდელი ფულადი თანხის ნაწილი უკვე გადახდილია და ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოს ღირებულება მენარდე საწარმომ, როგორც ქ. ბათუმში მდებარე იურიდიულმა პირმა, უნაღდო ანგარიშსწორებით მიიღო. საკასაციო სასამართლო განმატავს, რომ მენარდის მხრიდან შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურებისათვის ფულადი ვალდებულებაა შესასრულებელი, რაც უნაღდო ანგარიშსწორებით ერთხელ უკვე განხორციელდა და შესრულდა, მოსარჩელეს მიღებული აქვს თანხა უნაღდო ანგარიშსწორებით, რაც სადავო არაა. ამ შემთხვევაში დარჩენილი დავალიანების გადახდაც, ცხა-

დია, რომ იმავე წესით უნდა განხორციელდეს და ქ. ბათუმში მდებარე იურიდიული მისამართის მქონე საწარმომ უნდა მიიღოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით განიხილა ქ. ბათუმის სასამართლომ და არ არსებობს ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზიის გაზიარების საფუძველი. სსკ-ის 386-ე მუხლი ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილს განსაზღვრავს, რომლის თანახმად, „1. შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. 2. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია“ (იხ. სუსგ: №ას-648-614-2015; 26.11.2015).

28. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია იმას უკავშირდება, რომ სააპელაციო სასამართლო სათათბირო ოთახიდან „გამოვიდა“ და დაბრუნდა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, რაც ასევე დაუსაბუთებელია, რადგან სსკ-ის 216-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ „საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას“. ამდენად, საქმის ყოველმხრივ და ობიექტურად განხილვის მიზნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მხარეთა უფლებები, მათ შორის საქმის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების გამოთხოვით (იხ. სსკ-ის 380-ე მუხლი);

29. კასატორი ითხოვს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას და მენარდე საწარმოსაგან მტკიცებულებების გამოთხოვას, რაც დაუშვებელია საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, რადგან საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ მათ ფარგლებში მოწმდება საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობა (იხ. სსკ-ის 407-ე მუხლი).

30. კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული საკასაციო შედავების წარდგენა, რაც მისი მტკიცების გაზიარების შესაძლებლობას

მისცემდა სასამართლოს. საქმის არსებითი განხილვის შედეგად უარყოფილია შემკვეთი საწარმოს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

31. სსსკ-ის 55.2-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „G.R.“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ოქტომბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. მიზარება

მიზარებაული ნივთის დაკავების უფლება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1677-2018

5 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,
ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ლ ჯ-ას“ (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელი შპს „ნ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ქმედების დავალდებულების თაობაზე დაკმაყოფილდა; მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა, მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტი, კერძოდ 1 088 327 კგ არაეთილირებული ბენზინი ...-... და იგი მოსარჩელეს მფლობელობაში გადაეცა; მოსარჩელის კუთვნილი ზემოხსენებული ნავთობპროდუქტის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და მოსარჩელისათვის მფლობელობაში გაცემის მიზნით, დავალდებულდა მოპასუხე, მის მფლობელობაში არსებული რეზერვუარებიდან, მოსარჩელის მიერ წარდგენილ რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩაეტვირთა მოსარჩელის კუთვნილი 1 088 327 კგ არაეთილირებული ბენზინი ... -.....

2. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. შპს „ო. ლ. ს-ი“ (შემდეგში: მესამე პირი ან ექსპედიტორი) არის, ბათუმის ნ-ში საქეპედიტორო მომსახურების განმახორციელებელი კომპანია, რომლის მომსახურების სფეროში შედის ტანკერებიდან ნავთობპროდუქტების ნავთობტერმინალის რეზერვუარებში ჩამოტვირთვა, რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში გადატვირთვა და პირიქით, ასევე საბაჟო პროცედურების განხორ-

ციელება. თავისი საქმიანობის განხორციელებისას, ექსპედიტორი იყენებს მოპასუხე კომპანიის მომსახურებას, რაც უკავშირდება ნავთობპროდუქტების გადატვირთვა-ჩატვირთვის პროცედურებს, რა დროსაც გამოიყენება მოპასუხე კომპანიის პერსონალი, მატერიალური ბაზა და რეზერვუარები. ექსპედიტორს მოპასუხესთან გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება;

2.2. მოსარჩელე იყო ექსპედიტორის ერთ-ერთი კლიენტი, რომელიც იყენებს ექსპედიტორი კომპანიის მომსახურებას. მათ შორის შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2016 წლის 13 ოქტომბერს, რაც ძალაში იყო 2017 წლის 31 დეკემბრამდე;

2.3. შევიცარიულმა კომპანია „L. S.“-მ, 2017 წლის 19 ივნისს, კომპანია L. N. B-ისაგან ბულგარეთში შეიძინა ნავთობპროდუქტები, მათ შორის 12 976 357 კგ არაეთილირილებული ...-... . ბენზინი და ტანკერ M.N.H-ს მეშვეობით მოახდინა მისი ტრანსპორტირება საქართველოში, კერძოდ ბათუმის პორტში, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. „L. S.“-ს მიერ ბულგარეთიდან საქართველოში ტრანსპორტირებული ზემოაღნიშნული ნავთობპროდუქტი უნდა შეეძინა მოსარჩელეს, მაგრამ, მოცემული ნავთობპროდუქტის განბაჟებამდე, აუცილებელი იყო გემიდან ქ. ბათუმის ნავთობტერმინალში მისი ჩამოტვირთვა;

2.4. „L. S.“-სა და ექსპედიტორ კომპანიას შორის 2017 წლის 26 ივნისს, გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ექსპედიტორმა აიღო ვალდებულება, როგორც ზემოაღნიშნული ნავთობპროდუქტების ტანკერიდან ბათუმის ნავთობტერმინალში ჩამოტვირთვის ორგანიზებაზე, ასევე მოცემული ნავთობპროდუქტის საქართველოში დროებით შემოტანისა და ნავთობტერმინალში შესანახად განთავსების მიზნით, საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე. მოცემული ვალდებულების შესრულების მიზნით ექსპედიტორმა კომპანიამ მინდობილობა შპს „ნ.ო.ტ.კ-ზე“ გასცა;

2.5. „L. S.“-ს კუთვნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებული ... ბენზინის საქართველოში დროებით შესანახად შემოტანაზე და მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში განთავსებაზე, 2017 წლის 10 ივლისს, შევსებული იქნა საბაჟო დეკლარაცია. დეკლარაციაში დეკლარანტად მითითებული იყო ექსპედიტორი კომპანია. დეკლარაციის შევსებას წინ უძღოდა მოცემული ნავთობპროდუქტის ჩამოტვირთვა მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში, რის თაობაზეც შედგენილი იქნა აქტი №.... აქტში, მესამე პირთან ერთად, მითითებული იყო, რომ ნავთობპროდუქტი ეკუთვნოდა „L. S.“-ს. მოცემული ნავთობპროდუქტის ტანკერიდან ჩამოტვირთვის პროცედურები

მოპასუხემ განახორციელა, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ექსპედიტორსა და მოპასუხეს შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება;

2.6. „L. S.“-ს კუთვნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებული ... ბენზინის შეძენი უნდა ყოფილიყო მოსარჩელე, რომელიც „L. S.“-სთან შეთანხმებით, ზემოაღნიშნული ნავთობპროდუქტის შეძენას ახორციელებდა ნაწილ-ნაწილ, პერიოდულად. მოცემული სამუშაოების ორგანიზებას ახორციელებდა ექსპედიტორი კომპანია მოსარჩელე საწარმოსთან 2016 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; უშუალოდ მოსარჩელის მიერ იმპორტირებული ნავთობპროდუქტის რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვას ახორციელებდა მოპასუხე კომპანია, ექსპედიტორსა და მოპასუხეს შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

2.7. იმპორტირებული ნავთობპროდუქტის მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებიდან გატანაზე მოსარჩელე საწარმოს პრობლემები 2017 წლის 4 აგვისტომდე არ შექმნია. მოსარჩელემ 2017 წლის 4 აგვისტოს შეიძინა „L. S.“-ს კუთვნილი და მოპასუხის რეზერვუარებში შენახული ნავთობპროდუქტის, კერძოდ არაეთილირილებული ... ბენზინის, დარჩენილი ნაწილი – 3 000 000 კგ, რაზედაც „L. S.“-მ მოსარჩელეზე გასცა ინვოისი. იმავდროულად, მოსარჩელემ ექსპედიტორს დაავალა, მისთვის მოპასუხე კომპანიაში დასაწყობებული 3 000 000 კგ არაეთილირილებულიბენზინი გადაეცა. თავის მხრივ, არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დაავალა ექსპედიტორს, ორგანიზება გაეკეთებინა საბაჟო პროცედურებისთვის და შეძენილი ნავთობპროდუქტის ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვისათვის, რათა მოსარჩელეს შეძენილი ნავთობპროდუქტი გაეტანა მოპასუხე კომპანიიდან;

2.8. მესამე პირმა (ექსპედიტორმა) მოპასუხეს წარუდგინა რეზერვუარებში არსებულ 3 000 000 კგ არაეთილირილებული ... ბენზინზე მოსარჩელის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოსთხოვა მოცემული ნავთობპროდუქტის ვაგონცისტერნებში ჩატვირთვა. მოპასუხე კომპანიის ხელმძღვანელობამ ზეპირსიტყვიერად უარი განაცხადა მოცემული ქმედების განხორციელებაზე და ექსპედიტორს განუმარტა, რომ არ მოხდებოდა მოპასუხის რეზერვუარებიდან ზემოაღნიშნული 3 000 000 კგ არაეთილირილებულიბენზინის გატანა, ვიდრე ექსპედიტორი მასთან დავლიანებას არ გაასწორებდა;

2.9. მოსარჩელე საწარმომ 2017 წლის 9 აგვისტოს წერილით მიმართა მოპასუხე კომპანიას და მოსთხოვა, უმოკლეს ვადაში განეხილა წარმოქმნილი პრობლემა და შესაბამისი სამსახურებისათვის

გაეცა ბრძანება, დაეწყოთ მათი კუთვნილი ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა და გაგზავნა. მოსარჩელეს მოპასუხისგან აღნიშნულ წერილზე პასუხი არ მიუღია;

2.10. მოსარჩელემ 2017 წლის 11 აგვისტოს მოპასუხეს წერილობით კვლავ მიმართა და მოითხოვა მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტის რკინიგზის ცისტერნებში ჩატვირთვა. მოპასუხეს არც აღნიშნული წერილის მიღების შემდეგ არ ჩაუტვირთავს მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტი საკუთარი რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში;

2.11. მოპასუხეს 2017 წლის 10 აგვისტოს წერილით ექსპედიტორი კომპანიის (მესამე პირის) დირექტორმაც მიმართა, რომლითაც აცნობა, რომ ტვირთი არ არის მისი საკუთრება, იგი მოსარჩელის საკუთრებაა და, რომ მოპასუხესა და მესამე პირს შორის არსებული დავა მოსარჩელეს არ უნდა შეეხოს. ანალოგიური შინაარსის წერილებით მესამე პირმა მოპასუხეს 2017 წლის 11 და 14 აგვისტოსაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ;

2.12. სარჩელის აღძვრის შემდეგ მოპასუხემ ნება დართო მოსარჩელეს, ექსპედიტორი კომპანიის მეშვეობით, დაეწყო სადავო 3 000 000 კგ საწვავის – ბენზინი ...-ის გატანა და მას შესაბამის მომსახურებას უწევდა, მოცემული ნავთობპროდუქტის ნავთობტერმინალის რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვის თვალსაზრისით;

2.13. მოსარჩელის მიერ 1 911 673 კგ საწვავის – ბენზინი ...-ის ნავთობტერმინალის რეზერვუარებიდან წაღების შემდეგ (მოცემული ოდენობის ნავთობპროდუქტის გატანა განხორციელდა 2017 წლის 18 ოქტომბრიდან 2017 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით), მოპასუხე კომპანიამ კვლავ უარი განაცხადა დარჩენილი სადავო ნავთობპროდუქტის მისი კუთვნილი რეზერვუარებიდან გატანაზე;

2.14. ამჟამად 3 000 000 კგ საწვავის ნაცვლად, მოპასუხის მფლობელობაშია 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ..., რომელიც განთავსებულია მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში. სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოპასუხის რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვა ხორცილდება, მხოლოდ უშუალოდ მოპასუხე კომპანიის პერსონალის მიერ, ტერმინალის მატერიალური ბაზის გამოყენებით. შესაბამისად, ერთადერთი პირი, ვისაც შეუძლია სადავო 1 088 327 კგ არაეთილირილებული ...-... ბენზინის მოპასუხის რეზერვუარებიდან რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვა განახორციელოს არის მოპასუხე;

2.15. მესამე პირს (ექსპედიტორ კომპანიას) მოპასუხის მიმართ 48 255.6 აშშ დოლარის ვადაგადაცილებული დავალიანება გააჩნდა.

აღნიშნული დავალიანება არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ კომპანია „L. S.“-საგან შეძენილ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ვალს. ექსპედიტორი კომპანიის დავალიანების შესახებ ცნობით დასტურდება, რომ 48 255.6 აშშ დოლარი დავალიანება, მესამე პირს გააჩნდა, ჯერ კიდევ 2017 წლის 2 მაისისათვის, ანუ მაშინ როდესაც „L. S.“-ს კუთვნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებულიბენზინი საქართველოში საერთოდ არ იყო შემოტანილი;

2.16. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალიანების გადახდევინების შესახებ 2017 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით დგინდება, რომ დაკმაყოფილდა მოპასუხე კომპანიის მოთხოვნა და ექსპედიტორ კომპანიას დაეკისრა 74 355.6 აშშ დოლარის გადახდა. ექსპედიტორს, გარდა ძველი დავალიანების – 48 255.6 აშშ დოლარისა, აღნიშნული ბრძანებით დაეკისრა 2017 წლის 18 ოქტომბრამდე მოპასუხე კომპანიაში არსებული 3 000 000 კგ სანავის ბენზინი ...-ის მოპასუხის რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში გადატვირთვის ღირებულებაც – 26 100 აშშ დოლარი.

3. საქალაქო სასამართლომ გადანყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 170-ე, 172-ე, 730-ე, 731-ე, 732-ე, 709-ე, 715-ე, 716-ე, 740-ე მუხლებითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-2, მე-3, მე-4, 102-ე და 105-ე მუხლებით იხელმძღვანელა. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნავთობპროდუქტის მესაკუთრე არის მოსარჩელე, აღნიშნული 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ... ამჟამად იმყოფება მოპასუხის მფლობელობაში და იგი უარს აცხადებს ნავთობპროდუქტის მოსარჩელისათვის გადაცემაზე. ამდენად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხის უმოქმედობით ხდება მისი საკუთრების ხელყოფა და იგი ვერ სარგებლობს მისი კუთვნილი ქონებით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის გადანყვეტილებით მოპასუხე კომპანიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადანყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; მოსარჩელე სანარმოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 26 100 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მოპასუხე კომპანიის მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტი, კერძოდ, 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...-... და მოსარჩელეს გადაეცა; მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტის, კერძოდ, 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინის, ...-ის მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვისა და მოსარჩელისათვის გადაცემის მიზნით, მოპასუხეს

დაევალა, მის მფლობელობაში არსებული რეზერვუარებიდან, მოსარჩელის მიერ წარდგენილ რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩაეტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...; მოპასუხე კომპანიის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრისა და 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. მოპასუხე კომპანიასა და ექსპედიტორს შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, საბოლოოდ 2017 წლის 31 ივლისამდე განისაზღვრა. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ, მის ხელთ არსებული სიმძლავრეებისა და მისადგომების მეშვეობით, იკისრა ვალდებულება, ექსპედიტორისათვის გაენია ტვირთის გადატვირთვის მომსახურება ბათუმის ნავსადგურში ხელშეკრულების მოქმედების ვადის მანძილზე, მათ შორის: ტვირთის ტანკერებიდან დაცლა; ტვირთის საცავეებში დაგროვება და შენახვა; ტვირთის ჩატვირთვა ტერმინალის რეზერვუარებიდან ტანკერებში და ვაგონ-ცისტერნებში ან ავტოცისტერნებში; აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება ტერმინალებზე არსებული საქონლის მოცულობისა და მისი ცვლილებების შესახებ კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ანგარიშსწორების პირობები, წესი და ტარიფები განისაზღვრა ხელშეკრულების 11.1-11.11 პუნქტებით და ხელშეკრულების დანართით, რომლის მიხედვითაც, ექსპედიტორ კომპანიას უნდა დაეფარა წინასწარი ინვოისი სამი დღით ადრე, დატვირთვა/გადმოტვირთვის შეთანხმებულ ტარიფამდე;

5.2. მოსარჩელესა და ექსპედიტორს შორის 2016 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, საბოლოოდ 2017 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა. ხელშეკრულების თანახმად, ექსპედიტორმა იკისრა ვალდებულება, მოსარჩელისათვის გაენია ტვირთის გადატვირთვის მომსახურება ბათუმის ნავსადგურში მის ხელთ არსებული სიმძლავრეებისა და მისადგომების მეშვეობით ხელშეკრულების მოქმედების ვადის მანძილზე. მათ შორის: ტვირთის ტანკერებიდან დაცლა; ტვირთის საცავეებში დაგროვება და შენახვა; ტვირთის ჩატვირთვა ტერმინალის რეზერვუარებიდან ტანკერებში და ვაგონ-ცისტერნებში ან ავტოცისტერნებში; აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება ტერმინალებზე არსებული საქონლის მოცულობისა და მისი ცვლილებების შესახებ კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

5.3. კომპანია „L. S.“-სა და ექსპედიტორს შორის 2017 წლის 26 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ექსპედიტორმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 ივლისამდე, კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, კომპანია „L. S.“-თვის გაენია მომსახურება ბათუმის ნავთობტერმინალში ტვირთის გადატვირთვაზე, კერძოდ: ტვირთის ტანკერებიდან დაცლა; ტვირთის საცავეებში დაგროვება და შენახვა; ტვირთის ჩატვირთვა ტერმინალის რეზერვუარებიდან ტანკერებში და ვაგონ-ცისტერნებში ან ავტოცისტერნებში; აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება ტერმინალებზე არსებული საქონლის მოცულობის და მისი ცვლილებების შესახებ კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

5.4. მესამე პირის (ექსპედიტორის) მოთხოვნით მოპასუხე კომპანიის გემიდან, 2017 წლის 9 ივლისს, გადმოიტვირთა და ტერმინალის რეზერვუარებში ჩაიტვირთა შვეიცარიული კომპანიის „L. S.“-ს მიერ გამოგზავნილი, 12 976 357 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...;

5.5. მოპასუხე კომპანიაში ჩატვირთული კომპანია „L. S.“-ს მიერ გამოგზავნილი, 12 976 357 კგ არაეთილირილებული ბენზინს ...-ს მოსარჩელე ნაწილ-ნაწილ ჰყიდულობდა, ხოლო შეძენილ პროდუქტს მოპასუხის რეზერვუარებიდან ვაგონ-ცისტერნებში მოპასუხე ტვირთავდა ექსპედიტორთან გაფორმებული 2016 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე;

5.6. მოსარჩელემ 2017 წლის 7 აგვისტოს შეიძინა კომპანია „L. S.“-ს კუთვნილი და აპელანტი კომპანიის რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტის დარჩენილი ნაწილი – 3 000 000 მეტრული ტონა (კგ) არაეთილირილებული ბენზინი ..., რაზედაც კომპანია „L. S.“-მ ორდერი გასცა;

5.7. მოსარჩელემ 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის ნაწილი – 1 911 673 კგ სანვაი 2017 წლის 18 ოქტომბრიდან 2017 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით გაიტანა, ხოლო დარჩენილი ნაწილის 1 088 327 კგ სანვაის – ბენზინი-ის ნავთობტერმინალის რეზერვუარებიდან გატანისა და გადაზიდვის მიზნით მომსახურების განევაზე მოპასუხემ უარი განაცხადა;

5.8. მოპასუხის მიერ გაცემული ცნობისა და მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ მესამე პირს (ექსპედიტორ კომპანიას), მოპასუხის მიმართ გააჩნია დავალიანება, რაც, 2017 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით, 74 355,60 აშშ დოლარს შეადგენს. მითითებული დავალიანებიდან 26 100 აშშ დოლარი წარმოადგენს მოსარჩელე სანარმოს მიერ შეძენილი 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურების (ტერმინალის რე-

ზერვუარებში ჩატვირთვა და რეზერვუარებიდან მოსარჩელის ვაგონციტერნებში ჩატვირთვა) ღირებულებას, ხოლო 48 255 აშშ დოლარი ექსპედიტორის დაკვეთით ტვირთების შენახვის (მიბარების) საფასურს, რაც საქმის განხილვის დროისათვის, მოპასუხისათვის გადახდილი არ არის;

5.9. კომპანია „L. S.“ მიერ გამოგზავნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...-ის მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში შენახვა უსასყიდლო იყო და, აპელანტსა და ექსპედიტორს შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო მხოლოდ ამ ტვირთის გადმოტვირთვა – ჩატვირთვის მომსახურების საფასურის გადახდა;

6. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სანივთო უფლებიდან გამომდინარეობდა, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა, მოპასუხის მფლობელობიდან მისი საკუთრების – 1 088 327 კგ სანვავის – არაეთილირებული ბენზინი ...-ის გამოთხოვას და ტვირთის გადაცემასთან დაკავშირებით უფასო მომსახურების განხორციელებას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 168-ე, 170.1-ე, 172.1-ე მუხლები წარმოადგენდა;

6.1. მოპასუხემ მოსარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად მიუთითა მოთხოვნის შემაფერებელ გარემოებებზე, კერძოდ, მისი მტკიცებით, სადავო ნივთზე (1 088 327 კგ სანვავი) მფლობელობა მოიპოვა ექსპედიტორმა (შემკვეთმა) 2016 წლის 5 ოქტომბერს დადებული ნარდობის (მომსახურების) ხელშეკრულების საფუძველზე და ვიდრე არ იქნებოდა გადახდილი შემკვეთის (ექსპედიტორის) მოთხოვნით განხორციელებული ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის მომსახურების საფასური, მოპასუხე კომპანიას უფლება ჰქონდა, დაეკავებინა და უარი განეცხადებინა მის გადაცემაზე. ამდენად, მოპასუხის მითითების სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 629.1-ე, 634-ე, 648-ე, 163.3-ე მუხლები წარმოადგენს;

6.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, კომპანია „L. S.“-ს მიერ 2017 წლის 7 აგვისტოს გაცემული ორდერი რეალურად ნასყიდობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომლითაც მოსარჩელე საწარმომ შეიძინა კომპანია „L. S.“-ს კუთვნილი და მოპასუხის რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტის დარჩენილი ნაწილი – 3 000 000 მეტრული ტონა (კგ) არაეთილირილებული ბენზინი ამდენად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (სსკ-ის 477-ე მუხლი) წარმოადგენს ამ ტვირთის მესაკუთრეს და, სსკ-

ის 168-ე, 170.1-ე, 172.1-ე მუხლების შესაბამისად, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მფლობელს გააჩნია ამ ნივთის ფლობის უფლება;

6.3. იმისთვის, რომ გაირკვეს, მოპასუხე კომპანიას აქვს თუ არა მოსარჩელის კუთვნილი ნივთის (ნავთობპროდუქტის) ფლობის ან/და დაკავების უფლება, უნდა შეფასდეს რა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დაეუფლა მოპასუხე სადავო პროდუქტს;

6.4. მოპასუხის მიერ შედგენილი №... აქტის, მოპასუხესა და მესამე პირს (ექსპედიტორს) შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებისა და მხარეთა განმარტებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მესამე პირი ნარდობის (მომსახურების) სახელშეკრულებო ურთიერთობაში (სსკ-ის 629.1-ე მუხლი) იმყოფებოდა, როგორც აპელანტთან, ისე კომპანია „L. S.“-თან და მოსარჩელე სანარმოთან. ამასთან კომპანია „L. S.“-სთან და მოსარჩელესთან მიმართებით ექსპედიტორი კომპანია წარმოადგენდა შემსრულებელს (მენარდეს, მომსახურების გამწვეს), ხოლო მოპასუხესთან მიმართებით – შემკვეთს. შესაბამისად 2017 წლის 9 ივლისს ნავთობტერმინალის რეზერვუარებში კომპანია „L. S.“-ს კუთვნილი ნავთობპროდუქტის ჩატვირთვის სამუშაოები მოპასუხემ განახორციელა ექსპედიტორი კომპანიის დაკვეთით, რაც აისახა კიდევ მოპასუხის მიერ 09.07.2017 წ. შედგენილ №... აქტში; ამდენად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სადავო ნავთობპროდუქტზე, მოპასუხემ მფლობელობა მოიპოვა ექსპედიტორ კომპანიასთან ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, რომლის შესაბამისი ანაზღაურება მიღებული არ აქვს;

6.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავის პირობებში არსებობს სანივთო და სახელშეკრულებო (ნარდობის) ურთიერთობიდან წარმოშობილი უფლებები. ამასთან, სადავო ნივთის მფლობელთან – აპელანტთან ხელშეკრულების მხარეს ნივთის მესაკუთრე – მოსარჩელე არ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სანივთო უფლებას (სსკ-ის 168-ე მუხლი), რომელიც აბსოლუტური უფლებაა. შესაბამისად, საქონლის მესაკუთრის მოთხოვნა, მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს და გადაეცეს კუთვნილი 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის დარჩენილი ნაწილი – 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ..., საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს;

6.6. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას კუთვნილი ნივთის (ნავთობპროდუქტი) გადაცემა და რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვა (მომსახურება) მოპასუხემ საკუთარი პერსონალის, ტერმინალის მატერიალური ბაზის გამოყენებით, უსასყიდლოდ გა-

ნახორციელოს, სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან ასეთი მომსახურება მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მესაკუთრისათვის (მოსარჩელე) ნივთის გადაცემა უნდა განხორციელდეს, მოპასუხისათვის, ამ ნივთის გადაცემასთან დაკავშირებით განეული მომსახურების აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების სანაცვლოდ (სსკ-ის 326-ე, 629.1, 630-ე მუხლები); შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაევალა, უსასყიდლოდ განეხორციელებინა მოსარჩელისათვის ამ უკანასკნელის კუთვნილი ნავთობპროდუქტის გადაცემა, როგორც დაუსაბუთებელი, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო არაა ის ფაქტი, რომ მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი და მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტის – 3 000 000 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...-ს გადმოტვირთვა-ჩატვირთვის ღირებულება 26 100 აშშ დოლარს შეადგენს, რაც ამ სამუშაოს შემსრულებელს – აპელანტს (მოპასუხეს) მიღებული არ აქვს, სასარჩელო მოთხოვნა კუთვნილი ნივთის (ნავთობპროდუქტის) დარჩენილი ნაწილის გადაცემის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ აპელანტის (მოპასუხის) მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი ნავთობპროდუქტის, კერძოდ, 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...-ის გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს 26 100 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ;

6.7. ამ მოქმედების განხორციელების მიზნით, მოპასუხეს უნდა დაევალოს, 26 100 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ, მის მფლობელობაში არსებული რეზერვუარებიდან, საკუთარი პერსონალის, ტერმინალის მატერიალური ბაზის გამოყენებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილ რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთვის მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 1 088 327 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...;

6.8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის (მოპასუხის) მითითება იმის თაობაზე, რომ მესამე პირთან დადებული 05.10.2016 წ. ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მომსახურების მთლიანი დავალიანების ანაზღაურებამდე, მას ნივთის დაკავების უფლება აქვს. მართალია, სსკ-ის 634-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს უფლება აქვს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნივთთან დაკავშირებით განეული მომსახურების საფასურის მიღებამდე დააკავოს ნივთი, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, ნივთის დაკავების უფლება შემსრუ-

ლებელს (მოპასუხეს) გააჩნია ექსპედიტორთან (მესამე პირთან) მიმართებით, როგორც ხელშეკრულების მხარესთან – შემკვეთთან და არა მესაკუთრესთან (მოსარჩელესთან). გარდა ამისა, მხარეთა მიერ სადავო არაა ის ფაქტი, რომ მთლიანი დავალიანებიდან – 74 355.6 აშშ დოლარიდან, მხოლოდ 26 100 აშშ დოლარია მოსარჩელის კუთვნილი და მოპასუხის რეზერვუარებში ჩატვირთული 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის მომსახურების თანხა. ამდენად, ექსპედიტორის დავალიანება, რაც დაკავშირებული არ არის მოსარჩელის კუთვნილი ქონების მომსახურებასთან, ვერ გახდება მოსარჩელის საუთრებაში არსებული ნივთის დაკავების საფუძველი.

7. სსსკ-ის 377.3-ე მუხლის თანახმად, 2017 წლის 25 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა: სსსკ-ის 205.1-ე და 207.1-ე მუხლების დანაწესის მიხედვით, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღეს მოსამართლე ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეს ჩაჰბარდა 2017 წლის 13 სექტემბერს, ხოლო შესაგებელი სასამართლოში წარდგენილი იქნა 2017 წლის 22 სექტემბერს. სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნული იქნა 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებით, რომლითაც სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 13 ოქტომბერი 14:00 საათი. 13.10.2017 წ. სხდომის დღის თაობაზეც მოპასუხეს ეცნობა 2017 წლის 5 ოქტომბერს, 8 დღით ადრე. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის შესაგებელში დაყენებული იქნა შუამდგომლობა, მხოლოდ არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლასთან დაკავშირებით და სხვა რაიმე შუამდგომლობა, ასევე დავის მორიგებით დასრულების თაობაზე მოსაზრება დაფიქსირებული არ ყოფილა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სსსკ-ის

205.1-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც სასამართლოს მისცემდა ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, რისთვისაც მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნას. შესაბამისად, მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან მესამე დღეს (25.09.2017წ.) გამოტანილი განჩინება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე სრულად გამომდინარეობს სსსკ-ის 207.1-ე მუხლის მოთხოვნებიდან და სხდომაზე მოწვევის თაობაზე სასამართლო უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე არსებული დრო – 8 დღე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საკმარისია მხარეთათვის ზეპირი შეჯიბრებისათვის მოსამზადებლად. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, კანონის მოთხოვნათა დაცვით არის მიღებული და არ არსებობს ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

8. 2017 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე აპელანტის (მოპასუხე კომპანიის) მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა: სსსკ-ის 2.1, 3.2 და 84.1 მუხლების თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. სასამართლოს, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად, მეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა დააფუძნა იმ გარემოებაზე, რომ თავად წარმოადგენდა სადავო ნავთობპროდუქტის მესაკუთრეს და როგორც მესაკუთრე ითხოვდა ხელშეშლის აღკვეთას. ის საკითხი, მოსარჩელეს მოთხოვნას გააჩნდა თუ არა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, საქმის არსებითად განხილვის შედეგად გადასაწყვეტია და არ წარმოადგენს სსსკ-ის 84-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების გამოყენების წინაპირობას. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მოპასუხეს უარი ეთქვა არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლასთან დაკავ-

შირებით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, სრულად გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან და არ არსებობს ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა, შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის პრეტენზია პროცესულურსამართლებრივ საკითხსაც ეხება, კერძოდ, ის ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის მოთხოვნა სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინების გაუქმების შესახებ და არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე 2017 წლის 13 ოქტომბრის სასამართლოს საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე; ასევე, კასატორის მიერ გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საპროცესო ხარჯის ნაწილის – 120 ლარის გადახდა.

9.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რადგან საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ამასთან, შესაძლოა სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

9.3. საკასაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენით (დისტანციურ რეჟიმში) გამართულ 2022 წლის 30 მაისის სხდომაზე მხარეებს განესაზღვრათ დრო მორიგების პირობების შესათანხმებლად, თუმცა, ამავე წლის 17 ივნისის სხდომაზე (დისტანციურ რეჟიმში), მათ დაადასტურეს, რომ ვერ იქნა მიღწეული მორიგება. საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა განმარტებები და კოლეგიური შემადგენლობის მხრიდან დასმული შეკითხვების პასუხად წარდგენილი პოზიციები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების დისტანციური განხილვის გზით მოსმენის, შეფასებისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე კომპანიის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

11. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს,

არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისა-
გან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ,
როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარ-
მოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ
კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკ-
მაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლა-
დო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყევითილებათა მიღე-
ბის მეთოდика, თბ., 2003, გვ.64).

12. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძ-
ნება მის მიერ კომპანია „L. S.“-სგან 2017 წლის 7 აგვისტოს შეძე-
ნილ და მოპასუხის რეზერვუარებში შენახული ნავთობპროდუქ-
ტის, კერძოდ არაეთილირილებული ... ბენზინის, დარჩენილი ნაწი-
ლის გამოთხოვას მოპასუხისაგან, ვინაიდან ის ამ ქონების მესა-
კუთრეა, შესაბამისად, მოპასუხე საწარმოს არ აქვს მოსარჩელის
კუთვნილი ნივთის დაკავების უფლება მესამე პირის (ექსპედიტო-
რის) მიერ შესასრულებელი ვალდებულების გამო, რადგან სწორედ
ეს უკანასკნელი იმყოფება მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურ-
თიერთობაში და არა – მოსარჩელე, მოსარჩელის კუთვნილი ქონე-
ბა (ნივთი) არ შეიძლება დაკავებული იქნეს კრედიტორის წინაშე
მესამე პირის მიერ შესასრულებელი ვალდებულების – საზღაუ-
რის გადახდამდე (იხ. სარჩელი).

13. თავის მხრივ, მოპასუხე (კასატორი) საწარმო ამტკიცებს,
რომ მოსარჩელე კომპანიასა და მესამე პირს შორის არსებული ურ-
თიერთობის შინაარსი განსაზღვრავს აღძრული სარჩელის უსაფუძ-
ველობას. სსკ-ის 730.1-ე მუხლზე „ექსპედიციის ხელშეკრულებით
ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარ-
ჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული
მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული
პროვიზია“. მოპასუხის მტკიცებით, მესამე პირი მოსარჩელესთან
მიმართებით არის ექსპედიტორი კომპანია, მის მიერ ტვირთის გა-
დაზიდვა იმას ნიშნავს, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში ის
არის ტვირთის მფლობელი, მესამე პირებთან ურთიერთობაში თვი-
თონვე იღებს ტვირთთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე პა-
სუხისმგებლობას. სსკ-ის 740-ე მუხლის თანახმად „ექსპედიტორი
ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათ-
ვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს
მიუძღვის ბრალი“. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მესამე
პირს (ექსპედიტორს) მოპასუხე კომპანიის მიმართ გააჩნია ვადა-
გადაცილებული გადაუხდელი ვალი და გამოვლენილია დასახელე-
ბული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევა. რაც შეეხება მო-
სარჩელე საწარმოს, ის არ არის ურთიერთობის მონაწილე მხარე და

არც ნავთობპროდუქტის მესაკუთრეა. საექსპედიტორო მომსახურების ფარგლებში მესამე პირს მოპასუხე კომპანიასთან დადებული აქვს ნარდობის ხელშეკრულება, რომლის სანაცვლოდაც მესამე პირი, კომპანია „L. S.“-სა და მოსარჩელის ხარჯზე, იღებს მოპასუხე კომპანიის მომსახურებას და არ უზღვის მას ღირებულებას. მოსარჩელეს რატომღაც მოპასუხის მიმართ გაუჩნდა პრეტენზია და არა კომპანია „L. S.“-ს ან ექსპედიტორის მიმართ. რეალურად მოსარჩელეს ან გამყიდველისადმი უნდა წაეყენებინა მოთხოვნა ნასყიდობის საგნის ნაკლოვანი მიწოდების ან ექსპედიტორი კომპანიისადმი (მესამე პირისადმი), რომელმაც ვერ უზრუნველყო საექსპედიტორო მომსახურების სათანადოდ გაწევა (იხ. მოპასუხის შესაგებელი). მოპასუხის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ არის სადავო ნივთის მესაკუთრე, რადგან ექსპედიტორმა კომპანიამ მოპასუხეს მიაბარა სადავო ნავთობპროდუქტი, ხოლო მიბარების ხელშეკრულებისათვის სამართლებრივად უმნიშვნელოა, თუ ვინ მიაბარებს ნივთს – მესაკუთრე თუ მფლობელი, რადგან ნივთის მიბარების მომენტიდან მოპასუხეს წარმოეშვა მართლზომიერი მფლობელობის უფლება (კასატორი უთითებს სუსგ-ზე №ას-1085-1042-2016; საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საქმე სრულიად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება და განჩინებით ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი კონსოამენტის შინაარსის დამატებით გამოსაკვლევად). მოპასუხე კომპანიას მიაჩნია, რომ მესამე პირს დაგროვილი აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება მოპასუხისადმი და უშუალოდ სადავო საქონლის გადატვირთვისა და შენახვის შედეგად, ხოლო მოსარჩელე ვერ იქნება იზოლირებული წარმოშობილი ვალისაგან, რადგან მესამე პირი ექსპედიციას ახორციელებს მხოლოდ მოსარჩელისა და „L. S.“-ს მიმართ. იმ დავებითაც, რომ მოსარჩელემ სადავო ნივთი შეიძინა, მოსარჩელე ვერ გამოითხოვს მას მოპასუხისაგან, რადგან ამ უკანასკნელს ექსპედიტორისაგან აქვს ქონება მიბარებული, ხოლო მისი გამოთხოვა მხოლოდ ექსპედიტორს შეუძლია, რომელსაც, თავის მხრივ, მოთხოვნის უფლება არავისთვის გადაუცია (იხ. მოპასუხის დაზუსტებული შესაგებელი).

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის ძირითადად სადავო არ არის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1-5.9 ქვეპუნქტები), არამედ კასატორი დავობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მოტივაციაზე და საკასაციო საჩივარში ყურადღებას ამახვილებს საკასაციო პრეტენზიებზე, რო-

მელიც სადავო სამართალურთიერთობის იურიდიული შეფასებისას გამოყენებულ მატერიალურ ნორმებს ეხება და ასევე- საპროცესო დარღვევაზე, რომელმაც, მისი მტკიცებით, მოპასუხის უფლების ხელყოფით, დავის შედეგზე იქონია გავლენა.

15. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სავსებით საკმარისად მიიჩნევს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში რამდენიმე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებები იკვეთება, ხოლო, სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობის პირობებში, მოსარჩელის პასუხისმგებლობის დაყენება მესამე პირის (ექსპედიტორი) კომპანიის მიერ კრედიტორის (მოპასუხე სანარმოს) წინაშე შესასრულებელი ვალდებულებისათვის დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან. სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“ (შეად. ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (იხ. სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103). საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანმხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისაკენ. სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწო-

რედ ამ მომენტიდან წარმოეშვათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით (შეად. ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019; სუსგ №ას-680-2021, 26.01.2022წ.).

16. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არაა:

16.1. მოსარჩელესა და ექსპედიტორს (მესამე პირს) შორის 2016 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება და მისი ვადა, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა;

16.2. მოპასუხესა და ექსპედიტორს (მესამე პირს) შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება და მისი ვადა, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, 2017 წლის 31 ივლისამდე განისაზღვრა;

16.3. კომპანია „L. S.“-სა და ექსპედიტორს (მესამე პირს) შორის 2017 წლის 26 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში ექსპედიტორმა აიღო ვალდებულება 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 ივლისამდე, კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, ტვირთის გადატვირთვაზე (იხ. 5.3 ქვეუნიქტი);

16.4. დადგენილია, რომ მოსარჩელემ კომპანია „L. S.“-სგან 2017 წლის 7 აგვისტოს შეიძინა ნავთობპროდუქტი, რის თაობაზეც, გამყიდველმა კომპანიამ („L. S.“-მ) გასცა ორდერი, რომელშიც მითითებულია, რომ 3 000 000 მეტრული ტონა არაეთილირებული ბენზინი ... უნდა გაიცეს მოსარჩელე საწარმოზე, ორდერი ეფექტურია 7.08.2017-დან და მოქმედებს „L. S.“-ს მიერ მის გაუქმებამდე.

16.5. დადგენილია, რომ მოპასუხე საწარმოს მოსარჩელისათვის, ამ უკანასკნელის მიერ „L. S.“-საგან შეძენილი 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის ნაწილ-ნაწილ გატანაზე პრობლემა 2017 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით არ შექმნია; მოსარჩელემ ნავთობპროდუქტის ნაწილი – 1 911 673 კგ სანავაზი 2017 წლის 18 ოქტომბრიდან 2017 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით გაიტანა, ხოლო დარჩენილი ნაწილის – 1 088 327 კგ სანავაზის – ბენზინი ...-ის ნავთობტერმინალის რეზერვუარებიდან გატანისა და გადაზიდვის მიზნით მომსახურების განწევას მოპასუხემ უარი განაცხადა იმ დასაბუთებით, რომ მის მიმართ ექსპედიტორ კომპანიას (მესამე პირს) ერიცხებოდა 48 255.6 აშშ დოლარის ვადაგადაცილებული დავალიანება; აღნიშნული დავალიანება არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ კომპანია „L. S.“-საგან შეძენილ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ვალს. ექსპედიტორი კომპანიის დავალიანების შესახებ ცნობით დასტურდება, რომ 48 255.6 აშშ დოლარი დავალიანება,

მესამე პირს გააჩნდა, ჯერ კიდევ 2017 წლის 2 მაისისათვის, ანუ მაშინ როდესაც „L. S.“-ს კუთვნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებული ... ბენზინი საქართველოში საერთოდ არ იყო შემოტანილი; საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა ექსპედიტორსა (მესამე პირსა) და კომპანია „L. S.“-ს შორის, მათ შორის ხელშეკრულება 2017 წლის 26 ივნისს დაიდო, ისევე როგორც ამ დროისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში არც ექსპედიტორი და მოპასუხე (კასატორი) კომპანია არ არიან, მათ შორის ხელშეკრულება 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმდა (იხ. წინამდებარე განჩინების 16.2-16.3 ქვეპუნქტები).

17. კასატორის ძირითადი არგუმენტი ემყარება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე სანარმოს სავინდიკაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რადგან მოპასუხე სანარმოს კუთვნილ რეზერვუარებში „L. S.“-სგან შეძენილი ნავთობპროდუქტი, რომელიც გვაროვნულ ნივთს წარმოადგენს, ჩაიტვირთა მოპასუხე კომპანიის რეზერვუარებში, შესაბამისად, მოპასუხესა და ექსპედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ექსპედიტორმა ნავთობპროდუქტი მიაბარა მოპასუხეს; საქონელი არ იყო მოსარჩელის საკუთრება და რეალურად მოპასუხესა და ექსპედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას, ის შერეული ტიპის ხელშეკრულებაა და როდესაც მოპასუხის კუთვნილ რეზერვუარებში მოთავსდა სადავო საქონელი, ამ ეტაპიდან ის არის მიბარებული საქონელი, რომლის დაკავების უფლებაც (სსკ-ის 776-ე მუხლი ადგენს, რომ „კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე“) გააჩნია მოპასუხეს კუთვნილი საზღაურის გადახდამდე, რადგან ექსპედიტორი მისი მოვალეა.

18. საკასაციო სასამართლო მისსავე პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ ხელშეკრულების ცალკეული ელემენტების განმარტებისათვის აუცილებელია ხელშეკრულების მთელი შინაარსი იქნეს გაანალიზებული, რათა დადგინდეს, თუ რისი მიღწევა სურდათ მხარეებს ნების გამოვლენისას, რა იურიდიულ და ეკონომიკურ ინტერესებს გულისხმობდნენ ისინი ვალდებულების შესრულებაში და კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი ვალდებულების შესრულებლობაზე დავობენ ისინი (იხ. სუსგ №ას-1244-1503-2009, 10.06.2010წ.). „ბოლო წლებში ტვირთის გადამზიდველებს, ექსპედიტორებს და სასაქონლო საწყობში შემნახველებს სულ უფრო მეტი ისეთი ვალდებულებების შესრულება უწევთ, რაც სცილდება

მათი ძირითადი საქმიანობის სფეროს. თუ აღნიშნული ლოჯისტიკური ვალდებულებების შესრულება ხდება გარკვეული ხელშეკრულებების კომბინაციით, საქმე ეხება შერეული ტიპის ხელშეკრულებებს და ამგვარი ვალდებულებების მიმართ შერეული ხელშეკრულებების წესები უნდა იქნას გამოყენებული. შესაძლოა ხელშეკრულებაში შერეული იყოს გადაზიდვის, საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის, სასაქონლო საწყობში საქონლის გადაცემის ვალდებულებები“ (იხ. მართლმსაჯულება და კანონი; №5/48; თამარ ზარანდია – სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები; გვ.32-33). სსკ-ის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან. ექსპედიტორსა (მესამე პირი) და მოპასუხეს შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება სააპელაციო სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულებად შეაფასა, სადაც მესამე პირი შემკვეთია, ხოლო მოპასუხე – მენარდე (შემსრულებელი), რომელიც ექსპედიტორ კომპანიას უწევს ტვირთის გადაზიდვის მომსახურებას ბათუმის ნავსადგურში მის ხელთ არსებული სიმძლავრეებისა და მისადგომების მეშვეობით. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულია, რომ გადატვირთვის მომსახურება მოიცავს: ა) ტვირთის ტანკერებიდან დაცლა; ბ) ტვირთის საცავეებში დაგროვება და შენახვა; გ) ტვირთის ჩატვირთვა ტერმინალის რეზერვუარებიდან ტანკერებში და ვაგონ-ცისტერნებში ან ავტოცისტერნებში; დ) აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება ტერმინალებზე არსებული საქონლის მოცულობისა და მისი ცვლილებების შესახებ კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (იხ. ხელშეკრულება). ანგარიშსწორების პირობები, წესი და ტარიფები განისაზღვრა ხელშეკრულების 11.1-11.11 პუნქტებით და ხელშეკრულების დანართით, რომლის მიხედვითაც, კომპანიას უნდა დაეფარა წინასწარი ინვოისი სამი დღით ადრე, დატვირთვა/გადმოტვირთვის შეთანხმებულ ტარიფამდე. დადგენილია, რომ სადავო ნივთის მფლობელთან – მოპასუხე კომპანიასთან მოსარჩელე საწარმო, როგორც ნივთის მესაკუთრე, არ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში. რაც შეეხება კასატორის მთავარ არგუმენტს, რომ ის ნივთის მართლზომიერი მფლობელი გახდა ექსპედიტორი კომპანიის მიერ ნავთობპროდუქტის მოპასუხის რეზერვუარებში მოთავსების შემდეგ, შესაბამისად, მოპასუხეს, როგორც ნივთის შემნახველს, წარმოეშვა მიბარებული ნივთის დაკავების უფლება სსკ-ის 776-ე მუხლის (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-16 პუნქტში) საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით,

აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხესა და ექსპედიტორ კომპანიას შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება შერეული ტიპის ხელშეკრულებაა (სსკ-ის 340-ე მუხლი), რომელიც მიბარების ელემენტებსაც მოიცავს, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ „გადაზიდვისას განხორციელებული დასაწყობება სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას მჭიდრო კავშირი აქვს სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირებასთან და ეს კავშირი იმდენად არსებითია, რომ გადაზიდვა, როგორც ასეთი, ხელშეკრულების მთავარ საგანს წარმოადგენს, ხოლო მიბარება სასაქონლო საწყობში მხოლოდ ამ ხელშეკრულების დანამატია“ (იხ.მართლმსაჯულება და კანონი; №5/48; თამარ ზარანდია – სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები; გვ.21), რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა შორის მიღწეული კონსენსუსის შედეგის მიხედვით ცხადია, რომ გადატვირთვის მომსახურება მოიცავს როგორც ტვირთის (ამ შემთხვევაში ნავთობპროდუქტის) ტანკერებიდან დაცლას, ისე მის საცავებში დაგროვებას და შენახვას, ჩატვირთვას ტერმინალის რეზერვუარებიდან ტანკერებში და ვაგონ-ცისტერნებში ან ავტოცისტერნებში; შესაბამისად, ეს მომსახურების ერთიანი პროცესია, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი – ტვირთის საცავებში დაგროვება და შენახვა – მას მიბარების ხელშეკრულებად ვერ აქცევს.

19. 2016 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულების მიხედვით მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემსრულებელი კომპანია (მოპასუხე, კასატორი), რომელიც ხელშეკრულების მიხედვით „ოპერატორად“ იწოდება, გადატვირთვის მომსახურებას გაუწევს ექსპედიტორს (ტვირთის გადამტვირთავს), რაც ხორციელდება ბათუმის ნავსადგურში მოპასუხის ხელთ არსებული სიმძლავრეებისა და მისადგომების მეშვეობით. ხელშეკრულება, მისი შესრულების მიზნებისათვის, ტერმინების განსაზღვრებას ადგენს და სხვა ტერმინებს შორის განმარტებულია, რომ სიმძლავრეები არის „ყველა ტექნიკა ტვირთის დასაცლელად ვაგონცისტერნებიდან, შენახვის საცავი, საცავი შიდა მილსადენები, სატუმბო მოწყობილობა, მისადგომები, ასევე წსმ“ (იხ. ხელშეკრულება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ჩამოტვირთული საქონლის შენახვის საცავში მოთავსება მოპასუხის მიერ ექსპედიტორი კომპანიისათვის გასანევი მომსახურების განუყოფელი ნაწილია, რადგან „არის შემთხვევები, როდესაც საქონლის დასაწყობება მგზავრის გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის ფარგლებში ხდება. ამ შემთხვევაში, სახეზეა ე. წ. ტრან-

სპორტირებით გამოწვეული დასაწყობება. ტრანსპორტირებით გამოწვეული დასაწყობება დროებითია, რადგან იგი მჭიდრო კავშირშია თავად გადაყვანა/გადაზიდვასთან“ (იხ. მართლმსაჯულება და კანონი; №5/48; თამარ ზარანდია – სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები; გვ.22).

20. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ განსახილველი დავის ფარგლებში მოპასუხე და ექსპედიტორი ერთმანეთთან ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან, სადაც ექსპედიტორი შემკვეთია, ხოლო მოპასუხე- მენარდე, მომსახურების გამწევი, ამასთან, მოპასუხეს (კასატორს) არც გირავნობის უფლების გამოყენება შეუძლია სსკ-ის 634-ე მუხლის თანახმად, რადგან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორც ეს მართებულად აღნიშნა სააპელაციო სასამართლომ (იხ. წინამდებარე განჩინების 6.14 ქვეპუნქტი), გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის პირობებში დამატებით იქნებოდა შესაფასებელი, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, სსკ-ის 634-ე მუხლის „მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება“ გამოყენების წინაპირობა, რადგან მენარდეს გირავნობის უფლების გამოყენება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ ნივთზე გააჩნია.

21. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შემნახველი უფლებამოსილია დააკავოს ნივთი მაშინაც, როდესაც მიმბარებელმა ეს ნივთი გაასხვისა. ნივთის დაკავების უფლება ქონებრივი ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებაა და აქედან გამომდინარე დაკავებული ნივთის მიმართ მხარეები იყენებენ გირავნობის შესაბამის ნორმებს (იხ. სუსგ №ას-1147-1394-05, 18.04.2006წ.). სსკ-ის 776-ე მუხლის კომენტირებისას მითითებულია, რომ ნივთის შეჩერება-დაკავების უფლება ქონებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა და გამოიხატება შემნახველის (კრედიტორის) მიერ მიმბარებლის (მოვალის) ქონების დაკავება-შეჩერებაში იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, რომელთა შესრულების ვადა უკვე დადგა. ამიტომ დაკავებული (შეჩერებული) ნივთის მიმართ მხარეები გამოიყენებენ გირავნობის შესაბამის ნორმებს იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოდექსის ამ თავითაა დადგენილი (იხ. სა-

ქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი II, გვ. 59-60; ჭანტურია ლადო, მთავარი რედაქტორი; თბილისი, 2001).

22. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ექსპედიტორთან დადებული მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს მოპასუხე (კასატორი) კომპანია მის მიერ რეზერვუარებში ჩატვირთულ ნავთობპროდუქტს, თუმცა, მას არ აქვს მისი დაკავების უფლება, რადგან მხარეთა შორის არ არის მიბარების სამართლებრივი ურთიერთობა, ამასთან, მოვალის, რომელიც განსახილველ შემთხვევაში, ექსპედიტორი კომპანიაა, დავალიანება წარმოიშვა გაცილებით ადრე, ვიდრე „L. S.“ საქართველოში შემოიტანდა, ხოლო შემდეგ მისგან მოსარჩელე ნაწილ-ნაწილ შეიძენდა სადავო ნავთობპროდუქტს ან თუნდაც ნავთობპროდუქტის შემომტანსა და ექსპედიტორს, ასევე ამ უკანასკნელსა და მოპასუხეს შორის გაფორმდებოდა მომსახურების ხელშეკრულებები (იხ. 16.5 ქვეპუნქტი). საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არაა, რომ მესამე პირს (ექსპედიტორს) მოპასუხის მიმართ 48 255.6 აშშ დოლარის ვადაგადაცილებული დავალიანება გააჩნდა. ეს დავალიანება არ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ კომპანია „L. S.“-საგან შეძენილ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ შეუსრულებელ ვალდებულებას. ექსპედიტორი კომპანიის დავალიანების შესახებ ცნობით დასტურდება, რომ მას 48 255.6 აშშ დოლარის დავალიანება ჰქონდა ჯერ კიდევ 2017 წლის 2 მაისის მდგომარეობით, ანუ იმ დროს, როდესაც „L. S.“-ს კუთვნილი 12 976 357 კგ არაეთილირილებული ... ბენზინი საქართველოში საერთოდ არ იყო შემოტანილი. მხარეთა შორის არც ისაა სადავო, რომ მთლიანი დავალიანებიდან მხოლოდ 26 100 აშშ დოლარია, მოსარჩელის კუთვნილი და მოპასუხის რეზერვუარებში ჩატვირთული 3 000 000 კგ ნავთობპროდუქტის მომსახურების თანხა. ამდენად, ექსპედიტორის დავალიანება, რაც დაკავშირებული არ არის მოსარჩელის კუთვნილი ქონების მომსახურებასთან, ვერ გახდება იმ ნივთის დაკავების საფუძველი, რაც მოსარჩელის საკუთრებაა.

23. კასატორს მიაჩნია, რომ სსკ-ის 776-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ კონკრეტული მიბარებიდან გამომდინარე წარმოეშვა შემნახველს თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიბარებული ნივთის დაკავების უფლება, ამასთან, შემნახველი ვის საქონელსაც იბარებს, ის ითვლება მიმბარებლად და ამის მიღმა არ იკვლევს, ნივთი ვისი საკუთრებაა. კასატორის მითითებით, ეს შემთხვევა იმითაცაა საყურადღებო, რომ მოსარჩელემ ერთიანად მოინდომა საქონლის გატანა, რადგან მანამდე ნავთობპროდუქტი ეტაპობრივად გაჰქონ-

და და მოპასუხის რეზერვუარებში სულ იყო მოთავსებული გარკვეული საქონელი, როგორც მოპასუხის მიერ ექსპედიტორისათვის გაწეული მომსახურების უზრუნველყოფის საშუალება; ერთი გარიგების ფარგლებში გვაროვნული საქონლის გატანა პერიოდულად ხორციელდებოდა, რამაც მოპასუხეს, მისი მტკიცებით, სსკ-ის 776-ე (იხ. მე-17 პუნქტი) და 796.1-ე “შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია” მუხლების საფუძველზე საკუთარი უფლების დაცვის წინაპირობა წარმოუშვა. კასატორს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ მოთხოვნა უნდა წაუყენოს საქონლის გამყიდველს ნაკლიანი ნივთის გაყიდვისათვის ან ექსპედიტორს.

24. კასატორის არგუმენტების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მესამე პირსა (ექსპედიტორს) და მოპასუხეს შორის მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ჩამოტვირთული ნავთობპროდუქტის შენახვასაც მოიცავს და ეს არ წარმოადგენს მიბარების ხელშეკრულებას, ამასთან, შენახვის საფასური არ არის გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებით. რაც შეეხება კასატორის პოზიციას, რომ შესაძლოა მოსარჩელეს მოთხოვნა გააჩნდეს საქონლის გამყიდველის – „L. S.“-ს მიმართ, უსაფუძვლოა, რადგან დადგენილია, რომ ექსპედიტორის დავალიანება მოპასუხის წინაშე წარმოიშვა მანამდე, სანამ სადავო ნავთობპროდუქტს გამყიდველი „L. S.“ საქართველოში შემოიტანდა. ექსპედიციის ხელშეკრულებაზე ვრცელდება დავალების წესები (სსკ-ის 730-ე მუხლი), შესაბამისად, სამართლებრივად დაუსაბუთებელი და იმავდროულად არასამართლიანია მოპასუხის მტკიცება (იხ. საკასაციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმი).

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 776-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რას ნიშნავს კრედიტორის (შემნახველის) მიერ კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე მიბარებული ნივთის დაკავების უფლება. საკასაციო სასამართლოს შეფასებით კანონმდებლის მიერ სსკ-ის 776-ე მუხლის სახით რეგლამენტირებული დანაწესის იმგვარი გაფართოებული განმარტება, რომ შემნახველს უფლება აქვს მიმბარებელს უარი უთხრას ისეთი ნივთის დაბრუნებაზე, რომელიც არა ამ უკანასკნელს, არამედ მესამე პირს ეკუთვნის, სამოქალაქო ბრუნვას შეუქმნის საფრთხეს და კეთილსინდისიერი მოქმედების სტანდარტს უგულებელყოფს. საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია კრედიტორის წინაშე შესასრულებელი ვალდებულებისათვის შემნახველთან (კრედიტორთან) სახელშეკრულებო ურთიერთობაში

არმყოფი მესამე პირის კუთვნილი ნივთის დაკავება (შეჩერება), რომელიც მიმბარებელს არ ეკუთვნის. კასატორისეული მტკიცების გაზიარების შემთხვევაში, თუკი მიმბარებელს შესასრულებელი აქვს შემნახველისადმი ვალდებულება და გადასახდელი აქვს საზღაური ან ნივთის შენახვისათვის გაწეული ხარჯებია ასანაზღაურებელი, შესაძლებელი გახდება ნებისმიერი მესამე პირის კუთვნილი ნივთის დაკავება (შეჩერება), ანუ მესამე პირის საკუთრების უფლებას ჩაენაცვლება შემნახველის მფლობელობის უფლება და შემნახველის მხრიდან ნივთის მართლზომიერად ფლობის პირობებში დასაშვები იქნება იმ ნივთის დაკავება-შეჩერებაც, რომელიც უშუალოდ მიმბარებლის საკუთრებას არ წარმოადგენს, მაგრამ მიმბარებლის ხელთ აღმოჩნდა სხვა კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე. სამართლებრივი შედეგის სახით მიმბარებლის მიერ შემნახველის სასარგებლოდ შესასრულებელი ვადამოსული ვალდებულებისათვის გამოყენებული იქნება მესამე პირის ქონება ისე, რომ ეს უკანასკნელი შემნახველის კონტრაჰენტი არასოდეს ყოფილა, რაც დაუშვებელია. ცხადია, სსკ-ის 776-ე მუხლის მიზნებისათვის მიბარება ყოველთვის არ გულისხმობს მესაკუთრის მიერ ნივთის მიბარებას. „ქონების შენახვად გადაცემას უპირველესად მისი მესაკუთრე განახორციელებს, მაგრამ არ იქნება სწორი, რომ ასეთი უფლება მხოლოდ მესაკუთრისათვის მიგვეცა. მიმბარებლის უფლებამოსილება მესაკუთრის თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს არამესაკუთრესაც, რომელიც ამ ქონების მფლობელია“ (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გვ. 27; ჭანტურია ლადო, მთავარი რედაქტორი; თბილისი, 2001). „მიმბარებელი ჩვეულებრივ ქონების მესაკუთრეა, მაგრამ გამორიცხული არ არის იყოს სხვა პირიც, რომელიც ფლობს ნივთს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე“ (იხ. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გვ. 203; მეორე გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“). მიმბარებლის უფლებამოსილება, რომ საკუთარი თუ სხვისი ტვირთი მიაბაროს შემნახველს, ამ უკანასკნელს არ წარმოუშობს კუთვნილი საზღაურის მიღებამდე სხვისი ნივთის დაკავების (შეჩერების) უფლებას, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ სადავო ნივთი არ ეკუთვნის მიმბარებელს-ხელშეკრულების კონტრაჰენტს, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არმყოფი მესამე პირის საკუთრებაა.

26. იურიდიული დოქტრინა მხარს უჭერს იმას, რომ „სასაქონლო საწყობში შემნახველის კონტროლის ვალდებულებას აგრეთვე, მიეკუთვნება იმ პირების უფლებამოსილების შემონიშნება, რომლებიც საქონლის მათთვის გადაცემას მოითხოვენ. ჩვეულებრივ,

შემნახველმა არ უნდა შეასრულოს მესამე პირის მითითებები, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც მიმბარებელმა ასეთი მითითებების გაცემის მიზნით, მიანიჭა სათანადო უფლებამოსილება ან მათი უფლებამოსილება სხვაგვარად გამომდინარეობს სასაქონლო საწყობში მიმბარებლის უფლებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მიმბარებელი უთმობს უფლებას მესამე პირს, განსაკუთრებით საქონლის გადაცემის მოთხოვნას, უფლების დათმობის მიმართ გამოიყენება სსკ-ის 198-ე და შემდგომი მუხლები“ (იხ.მართლმსაჯულება და კანონი; №5/48; თამარ ზარანდია – სასაქონლო საწყობში მიმბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები; გვ.29) და, რაც მთავარია, ექსპედიტორ კომპანიასა (მესამე პირსა) და მოპასუხე (კასატორ) კომპანიას შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა ვერ იქნება განხილული მიმბარების ხელშეკრულებად, რადგან საქონლის მიმბარება ამ შემთხვევაში ექსპედიტორის მიერ გასაწევი მომსახურების ერთ-ერთი კომპონენტია, მიმბარების მთავარი ელემენტი კი შენახვაა, ხოლო მიმბარება გაყიდვის მიზნით, ნივთის გადაცემის მიზნიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაიგივდეს მიმბარებასთან, რადგან იგი არ ისახავს მიზნად ნივთის შენახვის უზრუნველყოფას. ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ამ ურთიერთობისა არის ის, რომ მთავარი მოქმედება არის გაყიდვა (იხ. ზურაბ ძლიერიშვილი; ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება- გვ.3-24; თბილისი, 2006წ.). ნარდობის ხელშეკრულების არსებობა არ გამორიცხავს, რომ მენარდეს შემნახველის მოვალეობებიც ეკისრებოდეს (იხ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში – გვ.122; სამეცნიერო რედაქტორი თამარ ზარანდია – თსუ, სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი; თსუ გამომცემლობა – <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf>).

27. კასატორის მტკიცებას, რომ მისთვის უმნიშვნელოა, თუ ვინ მიაბარა ქონება, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს წინამდებარე განჩინების 26-ე პუნქტში მითითებული განმარტებისა და საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, რადგან მოპასუხე კომპანიისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ მოსარჩელეს გაჰქონდა მის მიერ შექმნილი და მოპასუხის რეზერვუარებში ჩატვირთული (დასაწყობებული) სადავო საქონელი. ასეც რომ არ იყოს, სწორედ იმ პერიოდიდან, როდესაც მოპასუხემ უარი განაცხადა მისი რეზერვუარებიდან ექსპედიტორის, როგორც შემკვეთის, მოთხოვნით სადავო ნავთობპროდუქტის ჩამოტვირთვაზე, მოპასუხემ მიიღო არაერთი შეტყობინება, რომ მოსარჩელეს ეკუთვნოდა აღნიშნული ნივთი და არა ექსპედიტორს და შეფერხება უნდა აღმოფხვრი-

ლიყო (იხ. წინამდებარე განჩინების 2.7-2.11 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები, რაც მხარეთა შორის სადავო არ არის), დადგენილია ისიც, რომ სარჩელის აღძვრის შემდეგ, მოპასუხე კომპანიამ ექსპედიტორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გასწია მომსახურება და მოსარჩელემ გაიტანა მის მიერ შეძენილი სადავო ნავთობპროდუქტის ნაწილი (იხ. წინამდებარე განჩინების 2.12 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა სხვისი ქონების დაკავების საფუძველი, რადგან ექსპედიტორი კომპანია, რომელიც მოვალეა მოპასუხისადმი, ამ უკანასკნელისათვის შემკვეთს წარმოადგენს მათ შორის გაფორმებული ნარდობის (მომსახურების განევის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც მიბარებული საქონლის (ნივთის) შენახვასაც (დასაწყობებასაც) მოიცავს გასაწევი მომსახურების ერთიანი პროცესის ელემენტის სახით, შესაბამისად მოსარჩელეს, როგორც მესაკუთრეს წარმოეშვა მოპასუხის, რომელთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა, უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი საქონლის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება, რაც სსკ-ის 168-ე, 170-ე, 172-ე, 629-ე მუხლების საფუძველზე მართებულად იქნა დაკმაყოფილებული. მოპასუხის მტკიცებამ სსკ-ის 730-ე, 776-ე მუხლების საფუძველზე ვერ გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი მოსარჩელის დასაბუთებულ სასარჩელო მოთხოვნას.

28. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ კომპანია „L. S.“-ს მიერ გამოგზავნილი, 12 976 357 კგ არაეთილირილებული ბენზინი ...-ის მოპასუხის რეზერვუარებში შენახვა უსასყიდლო იყო და მოპასუხე კომპანიასა და ექსპედიტორს შორის, 2016 წლის 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო, მხოლოდ ამ ტვირთის გადმოტვირთვა – ჩატვირთვის მომსახურების საფასურის გადახდა; ამ მიმართებით კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო მოპასუხის მხრიდან გამოჩენილი კეთილი ნება, რადგან ეს დავალიანება იფარებოდა და რალაც პერიოდში საქონელს გაიტანდა მხარე, ისინი არ შეთანხმებულან არც ხელშეკრულების შეცვლაზე და არც ვალის პატიებაზე. კასატორის განმარტების პასუხად, მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითა სსკ-ის 730-ე (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტში) და 716-ე „ქონება, რომელიც რწმუნებულმა დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა მარწმუნებლის ხარჯზე და საკუთარი სახელით, ან მარწმუნებელმა გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში ჩაითვლება მარწმუნებლის ქონებად“ მუხ-

ლების მოწესრიგებაზე და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, ექსპედიტორმა, როგორც რწმუნებულმა, თავისი სახელით, ჯერ კომპანია „L. S.“-ს და შემდეგ მოსარჩელის ხარჯზე გასწია მომსახურება, შესაბამისად იმის მტკიცება, რომ მოპასუხის ნავთობტერმინალში შენახული ნებისმიერი პირის ქონება წარმოადგენს ექსპედიტორის ქონებას და ნებისმიერი სხვა მესაკუთრის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მოპასუხემ ექსპედიტორს არ გამოართვა თავის დროზე განუღი მომსახურების საფასური ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში თუნდაც საქონლის შენახვის ხარჯები, სამოქალაქო ბრუნვისათვის რისკის შემცველია, დამაზიანებელია მესაკუთრეთა უფლებებისათვის და საქართველოში საქონლის იმპორტისათვის. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ქონებას არ ერიცხებოდა შენახვის ხარჯები, რაც გამორიცხავს ამ ქონების გაიგივებას იმ სხვა ქონებასთან, სადაც შესაძლოა სხვა ხელშეკრულების ფარგლებში შენახვის ხარჯებიც იყო გათვალისწინებული (იხ. საკასაციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმი).

29. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივად დაუსაბუთებლად და არადადამაჯერებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორის იმ მტკიცების გაზიარება, რომ საქონლის შენახვის ხარჯების გადაუხდელობა მოპასუხის მიერ კეთილი ნების გამოვლენა იყო, რადგან, გარდა იმისა, რომ მოპასუხე თვითონვე ადასტურებს მის მიერ წარდგენილ შესაგებელში, რომ საექსპედიტორო მომსახურების ფარგლებში მესამე პირს მოპასუხე კომპანიასთან დადებული აქვს წარდობის ხელშეკრულება, რომლის სანაცვლოდაც მესამე პირი კომპანია „L. S.“-სა და მოსარჩელის ხარჯზე იღებს მოპასუხე კომპანიის მომსახურებას და არ უხდის მას ღირებულებას (იხ. მოპასუხის შესაგებელი), როგორც ეს უკვე აღინიშნა, გადატვირთვის მომსახურება, როგორც ერთიანი პროცესი, მოპასუხის მიერ შესასრულებელ არაერთ მოქმედებას მოიცავს ექსპედიტორის, როგორც შემკვეთის, სასარგებლოდ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტი).

30. კასატორის პრეტენზია საპროცესო დარღვევებთან მიმართებით არ არის გაზიარებული და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე განჩინების 7-8 პუნქტებშია ასახული, რადგან პირველი ინსტანციის სამართალწარმოების ეტაპზე არ დარღვეულა მოპასუხის საპროცესო უფლება. „მხართა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო

სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...” (შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე №2/6/746). „სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან, რომ შეგებებული სარჩელები გამოყენებული იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით“ (იხ. ლილუაშვილი თენგიზ, ხრუსტალი ვალერი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 328; გამომცემლობა „სანი“, 2004) საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი უფლება, მათ შორის, საპროცესოსამართლებრივი, გამოყენებული უნდა იქნას მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე არ ვლინდება საპროცესო ნორმების დარღვევა, რომელიც მოპასუხისათვის შეგებებული სარჩელის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებების შექმნასა და საპროცესო უფლების შეზღუდვას უკავშირდება (იხ. სუსგ-ები: №ას-654-2020, 23.07.2021წ; №ას-27-2021, 28.05.2021წ.). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული საპროცესო დარღვევებით, კასატორმა ვერც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე დაამტკიცა თავისი მოთხოვნის დასაბუთებულობა და ვერ მიუთითა რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის სამართლებრივ შედეგზე.

31. კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ის ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის გადანყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დაზღვევა

სიცოცხლის დაზღვევა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთო

№ას-1113-2018

10 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, უძრავი ქონების აღრიცხვა
საკუთრების უფლებით, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალი-
ზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ბანკი“ ან „აპელან-
ტი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-ძის (შემდგომში – „მსეს-
ხებელი“ ან „გარდაცვლილი“) უფლებამონაცვლის მ. ბ-ძის (შემდგომ-
ში – „მოპასუხე“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხი-
სათვის: №2246021 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომ-
დინარე დავალიანების – 12 124,59 აშშ დოლარის გადახდის დაკის-
რება; №3203917 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომ-
დინარე დავალიანების – 7276,82 აშშ დოლარის გადახდის დაკის-
რება; №3203918 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომ-
დინარე დავალიანების – 25,54 აშშ დოლარის გადახდის დაკისრე-
ბა; გარდაცვლილის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ზუგ-
დიდი, ..., ს/კ ... (შემდგომში – „უძრავი ქონება“, „იპოთეკით დატ-
ვირთული უძრავი ქონება“ ან „იპოთეკის საგანი“), საჯარო რეეს-
ტრში მოპასუხის საკუთრების უფლების დარეგისტრირება; გადან-
ყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით
დატვირთული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა, ხოლო
იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ქონების რეალიზაციით ამონაგები
თანხა სრულად არ დაფარავს დავალიანებას, მისი დაფარვის მიზ-
ნით, მიღებული სამკვიდროს ფარგლებში მოსარჩელის სხვა ქონე-
ბის სარეალიზაციოდ მიქცევა.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელესა და მსესხებელს შორის 2014 წლის 17 ოქტომ-

ბერს გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიხსნა საკრედიტო ხაზი 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, 300 თვის ვადით. საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება;

2.2. საკრედიტო ხაზის ფარგლებში 2014 წლის 23 ოქტომბერს მსესხებელმა აიღო კრედიტი 12 000 აშშ დოლარის ოდენობით, 120 თვის ვადით, წლიური 10% სარგებლის დარიცხვის პირობით (სესხის №2246021). სესხი გაიცა ტრანშებად;

2.3. საკრედიტო ხაზის ფარგლებში 2015 წლის 08 დეკემბერს მსესხებელზე კვლავ გაიცა კრედიტი 6740 აშშ დოლარის ოდენობით, 120 თვის ვადით, წლიური 10% სარგებლის დარიცხვის პირობით (სესხის №3203917);

2.4. საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად, მისი განუყოფელი დანართის სახით, გაფორმდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების სადაზღვევო სესხის შეთანხმება, რომლითაც მსესხებელზე გასაცემი ყოველწლიური ავტომატური ტრანშის ოდენობა განისაზღვრა 48,52 აშშ დოლარით, ხოლო წლიური სარგებელი 18%-ით. სადაზღვევო სესხის ტრანში გაიცა 2015 წლის 08 დეკემბერს (სესხის №3203918);

2.5. მსესხებელს სესხი უნდა დაეფარა ხელშეკრულებებზე დართული გრაფიკებით განსაზღვრულ ვადაში, თუმცა მან დაარღვია აღნიშნული ვალდებულება 2016 წლის სექტემბრიდან და მას შემდეგ სესხი გადაუხდელია;

2.6. გადაუხდელ დავალიანებას სარჩელის შეტანის დღემდე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2.7. 2016 წლის დეკემბერში ბანკისათვის ცნობილი გახდა მსესხებლის გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილის კანონისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს მოპასუხე (მამა), რომელიც ვალდებულია მიღებული აქტივის ფარგლებში დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესები. მსესხებლის მემკვიდრეს გაეზგავნა წერილობითი მოთხოვნა ვალდებულების შესრულების თაობაზე, თუმცა უშედეგოდ;

2.8. სარჩელის შეტანის დროისათვის მოპასუხის დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენს შემდეგს: №2246021 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 12124,59 აშშ დოლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 10679,62 აშშ დოლარი, სარგებელი – 674,13 აშშ დოლარი, ჯარიმა – 744,70 აშშ დოლარი და საკომისიო – 26,14 აშშ დოლარი; №3203917 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 7276,82 აშშ დოლარს, საიდანაც სესხის ძი-

რითადი თანხაა – 6455,04 აშშ დოლარი, სარგებელი – 400,39 აშშ დოლარი, ჯარიმა – 407,49 აშშ დოლარი და საკომისიო – 13,90 აშშ დოლარი; №3203918 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 25,55 აშშ დოლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 12,91 აშშ დოლარი, სარგებელი – 1,45 აშშ დოლარი და ჯარიმა – 11,19 აშშ დოლარი.

3. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:

3.1. მსესხებლის გარდაცვალების მიზეზი გახდა უბედური შემთხვევა. მას დაეჯახა დამფრთხალი ცხენი და თავის არეში მოხვდა ცხენის ჩლიქი. შესაბამისად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება უნდა შეასრულოს ს.კ.ა-მა (შემდგომში – „სადაზღვევო კომპანია“, „მზღვეველი“ ან „მესამე პირი“), ვინაიდან ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უბედური შემთხვევის გამო მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, საკრედიტო ვალდებულების შესრულება სწორედ სადაზღვევო კომპანიას ეკისრება;

3.2. მოპასუხემ მიუთითა, რომ იგი მოცემულ საქმეზე წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს და უნდა შეიცვალოს სათანადო მოპასუხით – სადაზღვევო კომპანიით.

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით განსახილველ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მოსარჩელის მხარეს ჩაება სადაზღვევო კომპანია.

5. მესამე პირმა სასამართლოში წარადგინა ახსნა-განმარტება, რომლითაც არ დაეთანხმა მოპასუხის მითითებას უბედური შემთხვევის გამო დავალიანების სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურების თაობაზე. მისი განმარტებით, ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადებული „ოფსეტური იპოთეკური ან/და სამომხმარებლო სესხის მომხმარებლებისთვის სიცოცხლის დაზღვევის ღია პოლისის“ დანართი №3-ის თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. მოცემულ შემთხვევაში, გარდაცვლილის ქმედება – ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს ცხეზე ჯდომა, სადაზღვევო კომპანიის მიერ შეფასდა საკუთარი ნებით თავის ხიფათში ჩაგდებად, რის გამოც არ არსებობდა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება.

6. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 19 426,35 აშშ დოლარის გადახდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9.1. მოსარჩელესა და მსესხებელს შორის 2014 წლის 17 ოქტომბერს დაიდო №GAI053266 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიხსნა 100 000 აშშ დოლარის ლიმიტის მქონე საკრედიტო ხაზი, კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა – 48%-ით;

9.2. №GAI053266 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2014 წლის 17 ოქტომბერს ბანკსა და მსესხებელს შორის დაიდო №SAI053267 იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება;

9.3. №GAI053266 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 4.1.15 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა ბანკის მოთხოვნებს, მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილი იყო აღსრულება მიექცია მოვალის სხვა ქონებაზე;

9.4. მოსარჩელესა და მსესხებელს შორის 2014 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა №GAI053266 ხელშეკრულების საკრედიტო ხაზის შემადგენელი იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულება №SBI053506 (კრედიტის №2246021), რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიწა კრედიტი 12 000 აშშ დოლარის ოდენობით, 120 თვის ვადით – 23.10.2024 წლამდე შემდეგი პირობებით: წლიური საპროცენტო სარგებელი – 10%; სესხის გაცემის საკომისიო – სესხის 0,4% მინიმუმ 50 ლარი; ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო – დავალიანების 0,5%. მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შე-

თანხმებული გრაფიკის მიხედვით, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

9.5. 9.1. მოსარჩელესა და მსესხებელს შორის 2015 წლის 08 დეკემბერს გაფორმდა №GAI053266 ხელშეკრულების საკრედიტო ხაზის შემადგენელი იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულება №SBI064988 (კრედიტის №3203917), რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 6740 აშშ დოლარის ოდენობით, 120 თვის ვადით – 08.12.2025 წლამდე შემდეგი პირობებით: წლიური საპროცენტო სარგებელი – 10%; სესხის გაცემის საკომისიო – სესხის 0,4% მინიმუმ 50 ლარი; ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო – დავალიანების 0,5%. მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

9.6. №GAI053266 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართის სახით, მოსარჩელესა და მსესხებელს შორის გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონების დაზღვევასთან დაკავშირებული დამატებითი შეთანხმება (კრედიტის №3203918), რომლის საფუძველზეც №GAI053266 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, მოსარჩელემ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების დაზღვევის პოლისის მოსაპოვებლად ან/და შესაბამისი პრემიის გადასახდელად, მსესხებელზე გასცა წლის განმავლობაში ავტომატურად გაცემული დაზღვევისათვის კრედიტი, თითოეული ტრანშის მაქსიმალური – 48,52 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 18%-ის დარიცხვით, 286 თვის ვადით (დაზღვევის კრედიტის მაქსიმალური ოდენობა 405 აშშ დოლარი). შეთანხმებით განისაზღვრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების 0,5%-ის ოდენობით. მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა ხელშეკრულებაზე (შეთანხმებაზე) თანდართული გრაფიკის მიხედვით;

9.7. მოსარჩელის (დამზღვევი) ოფსეტური იპოთეკური და/ან სამომხმარებლო სესხების პორტფელი – ბანკის ფინანსური ინტერესი, მისი მსესხებელი ფიზიკური პირის – მსესხებლის (დაზღვეული) მიმართ, დაზღვეული იყო მოსარჩელესა და სადაზღვევო კომპანიას (მზღვეველი) შორის 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული „ოფსეტური იპოთეკური ან/და სამომხმარებლო სესხის მომხმარებლებისთვის სიცოცხლის დაზღვევის №GL/G001/R00005/14/02 ღია პოლისის“ (დაზღვევის ხელშეკრულება) საფუძველზე, ავტომატური დაზღვევის ფარგლებში 2015 წლის 08 დეკემბერს გაცემული სიცოცხლის დაზღვევის №706031907 პოლისით. საკრედიტო

სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები განისაზღვრა №GL/G001/R00005/14/02 ლია პოლისის №3 დანართით;

9.8. აღნიშნული დანართის მე-2 პუნქტის თანახმად, დაფარულ რისკებს წარმოადგენს დაზღვეულის მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება, გარდა რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევისა, რომელთა შორის არის – დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდება (2.11 პუნქტი). იმავე დანართის 3.6. პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან მზღვეველის მიერ ბანკზე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით, რაც გულისხმობს მხოლოდ გარდაცვალების მომენტისათვის დაფიქსირებულ სესხის ძირითად თანხას და არ მოიცავს მიმდინარე დავალიანებაზე დარიცხულ სარგებელსა და ჯარიმებს;

9.9. 2016 წლის 01 აგვისტოს გარდაიცვალა მსესხებელი. №170151646 სამკვიდრო მონუმბის თანახმად, გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებითა (მათ შორის, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება) და პასივებით სრულად მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ – მოპასუხემ (მამა). შესაბამისად, მოპასუხე წარმოადგენს მსესხებლის უფლებამონაცვლეს;

9.10. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტის გადახდა შეწყდა მსესხებლის გარდაცვალების გამო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არც მის უფლებამონაცვლეს – მოპასუხეს შეუსრულებია;

9.11. მოსარჩელემ მსესხებელთან დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები შეწყვიტა 2017 წლის 21 აპრილს. ამ მდგომარეობით, მსესხებლის დავალიანებამ ბანკის წინაშე შეადგინა: №2246021 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 12 124,59 აშშ დოლარი, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 10679,62 აშშ დოლარი, პროცენტი – 674,13 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 744,70 აშშ დოლარი და საკომისიო – 26,14 აშშ დოლარი; №3203917 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 7276,82 აშშ დოლარი, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 6455,04 აშშ დოლარი, პროცენტი – 400,39 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 407,49 აშშ დოლარი და საკომისიო – 13,90 აშშ დოლარი; №3203918 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 25,55 აშშ დოლარი, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 12,91 აშშ დოლარი, პროცენტი – 1,45 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 11,19 აშშ დოლარი.

10. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ 2016 წლის 26 სექტემბერს მოსარჩელემ სადაზღვევო კომპანიას გაუგ-

ზავნა წერილი, რომლითაც აცნობა მსესხებლის გარდაცვალების შესახებ და მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვა სადაზღვევო თანხის – 17 134,66 აშშ დოლარის ანაზღაურება. აღნიშნული წერილის პასუხად, 2016 წლის 27 ოქტომბერს სადაზღვევო კომპანიამ მოსარჩელეს გაუგზავნა შეტყობინება (პასუხი), რომლითაც უარი უთხრა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. მისი განმარტებით, როგორც წარდგენილი დოკუმენტიდან ირკვეოდა, გარდაცვლილი ცხენიდან ჩამოვარდნის დროს იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, რაც უნდა შეფასებულიყო, როგორც საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდება, ვინაიდან დაზღვეულს თავისი ქმედების განხორციელების დროს შეეძლო გაეთვალისწინებინა ამ ქმედების შედეგები. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სადაზღვევო კომპანია მოკლებული იყო შესაძლებლობას დადებითად გადაეწყვიტა ბანკის მიერ მოთხოვნილი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხი.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბანკს ჰქონდა მცდელობა მასსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებლის გარდაცვალების გამო მოეთხოვა სადაზღვევო ანაზღაურება, თუმცა, ვინაიდან, სადაზღვევო კომპანიის აზრით, სახეზე არ იყო სადაზღვევო შემთხვევა (არამედ, დგინდებოდა საგამონაკლისო შემთხვევის – საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების ფაქტი), ბანკს მოთხოვნაზე ეთქვა უარი.

12. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მასსა და მსესხებელს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრება, ხოლო მოპასუხე არის მსესხებლის უფლებამონაცვლე, იგი მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეა.

13. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მან სარჩელის საპასუხოდ წარადგინა მხოლოდ საპროცესო შედავება მოპასუხის არასათანადოობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-868-ე, 1328-ე, 1484-ე მუხლებით და წინამდებარე განჩინების 11.11 პუნქტის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოპასუხისათვის 19 426,35 აშშ დოლარის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებაზე იმავე სასამართლოს მიერ 2018 წლის 16 ივლისს მიღებულ იქნა დამატებითი

გადანყვეტილება; გარდაცვლილის კუთვნილ უძრავ ქონებაზე დადგინდა მისი უფლებამონაცვლის – მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელება; გადანყვეტილებით დაკისრებული დავალიანების ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში დადგინდა გადანყვეტილების აღსრულების განხორციელება იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი დაკისრებული თანხის დასაფარად, განისაზღვრა იძულებითი აღსრულება მოპასუხის სხვა ქონებაზე, მიღებული სამკვიდროს ფარგლებში.

15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე კოდექსის 301-ე მუხლით და, იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებელმა დაარღვია კრედიტის დაფარვის გრაფიკი, ხოლო ბანკის მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყო იპოთეკით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია.

16. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე, ასევე დამატებით გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ და მოითხოვა გადანყვეტილების გაუქმება.

17. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის პოზიციაზე მის არასათანადოობასთან დაკავშირებით;

17.2. კასატორი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ იგი მოცემულ დავაში წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს. მან სასამართლოს წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მსესხებელი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა ამ საკითხზე და განეხილა ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგა, რაც გამოორიცხავდა მოპასუხის ფინანსურ პასუხისმგებლობას. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაიზიარა სადაზღვევო კომპანიის პოზიცია და თავის გადანყვეტილებას საფუძვლად დაუდო ამ უკანასკნელის წერილი ბანკის მიმართ, მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კი შეფასების გარეშე დატოვა;

17.3. ვინაიდან სადავო სადაზღვევო შემთხვევის არსებობა, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება;

17.4. სასამართლომ მართებულად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია მოპასუხის უფლებები.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რამდენად განხორციელებადია სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ იმ საფუძველით, რომლებიც მასში არის მითითებული.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივი გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც

იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. მაგ. სუსგ №ას-501-475-2015, 31 მარტი, 2016 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი; №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი).

23. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია. შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე, 301-ე, 417-418-ე, 867-868-ე, 1421-ე და 1484-ე მუხლები, თუმცა მოპასუხემ სადავოდ გახადა ბანკის მიმართ მისი პასუხისმგებლობის საკითხი. მან მიუთითა ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე და განმარტა, რომ ვინაიდან მსესხებელი გარდაიცვალა, აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ბანკის მიმართ არსებული დავალიანება უნდა დაეფარა მზღვეველს.

24. კასატორის საკასაციო პრეტენზიიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუზნალაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.

26. დასახელებული სამართლებრივი ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა

ანანზლაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზლაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 820-858-ე მუხლებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს ქონება ან პიროვნება. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია (იხ. სუსგ საქმე №ას-663-624-2011, 17 თებერვალი, 2012 წელი).

27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 844-ე მუხლის შესაბამისად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს სიცოცხლე. სიცოცხლის დაზღვევა პირადი დაზღვევის სახეს წარმოადგენს და მისი ინტერესია დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში, დაზღვეულმა პირმა გარკვეული სარგებელი მიიღოს. ამასთან, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დამზღვევისა და მესამე პირის სიცოცხლის დაზღვევის შესაძლებლობას. ნორმის მიზანია, სხვა პირის დაზღვევისას დაიცვას მისი სიცოცხლე, როგორც დაზღვევის ობიექტი (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 844, www.gccc.ge).

28. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მსესხებლის სიცოცხლე დაზღვეული იყო ბანკსა (დამზღვევი) და სადაზღვევო კომპანიას (მზღვეველი) შორის 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ღია პოლისის საფუძველზე, ავტომატური დაზღვევის ფარგლებში 08.12.2015წ. გაცემული სიცოცხლის დაზღვევის №706031907 პოლისით. დაზღვევის პირობები განისაზღვრა დანართი №3-ის მიხედვით (შემდგომში – „დანართი №3“). აღნიშნული დანართის 2.1. პუნქტის თანახმად, დაზღვევის ფარგლებში დაფარულ რისკებს წარმოადგენს: დაზღვეულის გარდაცვალება ნებისმიერი მიზეზით ან დაზღვეულის მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება, გარდა რამდენიმე გამონაკლისის შემთხვევისა, მათ შორის, როდესაც გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია – დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებათ. იმავე დანართის 3.6. პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან მზღვეველის მიერ ბანკზე გაცემული სადაზღვევო ანაზლაურების ოდენობით, რაც გულისხმობს მხოლოდ გარდაცვალების მომენტისათვის დაფიქსირებულ სესხის ძირითად თანხას და არ მოიცავს მიმდინარე დავალიანებაზე დარიცხულ სარგებელსა და ჯარიმებს.

29. დადგენილია, ასევე, რომ მსესხებელი გარდაიცვალა 2016

წლის 01 აგვისტოს, ხოლო სადაზღვევო კომპანიამ უარი განუცხადა ბანკს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, ვინაიდან მსესხებლის გარდაცვალება მის მიერ შეფასდა, როგორც საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდება. სადაზღვევო კომპანიის განმარტებით, წარდგენილი დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ გარდაცვლილი ცხენიდან ჩამოვარდნის დროს იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში.

30. დადგენილია, რომ მიუხედავად სადაზღვევო კომპანიისადმი თავდაპირველი მიმართვისა, სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის მიღების შემდგომ ბანკს არ გამოუყენებია სხვა სამართლებრივი საშუალება საკუთარი მოთხოვნის განსახორციელებლად (არ აღუძრავს სარჩელი სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნით). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს ჰქონდა მცდელობა მსესხებლის გარდაცვალების გამო მოეთხოვა სადაზღვევო ანაზღაურება და მიიჩნევს, რომ დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლებლობების ასეთი ფორმალური განკარგვა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობაში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერების სტანდარტს (იხ. სუსგ საქმე №ას-388-2019, 14 თებერვალი, 2020 წელი).

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. იმავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ (დისპოზიციურობის პრინციპი).

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რაც გულისხმობს ყოველი პირის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს, ვის მიმართ წარადგინოს პრეტენზია თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის შესახებ (იხ. სუსგ საქმე №ას-1338-1258-2017, 29 ნოემბერი, 2017 წელი; №ას-158-158-2018, 23 თებერვალი, 2018 წელი). ამ პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის დანაწესი, რომელიც ადგენს სარჩელის შინაარსობრივ მოთხოვნებს და მოსარჩელისაგან მოითხოვს, რომ მან სარჩელში აღნიშნოს დავის საგანი, მოთხოვნა, ფაქტობრივი გარემოებები, მოპასუხე და სხვა.

33. სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კით-

ხვებს: ვინ, ვისგან, რას, რის საფუძველზე მოითხოვს. პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემოწმებაც (ისევე, როგორც მოთხოვნისა და მისი სამართლებრივი საფუძვლის) სასამართლოს პრეროგატივაა და ორიენტირებულია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებაზე (იხ. სუსგ საქმე №ას-1085-1042-2016, 10 მაისი, 2017 წელი). სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი (მოპასუხე), რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს, რათა დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან კავშირი არ გააჩნია (იხ. სუსგ საქმე №ას-190-179-2017, 30 აპრილი, 2018 წელი).

34. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკს საკუთარი ინტერესების დასაცავად არ მიუმართავს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებისათვის. მას შეეძლო ესარგებლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე, 844-ე მუხლებით მინიჭებული უფლებით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ამ რესურსის უშედეგოდ ამოწურვის შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი ბანკის მოთხოვნის განხორციელება მსესხებლის უფლებამოსაცვლის მიმართ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის შესაგებლიდან გამომდინარე, განუხორციელებადია, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

35. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მსესხებელი გარდაცვალებამდე ჯეროვნად ასრულებდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებას. აღნიშნული გარემოება სადავოდ არ გამხდარა მხარეთა მიერ. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, აღარ იარსებებდა დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის წინაპირობები.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

37. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად

დასაბუთებული, რაც მისი და შესაბამისად, დამატებითი გადან-
ყვეტილების გაუქმების საფუძველია.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გა-
დანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხ-
ლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქ-
მის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბ-
რუნების საფუძვლები. წინამდებარე გადანყვეტილებაში განვითა-
რებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩ-
ნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახ-
ლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წი-
ნაპირობები.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-
ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-
დანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გან-
თავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-
ჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწი-
ლების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე
სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარე-
ებმა საქმის შსააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოები-
ნას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადან-
ყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამი-
სად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

40. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასა-
მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივლისის
განჩინებით, დაკმაყოფილდა მ.ბ-ძის უფლებამონაცვლის მ.ბ-ძის
წარმომადგენლის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-
გან გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, ვინაიდან საკასაციო
საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს საკასაციო საჩივარზე გა-
დასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 971,32 აშშ დოლარის გადახდა
უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ბ-ძის უფლებამონაცვლის მ.ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკ-
მაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. სს „ს. ბ-ს“ (ს/კ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი თლEშჩE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150) დაეკისროს 971 (ცხრაას სამოცდათერთმეტი) აშშ დოლარისა და 32 (ოცდათორმეტი) ცენტის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. საბანკო მომსახურება

ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-832-2019

11 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ნ. ე-იმ“ (შემდეგში: კომპანია) ნ.მ-ძეს (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი), 2012 წლის 14 აგვისტოს, საბანკო ანგარიშზე 3570 ლარი ჩაურიცხა, რომელიც სს „ს. ბ-მა“ (შემდეგში: მოპასუხე, ბანკი, მოწინააღმდეგე მხარე), 2013 წლის 24 ივნისს, სასესიო ვალდებულების ფარგლებში ჩამოაჭრა და 2008 წლის 23 ივნისის №614434 კრედიტის დასაფარად მიმართა;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის (№2/7951-13) გადაწყვეტილებით, ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს ბანკის სასარგებლოდ, 2008 წლის 23 ივნისის №614434 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 522 ლარისა და პირგასამტეხლოს – 300 ლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო 2008 წლის 24 აპრილის №520465 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – ძირითადი დავალიანების – 3441.87 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, 1000 აშშ დოლარის, ანაზღაურება. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;

3. მოსარჩელეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა არ გადაუხდია.

4. სს „ს. ბ-ის“ მიერ გაცემული 2018 წლის 12 ივლისის ცნობის თანახმად, ბანკმა მოსარჩელის დავალიანება დააკორექტირა და სადავო თანხა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული №520465 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გადარიცხა;

5. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებულმა კომპანიამ, 2012 წლის 15 აგვისტოს, წერილით მიმართა სს „თ. ბ-ს“ და აცნობა, რომ ამ უკანასკნელის ანგარიშიდან მოსარჩელის ანგარიშზე 3570 ლარი შეცდომით გადაირიცხა და გადარიცხვის გაუქმება და თანხის ანგარიშზე დაბრუნება მოითხოვა;

6. მოსარჩელემ, 2013 წლის 5 აგვისტოს, ნ. ო-ისგან (შემდეგში: გამსესხებელი) 3570 ლარი, თვეში 5% სარგებლის დარიცხვით ისესხა. ვალდებულება მოვალის წინაშე სრულად შესრულებულია.

7. სარჩელის საფუძვლები

7.1 მოსარჩელემ, 2018 წლის 30 მაისს, სარჩელი აღძრა ბანკის (მოპასუხის) წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის, 9639 ლარის დაკისრება მოითხოვა, აგრეთვე – ბანკის დავალდებულება, რომ მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე 2748 ლარი აღადგინოს.

7.2 მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-2, 5-6 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით განმარტა, რომ კომპანიამ, 2012 წლის 14 აგვისტოს მესამე პირების შრომითი ანაზღაურება (3570 ლარი) მის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხა, რაც ბანკისთვის 2012 წელსვე გახდა ცნობილი, თუმცა, კომპანიის (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი და მეხუთე პუნქტები) მოთხოვნის მიუხედავად, ბანკმა თანხა არ დააბრუნა.

7.3 მოსარჩელის განმარტებით, ბანკმა 2018 წელს მოსარჩელის ანგარიშიდან უკანონოდ ჩამოჭრილი თანხა აღადგინა, თუმცა ახალი უზუსტობა დაუშვა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 822 ლარის ნაცვლად, ანგარიშიდან 3570 ლარი ჩამოაჭრა მოსარჩელეს, რაც პროცენტის დასაფარად მიმართა.

7.4 მოსარჩელის განმარტებით, ბანკის ქმედების გამო, კერძო პირისგან აღებული პროცენტიანი სესხით, მესამე პირთა შრომითი ანაზღაურება დაფარა, რის გამოც 34 თვის მანძილზე, გამსესხებლის სასარგებლოდ (იხ. მე-6 პუნქტი), თვეში სესხის 5%-იან სარგებელს იხდიდა. მოსარჩელის მიერ გამსესხებლისათვის გადახდილმა თანხამ ჯამში 9639 ლარი შეადგინა, რაც მისთვის მოპასუხის ქმედებით მიყენებულ ზიანს წარმოადგენს.

8. მოპასუხის შესაგებელი

8.1 მოპასუხე ბანკმა წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დავალიანება სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად დააკორექტირა, 3570 ლარიდან 3270 ლარი მსესხებლის ანგარიშზე დაბრუნდა და შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული სხვა ვალდებულება შემცირდა.

8.2 მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის ანგარიშზე თანხა 2012 წელს ჩაირიცხა, ხოლო ამ უკანასკნელმა სესხი 2013 წელს

აილო. ამასთან, თანხის შეცდომით გადამრიცხველი კომპანიის წერილი მიმართულია სს „თ. ბ-ის“ მიმართ დარიცხვის გაუქმების თაობაზე, შესაბამისად, მოპასუხეს (ბანკს) უფლება ჰქონდა, მოსარჩელის ანგარიშიდან თანხა ჩამოეჭრა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9.2 საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) სსკ-ის 326-ე, 408-ე, 412-ე, 861-ე, 867-ე და 992-ე მუხლებით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე და 105-ე მუხლებით და განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სადავო თანხა მესამე პირებს ეკუთვნოდათ და ამის შესახებ ბანკი ინფორმირებული იყო.

9.3 საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მოპასუხე ბანკმა ჩამოჭრილი თანხით ის ვალდებულია დაფარა, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ხანდაზმულად იქნა ცნობილი, მაგრამ სარჩელის განხილვის დროისათვის ვითარება გამოსწორებულია, კერძოდ, დავალიანება სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად დაკორექტირებულია და სადავო თანხა მეორე სესხის – N520465 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გადაირიცხა. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა მის ანგარიშზე ბანკის მიერ 2748 ლარის აღდგენის თაობაზე უკანონოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

10. სააპელაციო საჩივარი

10.1 მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

11.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.2 სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ აპელანტმა (მოსარჩელემ) იმ გარემოების დასამტკიცებლად, რომ 2012 წელს ამ უკანასკნელის

ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მესამე პირების შრომით ანაზღაურებას წარმოადგენდა ვერ დაადასტურა, აპელანტი მის და კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწერილ წერილებზე უთითებს.

11.3 სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში სხვა რაიმე სათანადო მტკიცებულება, რაც სადავო თანხაზე მესამე პირთა კუთვნილებას დაადასტურებდა (მაგალითად: თანხის ჩარიცხვის დანიშნულება, „მესამე პირთა“ პრეტენზიები ან/და მოწმის სახით მიცემული ჩვენებები, სახელფასო უწყისები, მოსარჩელის კავშირი აღნიშნულ პირებთან, შეცდომით ჩარიცხვის გამომწვევი მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებები) წარდგენილი არ არის. ამასთან, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე ბანკმა მოსარჩელის ანგარიშიდან სადავო თანხა ჩარიცხვიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩამოჭრა, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მარტოოდენ აპელანტისა (მოსარჩელისა) და კომპანიის წერილები არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად.

11.4 სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტის (მოსარჩელის) მიერ გამსესხებლისაგან აღებულ სესხს, მოპასუხე ბანკის მიერ სადავო თანხის ჩამოჭრასთან რაიმე კავშირი არ აქვს, ვინაიდან, არც სესხის ხელშეკრულებით და არც საქმეში წარდგენილი სხვა რაიმე მტკიცებულებით, აპელანტის მიერ ნასესხები თანხით „მესამე პირთა“ შრომითი ანაზღაურების გასტუმრების ფაქტობრივი გარემოება არ დასტურდება.

11.5 სააპელაციო სასამართლომ განმარტა, უდავოა, რომ მხარეებს შორის საბანკო კრედიტის ორი ხელშეკრულება იყო გაფორმებული. აპელანტმა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დაარღვია და, შესაბამისად, ბანკის მიმართ დავალიანება გააჩნდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში გადაწყვეტილებით (საქმე №2/7951-13), ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ 2008 წლის 23 ივლისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 522 ლარისა და პირგასამტეხლოს – 300 ლარის, ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო 2008 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 3441.87 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 1000 აშშ დოლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბანკმა სადავო თანხა №614434 სესხიდან გამომდინარე დავალიანების დასაფარად გამოიყენა, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ხანდაზმულად იქნა ცნობილი, თუმცა ბანკის მიერ აპელანტის დავალიანება დაკორექტირდა და სადავო თანხა მეორე სესხის – №520465 ხელშეკრულებით გათვა-

ლისწინებული ვალდებულების შესასრულებლად მიექცა.

11.6 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც, ჩვეულებრივ პირობებში, ბანკი არ არის უფლებამოსილი, ანგარიშის მფლობელის ნებართვის გარეშე ფულადი სახსრები ჩამოწეროს, მაგრამ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც კონკრეტული ანგარიში საბანკო კრედიტის დასაფარად გამოიყენება და მხარეები შეთანხმებული არიან, რომ საკრედიტო დაწესებულება ანგარიშზე არსებულ თანხას კრედიტის დასაფარად გამოიყენებს, საბანკო დაწესებულების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, ფულზე ბანკი საკუთრების უფლებას მოიპოვებს და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ბანკს აქვს ანგარიშზე არსებული თანხის საკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად მიმართვის უფლება.

11.7 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ბანკმა ჩამოჭრილი თანხა გამოიყენა იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ხანდაზმულად იქნა ცნობილი, თუმცა სარჩელის განხილვის დროისათვის ეს ვითარება გამოსწორებულია, კერძოდ, დავალიანება დაკორექტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად და სადავო თანხა მეორე სესხის – №520465 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გადაირიცხა, რასაც მოსარჩელეც არ ხდის სადავოდ.

11.8 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეს 2748 ლარის ბანკისათვის დაკისრების თაობაზე მართებულად უთხრა უარი.

12. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1 მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

12.2 კასატორის განმარტებით, ბანკმა ჯერ კიდევ 2013 წლის 24 ივნისს, სხვა სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსარჩელეს დავის პროცესში მყოფი სადავო დავალიანების (სესხი №614434) საბაზით, ანგარიშიდან 3570 ლარი თვითნებურად ჩამოაჭრა, რის თაობაზეც მოსარჩელემ 2018 წელს შეიტყო.

12.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბანკის მოთხოვნა №614434 სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე, მხოლოდ 822 ლარით დაკმაყოფილ-

და, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მიუხედავად ამ დადგენილი გარემოებებისა, მოსარჩელისათვის ბანკის წერილით ცნობილი გახდა, რომ ამ უკანასკნელმა 2018 წელს თანხა კასატორის ანგარიშზე აღადგინა, თუმცა კვლავ ახალი უკანონო დაუშვა, როდესაც სასამართლოს მიერ დადგენილი 822 ლარის ნაცვლად, ანგარიშიდან ისევ 3570 ლარი ჩამოაჭრა და №614434 სესხის პროცენტის დასაფარად მიმართა, რაც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია.

12.4 კასატორის განმარტებით, ბანკმა ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხით, ის სასესხო მოთხოვნა დაფარა, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხანდაზმულად იქნა ცნობილი და ბანკს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, შესაბამისად, ბანკმა 2018 წელს ანგარიშზე აღდგენილი თანხა სასამართლოს მიერ დაუკმაყოფილებელ 2008 წლის 20 სექტემბრის №827357 სასესხო მოთხოვნაზე უკანონოდ მიმართა.

12.5 კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მოსარჩელის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული მესამე პირის კუთვნილ თანხასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოება. კომპანიამ ოფიციალურად მიმართა ბანკს ამ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით. აღნიშნული მტკიცებულება საქმეშია წარდგენილი. კასატორის განმარტებით, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ბანკს ამ მტკიცებულების გაქარწყლება ევალებოდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ვლინდება. ასეთ შემთხვევაში კი, სასამართლოს ეკისრებოდა მხარეთა თანასწორობისა და დისპოზიციურობის პრინციპით ეხელმძღვანელა და ბანკის პოზიცია დაუსაბუთებლად მიეჩნია სათანადო მტკიცებულებების გარეშე.

12.6 კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 861-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით დაადგინა, რომ ბანკმა მოსარჩელის ანგარიშიდან თანხა თვითნებურად ჩამოჭრა და სხვა საკრედიტო ანგარიშზე გადარიცხა, თუმცა სასამართლომ შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ სამართლებრივი ნორმის გათვალისწინებლად მიიღო.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად ცნო და მიიღო არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მო-

სარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვს წარმოდგენილი.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

16. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამონმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

17. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა მის მიერ საკვლევ ძირითად გარემოებაზე, რაც იმის დადგენაში მდგომარეობს, თუ რა ქმედებები განახორციელა მოპასუხე ბანკმა კასატორის (მოსარჩელის) საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხის განკარგვით; მოსარჩელის საკრედიტო სახელშეკრულებო ვალდებუ-

ლებიდან გამომდინარე არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით ბანკის მიერ მოსარჩელის ანგარიშზე დარიცხული თანხის გადარიცხვით დავალიანების დასაფარად მიაღდა თუ არა ზიანი კასატორს.

18. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნისა (იხ. წინამდებარე განჩინების 7.1-7.4 ქვეპუნქტები) და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (იხ. წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტები) გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორმა წარმატებით ვერ დაძლია კუთვნილი მტკიცების ტვირთი ბანკის მიერ განხორციელებული ქმედებით მისთვის მიყენებული ზიანის დასამტკიცებლად.

19. სსკ-ის 861-ე მუხლის თანახმად, „საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში“. სწორედ ამ ნორმაზე უთითებს საკასაციო საჩივრის ავტორი, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ კასატორს (მოსარჩელეს) ორი საკრედიტო ხელშეკრულება აკავშირებს მოპასუხე ბანკთან. კასატორს, როგორც ბანკის მოვალეს, დარღვეული აქვს კრედიტორის წინაშე ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება (საქმე №2/7951-13), რომლითაც ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, 2008 წლის 23 ივლისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 522 ლარისა და პირგასამტეხ-

ლოს – 300 ლარის, ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო 2008 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – დავალიანების – 3441.87 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 1000 აშშ დოლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბანკმა სადავო თანხა №614434 სესხიდან გამომდინარე დავალიანების დასაფარად გამოიყენა, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ხანდაზმულად იქნა ცნობილი, თუმცა, ბანკმა დააკორექტირა მოვალის (კასატორის) დავალიანება და სადავო თანხა მეორე სესხის – №520465 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად მიმართა. იმ პირობებში, როდესაც კონკრეტული ანგარიში საბანკო კრედიტის დასაფარად გამოიყენება და მხარეები შეთანხმებული არიან, რომ საკრედიტო დაწესებულება ანგარიშზე არსებულ თანხას კრედიტის დასაფარად გამოიყენებს, საბანკო დაწესებულების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, ბანკი ფულზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ბანკს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული თანხა საკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად მიმართოს. დადგენილია, რომ ბანკმა მოვალის ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა გამოიყენა მოვალისავე ვალდებულების დასაფარად, რომელიც ამ უკანასკნელს კრედიტორის წინაშე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაეკისრა და, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვალის დავალიანების ნაწილი ხანდაზმულად იქნა ცნობილი, სარჩელის განხილვის დროისათვის ეს ვითარება გამოსწორდა იმით, რომ დავალიანება დაკორექტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად და სადავო თანხა მოვალის მეორე სესხის – №520465 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გადაირიცხა, რასაც მოვალეც (კასატორიც) არ ხდის სადავოდ.

20. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მის მიერ სხვა პირისაგან სესხის აღებას და ამის გამო პროცენტის (სარგებლის) გადახდას, საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას, რომ მოსარჩელის (ბანკის მოვალის) მიერ გამსესხებლისაგან აღებულ სესხს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტი), მოპასუხე ბანკის, როგორც კრედიტორის, მიერ მოვალის დავალიანების დასაფარად მისი ანგარიშიდან სადავო თანხის ჩამოჭრასთან არავითარი კავშირი არ აქვს, ვინაიდან, არც სესხის ხელშეკრულებით და არც საქმეში წარდგენილი სხვა მტკიცებულებით, მოვალის (კასატორის) მიერ ნასესხები თანხით „მესამე პირთა“ შრომითი ანაზღაურების გასტუმრების ფაქტობრივი გარემოება არ დას-

ტურდება. უფრო მეტიც, ეს ფაქტობრივი გარემოება გამოირიცხება, რადგან დადგენილია, რომ კრედიტორმა მოვალის (კასატორის) საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხა, ჩარიცხვიდან, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩამოჭრა. ამ მიმართებით კასატორის მითითება მის და კომპანიის წერილებზე არასაკმარის მტკიცებულებად არის მიჩნეული.

21. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებასზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

22. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

23. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუ-

თონ თავიანთი მოთხოვნები, უარყო ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

24. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდევე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვე-

ტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.).

25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (Ruiz Torija v. Spain, Application no. 18390/91; §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21;

ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

26. საკასაციო სასამართლოს შეფასებით საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი არ განაპირობებს მოსარჩელისათვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგის დადგომას, რაც საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება.

საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-407-407-2018

9 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: საკრედიტო დავალიანების გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „... ბანკსა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „კრედიტორი“ ან „ბანკი“) და ა. გ-ლს (შემდგომში – „მოპასუხე“, „მსესხებელი“, „მო-
ვალე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შორის 2014 წლის 22 ოქტომ-

ბერს გაფორმდა №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 6700 ლარის ოდენობით. ხელშეკრულება დაიდო შემდეგი პირობებით: წლიური საპროცენტო განაკვეთი – 14,5%; კრედიტის ვადა – 1467 დღე, 2018 წლის 28 ოქტომბრამდე; კრედიტის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ყოველი თვის 28 რიცხვში, ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად; ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის – 20 ლარი გრაფიკის ყოველი დარღვევისას, ამას დამატებული 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების დამატებით პირობად განისაზღვრა მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით, სესხის მიმდინარე ოდენობით ბანკის სასარგებლოდ ...-ში.

2. მხარეთა შორის 2015 წლის 12 თებერვალს დაიდო №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 3600 ლარის ოდენობით, შემდეგი პირობებით: წლიური საპროცენტო განაკვეთი – 14,5%; კრედიტის ვადა – 1454 დღე, 2019 წლის 05 თებერვლამდე; კრედიტის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ყოველი თვის 05 რიცხვში, ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად; ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის – 20 ლარი გრაფიკის ყოველი დარღვევისას, ასევე, ყოველდღიური პირგასამტეხლო დავალიანების 0,5%-ის ოდენობით. ხელშეკრულების დამატებით პირობად განისაზღვრა მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით, სესხის მიმდინარე ოდენობით ბანკის სასარგებლოდ ...-ში.

3. 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მსესხებლის დავალიანება, 2015 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, შეადგენს – 5 910,81 ლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა არის – 5 616,27 ლარი, პროცენტი – 180,76 ლარი, პირგასამტეხლო – 104,96 ლარი და დაზღვევა – 8,82 ლარი.

4. 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მსესხებლის დავალიანება, 2015 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, შეადგენს – 3 348,98 ლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა არის – 3 184,85 ლარი, პროცენტი – 92,4 ლარი, პირგასამტეხლო – 67,22 ლარი და დაზღვევა – 4,51 ლარი.

5. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის: 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 5 910,81 ლარის გადახდის დაკისრება, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა არის – 5 616,27 ლარი, პროცენტი – 180,76 ლარი, პირგასამტეხლო – 104,96

ლარი და დაზღვევა – 8,82 ლარი; 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 5 616,27 ლარზე წლიური 14,5% (ყოველთვიურად 67,86 ლარი) სარგებლის გადახდის დაკისრება, დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თარიღიდან, 2015 წლის 17 ნოემბრიდან აღსრულებამდე; 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 3 348,98 ლარის გადახდის დაკისრება, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა არის – 3 184,85 ლარი, პროცენტი – 92,4 ლარი, პირგასამტეხლო – 67,22 ლარი და დაზღვევა – 4,51 ლარი; 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 3 184,85 ლარზე წლიური 14,5% (ყოველთვიურად 38,48 ლარი) სარგებლის გადახდის დაკისრება, დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თარიღიდან, 2015 წლის 17 ნოემბრიდან აღსრულებამდე.

6. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს/მსესხებელს 2015 წლის სექტემბრის შემდეგ აღარ შეუსრულებია 22.10.2014წ. და 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, რის გამოც მას ბანკის მიმართ ერიცხება დავალიანება. გარდა ამისა, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო მოსარჩელემ დაკარგა ის სარგებელი, რომელიც უნდა მიეღო ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისა და მიღებული სარგებლის შემდგომი დაკრედიტების შემთხვევაში.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ, მართალია, მან არ განახორციელა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რამდენიმე გადახდა, თუმცა, ვინაიდან მოსარჩელეს ხელშეკრულებებზე უარი არ უთქვამს, იგი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს სესხის მთლიანი თანხა. მოპასუხემ ასევე მიუთითა პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობაზე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა: 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების: სესხის ძირითადი თანხის – 5 616,27 ლარის, პროცენტის – 180,76 ლარის, პირგასამტეხლოს – 104,96 ლარისა და დაზღვევის – 8,82 ლარის გადახდა; დავალიანების ძირითად თანხაზე – 5 616,27 ლარზე წლიური 14,5% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 67,86 ლარს, დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან, 2015 წლის 17 ნოემბრიდან აღსრულებამდე; 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების: სესხის ძირითადი თანხის – 3 184,85 ლარის, პრო-

ცენტის – 92,4 ლარის, პირგასამტეხლოს – 67,22 ლარისა და დაზღვევის – 4,51 ლარის გადახდა; დავალიანების ძირითად თანხაზე – 3 184,85 ლარზე წლიური 14,5% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 38,48 ლარს, დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან, 2015 წლის 17 ნოემბრიდან აღსრულებამდე.

9. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

12. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ფიქსირებული პირგასამტეხლო – 20 ლარი არ წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო კრედიტის თანხები შეადგენდა 6700 ლარსა და 3600 ლარს, ხოლო ზემოაღნიშნული პირგასამტეხლო გრაფიკის დარღვევისთვის გამოყენებული იყო სულ 9 ჯერ. ამასთან, საქმეში წარდგენილი გადახდების ისტორიების მიხედვით, ყოველი ვადაგადაცელებული დღისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს (0,5%) ჯამმა, ორივე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეადგინა 34,63 ლარი.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, ბანკის მიერ მსესხებლისთვის 2015 წლის 29 სექტემბერს გაგზავნილი წერილის თანახმად, ეს უკანასკნელი გაფრთხილებულ იქნა, რომ თუ 2015 წლის 28 სექტემბრამდე სრულად არ შეასრულებდა 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაზე სესხის გადაცემის შემდეგ, ბანკი მიმართავდა სასამართლოს სესხის მთლიანი თანხის, პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების მოთხოვნით. ბანკი, ასევე, მოითხოვდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული ქონების რეალიზაციას ან/და თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბანკის მიერ მსესხებლისთვის 2015 წლის 29 სექტემბერს გაგზავნილ წერილში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ვალდებულების შესრულების თარიღად მითითე-

ბულ იქნა წერილის გაგზავნამდე პერიოდი, რაც ზეგავლენას ვერ მოახდენდა ზემოაღნიშნული წერილის დანიშნულებაზე – გაფერთხილებინა მოვალე ვალდებულების შეუსრულებლობის უარყოფითი შედეგებზე, მიუხედავად იმისა, რომ თარიღში შეცდომის გამო დამატებითი ვადა კონკრეტულად განსაზღვრული არ იყო.

14. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით და აღნიშნა, რომ, მართალია, ბანკის მიერ მოვალე მხოლოდ ერთ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იყო გაფრთხილებული ვალდებულების შეუსრულებლობის უარყოფითი შედეგების თაობაზე, თუმცა, ბუნებრივია, რომ მოვალისთვის ცნობილი იყო ორივე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. ბანკმა სარჩელი აღძრა 2015 წლის 14 დეკემბერს. გადახდის ისტორიების მიხედვით, 2015 წლის სექტემბრიდან მოვალემ შეწყვიტა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომელიც არ შემცირებულა. სესხის ნაშთი 22.10.2014წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენს – 5 616,27 ლარს, ხოლო 12.02.2015წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 3 184,85 ლარს. ამდენად, აპელანტის მოსაზრება, რომ მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელო იყო, უსაფუძვლოა, ხოლო ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, სარჩელის აღძვრამდე მოვალისთვის დამატებითი ვადის კვლავ განსაზღვრა ან მისი გაფრთხილება საფუძველს მოკლებული, ვინაიდან საქმის მასალებიდან ცხადია, რომ კრედიტორის 29.09.2015წ. გაფრთხილების წერილს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. შესაბამისად, კრედიტორს შეეძლო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

15. სააპელაციო პალატის განმარტებით, აპელანტი მიუთითებს, რომ ბანკი არ იღებს მისგან შეთავაზებულ შესრულებას, თუმცა აღნიშნული გარემოება საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

17. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. მოპასუხეს დაეკისრა ორგვარი პირგასამტეხლოს გადახდა, რომლებიც ჯამში ქმნის წლიურ 294,5%-ს (20 ლარიანი პირგა-

სამტეხლო – წლიური 112% და ყოველდღიური პირგასამტეხლო – წლიური 182,5%). ამ ოდენობის პირგასამტეხლოს გამოყენება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი დაშვება იმ მოტივით, რომ რაოდენობრივად მცირე თანხაზეა საუბარი, ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპებს და იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გატარდა სამოქალაქო კოდექსში 2016 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შეტანით. აღნიშნული კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის ახალი რედაქცია მიუთითებს, რომ სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო, მსესხებლისთვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150%-ს;

17.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა 22.10.2014წ. და 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების ოდენობა. როგორც სარჩელზე დართული გადახდების ისტორიებიდან ირკვევა, ბანკმა მოპასუხის მიმართ ჯამში 9-ჯერ გამოიყენა 20-ლარიანი პირგასამტეხლო, ყოველდღიური პირგასამტეხლოს პარალელურად. აღნიშნული პირგასამტეხლო ბანკმა მოპასუხის ანგარიშიდან ჩამოჭრა უაქცეპტო წესით. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა არაგონივრულად მაღალი პირგასამტეხლო, სასამართლოს ის უნდა შეემცირებინა. მოპასუხეს საერთოდ არ უნდა დაეკისროს 20-ლარიანი პირგასამტეხლო, ხოლო ყოველდღიური პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს დღეში 0,07%-მდე. ბანკის მიერ მოპასუხის ანგარიშიდან ზედმეტად ჩამოჭრილი პირგასამტეხლოს თანხა კი უნდა ჩაითვალოს სესხის ძირითადი თანხის ანგარიშში;

17.3. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ 05.04.2017წ. მოსამზადებელ სხდომაზე წარდგენილი წერილი ეხება მხოლოდ 2014 წლის 22 ოქტომბრის ხელშეკრულებას. შესაბამისად, ცალსახაა, რომ 2015 წლის 12 თებერვლის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ბანკს არ მოუშლია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. რაც შეეხება 2014 წლის 22 ოქტომბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოშლას (წარდგენილი წერილის საფუძველზე), უკანონოა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ მას შემდეგ აძლევს ბანკს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, რაც ის მოვალეს განუსაზღვრავს ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით ვადას (თუ მოვალე არღვევს ვალდებულებას). მოცემულ შემთხვევაში ბანკმა წარადგინა 2014 წლის 29 სექტემბრით დათარიღებული გაფრთხილების წერილი, სადაც მო-

ვალეს დამატებით ვადა განუსაზღვრა 2014 წლის 28 სექტემბრამდე, ანუ გაფრთხილებამდე ერთი დღით ადრე პერიოდით, რაც ალოგიკურია. შესაბამისად, ბანკს მოპასუხისთვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადა არ განუსაზღვრავს;

17.4. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალის მიმართ არ იყო აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, ვინაიდან მას არავითარი შედეგი არ ექნებოდა. როგორც ზემოაღნიშნული გაფრთხილების წერილიდან ირკვევა, იმ დროისათვის მოპასუხეზე დარიცხული პირგასამტეხლო შეადგენდა ნულ ლარს, ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანება 210,09 ლარს. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკიდან ჩანს, რომ ამ თანხიდან 188,50 ლარი იყო 28 ოქტომბერს გადასახდელი თანხა, ანუ მიმდინარე დავალიანება. შესაბამისად, ბანკის მიერ გაფრთხილების წერილის შედგენისა და მოვალისთვის გაგზავნის მომენტისათვის ვადაგადაცილებული დავალიანება იყო მხოლოდ 21,59 ლარი, ანუ სახეზე იყო ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ასაბუთებს იმას, რომ ბანკის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა იყო უკანონო;

17.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებები იყო ძალაში და ბანკს არ ჰქონდა უფლება, მსესხებლის მხრიდან შესრულება არ მიეღო. მიუხედავად ამისა, ბანკი დღემდე არ იღებს შესრულებას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახეზეა კრედიტორის მხრიდან ვადის გადაცილების შემთხვევა, ხოლო იმავე კოდექსის 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბანკის მიერ პროცენტის მოთხოვნა უკანონოა;

17.6. გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმად პირგასამტეხლოს დღიური ოდენობა მერყეობს 0,01%-დან 0,1%-მდე.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის

საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

20. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს შეწყდა თუ არა მხარეთა შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები. კასატორი მიიჩნევს, რომ ბანკი არ იყო უფლებამოსილი შეენწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულებები, ვინაიდან მას მსესხებლისთვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადა არ განუსაზღვრავს. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, ასევე, მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის მართლზომიერება.

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლით, რომლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამლებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

22. დასახელებული სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს კრედიტორის ინტერესების დამცავ, აღმჭურველ ნორმას და საბანკო კრედიტის გამცემს ანიჭებს უფლებას, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობების დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა თავად უფლების არსიდან გამომდინარე, იგი არ შეიძლება გაიგივდეს ვალდებულებასთან და მისი გამოყენება მხოლოდ უფლების მქონე პირის ნებაზეა დამოკიდებული – კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა (იხ. სუსგ საქმე №ას-145-135-2015, 23 აპრილი, 2015 წელი). ანუ, მითითებული ნორმა ეხება საბანკო-საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტას კრედიტის არა მიმღების, არამედ გამცემის მიერ და ეს შესაძლებელია კანონიერი საფუძვლის არსებობისას. ასეთ საფუძვლად კი მიჩნეულია კრედიტის ამლების მხრიდან კრედიტის ნაწილის, სულ ცოტა, ორი ვადით გადახდის გადაცილება მაშინ, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება განსაზღვრულ ვადაში (იხ. სუსგ საქმე №ას-910-972-2014, 04 მარტი, 2015 წელი).

23. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კრედიტორის მიერ საკრედიტოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის უნდა არსებობდეს აღნიშნული სამართლებრივი ნორმის წინაპირობები.

24. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მსესხებელმა 2015 წლის სექტემბრიდან შეწყვიტა 22.10.2014წ. და 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული (გრაფიკით განსაზღვრული) თანხის გადახდა. ბანკმა სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2015 წლის 14 დეკემბერს, შესაბამისად, ვინაიდან სარჩელზე დართული სესხის გადახდის გრაფიკების მიხედვით, მსესხებელი ვალდებული იყო კრედიტი ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად დაეფარა, სარჩელის აღძვრის დროისათვის მსესხებელს გადახდის სამი ვადა ჰქონდა დარღვეული. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მსესხებელმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, გადახდის ორ ვადას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 873-ე მუხლიდან გამომდინარე, ბანკს წარმოეშვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების შეწყვეტის უფლებამოსილება. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების 3.3.8. პუნქტის თანახმად, ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას ან/და ბანკი ჩათვლის, რომ შესაძლოა კლიენტმა ვერ უზრუნველყოს რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შესრულება.

25. როგორც ზემოთ აღნიშნა, კასატორი დავობს, რომ ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე, ბანკი არ იყო უფლებამოსილი შეეწყვიტა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს ბანკის მიერ მსესხებლისთვის გაგზავნილ 29.09.2015წ. გაფრთხილების წერილზე, რომლითაც მსესხებელს ეცნობა 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის, ვადაგადაცილებული დავალიანების ოდენობისა და დავალიანების გადაუხდელობის შედეგების შესახებ. მსესხებელი, ასევე, გაფრთხილებულ იქნა, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი მიმართავდა სასამართლოს სესხის მთლიანი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების მოთხოვნით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული წერილი ადრესატს ჩაბარდა. ამდენად, პრეზუმირებულია, რომ მოვალემ, რომელმაც გადააცილა სესხის გადახდას, იცოდა, რომ სწორედ სახელშეკრულებო პირობის 3.3.8. პუნქტით შეთანხმებულ პირობას გამოიყენებდა მოსარჩელე და მისთვის ეს საკვებით ცხადი და მოსალოდნელი იყო.

26. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი კეთილსინდისიერების პრინციპის განუხრელ დაცვას განამტკიცებს. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. დასახელებული ნორმის მონესრიგება თანაბრად მიემართება როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს. შესაბამისად, იმ დაშვებითაც, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებით ორ კვირიანი ვადა არ განუსაზღვრავს, რაც 12.02.2015წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნამდვილად არ განუხორციელებია, ეს სარჩელს უსაფუძვლოდ არ აქცევს და მის დაკმაყოფილებაზე უარს ვერ განპირობებს.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის წარდგენით კრედიტორმა/ბანკმა საკრედიტო ხელშეკრულებების შეწყვეტის ნება გამოავლინა, რომელიც ძალაში სწორედ სარჩელის წარდგენის დროს (14.12.2015წ.) შევიდა (სსკ-ის 873-ე მუხლი). სარჩელის შეტანით არ მომხდარა გაფრთხილება ან/და დამატებითი ვადის დაწესება (ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა იხ., მაგ., სუსგ საქმე №ას-969-2018, 10 აპრილი, 2020 წელი).

28. თუმცა, სარჩელის აღძვრის შემდეგ მოვალეს საკმარისი დრო ჰქონდა, შეესრულებინა ვადამოსული ვალდებულება (თუნდაც დაგვიანებით), რაც კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის ნების გამოვლენას საფუძველს გამოაცლიდა. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია.

29. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოვალის გაფრთხილებას ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ ჰქონდა, თუმცა არ დასტურდება არც ის გარემოება, რომ მოვალემ შესრულება სცადა და კრედიტორმა ის არ მიიღო. ასეთ ვითარებაში მოვალეს შეეძლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, თანხის ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება.

30. შესაბამისად, ვინაიდან 2015 წლის სექტემბრიდან სარჩელის აღძვრამდე თითქმის სამი თვის განმავლობაში და არც სარჩელის აღძვრის შემდგომ, ვალდებულების შესრულება არ მომხდარა, დაუსაბუთებელია სარჩელის აღძვრის შემდგომ კრედიტორისათვის ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობის შეზღუდვა.

31. კასატორი, აგრეთვე, დავობს, რომ მისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას და ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხ-

ლის მე-5 ნაწილის დანაწესს (2016 წლის 29 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად).

32. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. იმავე კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს შემცირების ლეგიტიმურ მიზანს სახელშეკრულებო ურთიერთობაში სუსტი მხარის დაცვა და მოვალის ხარჯზე კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილება წარმოადგენს. ამასთან, პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიც არის – ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-1511-2018, 26 მარტი, 2019 წელი).

33. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა: 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 104,96 ლარის, ხოლო 12.02.2015წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 67,22 ლარის გადახდა. როგორც საქმეში არებული გადახდების ისტორიებიდან ირკვევა, პირგასამტეხლო, ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დარიცხულია მხოლოდ 2015 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით. აღნიშნულის შემდგომ ბანკს მსესხებლისთვის პირგასამტეხლო აღარ დაურიცხავს. აქედან გამომდინარე, ასევე, ძირითადი დავალიანების მოცულობისა და ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს გონივრულ ოდენობას და არ არსებობს მისი შემცირების საფუძველი.

34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესთან დაკავშირებით (2016 წლის 29 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად), საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს რომ მხარეთა შორის საკრედიტო ხელშეკრულებები გაფორმებულია 2014 წლის 22 ოქტომბერსა და 2015 წლის 12 თებერვალს, ხოლო კასატორის მიერ მითითებული დანაწესი სა-

მოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში ამოქმედდა 2016 წლის 29 დეკემბერს შესული ცვლილების შედეგად. დასახელებული სამართლებრივი ნორმის თანახმად, მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 22.10.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებიდან სესხის ძირითადი თანხა შეადგენს – 5 616,27 ლარს, ხოლო 12.02.2015წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 3184,85 ლარს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკის მიერ მსესხებლისათვის დარიცხული და მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს მხოლოდ 104,96 ლარსა და 67,22 ლარს, შესაბამისად, არ აღემატება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150%-ს. ამდენად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა შესაბამისობაშია სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესთან.

35. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკისაგან, თუმცა იგი არ მიუთითებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე/განჩინებებზე, მისი პრეტენზია არის ზოგადი და არაკვალიფიციური, რაც შეუძლებელს ხდის საკასაციო სასამართლოს მიერ მასზე მსჯელობას.

36. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

38. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

**საგანკო გარანტიით გაცემული შესრულების უკან
დაბრუნების შეუძლებლობა**

**გადანყვითლება
საქართველოს სახელით**

№ას-1681-2018

1 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „მ-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-
რე, მენარდე, პრინციპალი ან კომპანია) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში – მო-
პასუხე, აპელანტი, კასატორი, შემკვეთი, ბენეფიციარი ან სამი-
ნისტრო) მიმართ, უსაფუძვლოდ მიღებული 40 659 ლარისა და გა-
დანყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად ამ თანხის 1%-
ის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2013
წლის 16 აგვისტოსა და 6 სექტემბერს მხარეთა შორის დაიდო სა-

ხელმწიფო შესყიდვების შესახებ №490 და №550 ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მიწოდების ვადის გადაცილების მიზეზით, სამინისტრომ კომპანიას ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შესახებ №490-1 და №550-1 აქტების საფუძველზე დააკისრა პირგასამტეხლო, რომელთა გადახდაზეც მენარდემ უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, მიწოდების ვადის გადაცილება თავდაპირველად განპირობებული იყო თვითონ შემკვეთის ბრალეული ქმედებით, ხოლო შემდგომ – ფორსმაჟორით. სამინისტრომ სარჩელით მიმართა სასამართლოს კომპანიის მიმართ, 2013 წლის 16 აგვისტოს №490 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 76 046.10 ლარისა და 2013 წლის 6 სექტემბრის №550 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 74 060 ლარის დაკისრების მოთხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მენარდეს, შემკვეთის სასარგებლოდ, 2013 წლის 16 აგვისტოსა და 6 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა მხოლოდ 5 000 ლარის გადახდა. შემკვეთის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სს „ს-მა“ (შემდგომში – გარანტი) მენარდესა და გარანტს შორის 2013 წლის 9 აგვისტოსა და 5 სექტემბერს დადებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების საფუძველზე, მოსარჩელეს ჩაურიცხა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა – ჯამში 40 659 ლარი. აღნიშნული თანხა, გარანტმა 2014 წლის 6 თებერვალს, უაქცეპტოდ აინაზღაურა მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან. მენარდემ აღასრულა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გადაიხდა დაკისრებული პირგასამტეხლო 5 000 ლარი, ხოლო შემკვეთმა მოსარჩელეს არ დაუბრუნა მისი საბანკო ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრილი საგარანტიო თანხები, რითაც მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა 40 659 ლარით, ხოლო, მოსარჩელეს მიაღგა ზიანი იმ პირობებში, როდესაც მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევის მოცულობა 5 000 ლარით განისაზღვრა. გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის ჩარიცხვის შემდეგ, საგარანტიო თანხები ჩამოიჭრა კომპანიის ანგარიშიდან და დაიფარა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების შესაბამისად. გარდა მითითებული საგარანტიო თანხებისა, ქვეყანაში არსებული საბანკო საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინებით, კომპანიისათვის მიყენებულ ზიანს, ასევე, წარმოადგენს დასაბრუნებელი თანხის წლიური 12% მოპასუ-

ხისათვის თანხის მიღების დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებაამდე.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ პირგასამტეხლო 5 000 ლარის ოდენობით მოსარჩელემ გადაიხადა ვადის დარღვევის გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ, პირგასამტეხლოს თანხის დაანგარიშებისას, მხედველობაში მიიღო სამინისტროს ბრალეული ქმედება და შემდგომ არსებული ფორსმაჟორული გარემოება, კერძოდ, სასამართლომ ვადაგადაცილებულ დღეებს გამოაკლო სამინისტროს ბრალეულობით გამოწვეული ვადაგადაცილების დღეები, ხოლო მენარდის მხრიდან დარჩენილ დღეებზე ვადის გადაცილება დადგენილად მიიჩნია და შესაბამისად, პირგასამტეხლოც დააკისრა. გადაწყვეტილებით კომპანიის არაბრალეულობა არ დადგენილა, არამედ, მან დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც გარანტმა დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა. ამდენად, სამინისტრომ სადავო შესრულება სამართლებრივი საფუძვლით მიიღო, რაც გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრებას. ბენეფიციარის მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები შეესებათმობდა გარანტიის პირობებს და გარანტიის წარდგენა მოხდა გარანტიით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც გარანტს არ ჰქონდა უარის თქმის უფლება ბენეფიციარის მოთხოვნაზე. გარდა ამისა, მოთხოვნილი თანხის 1%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში სარჩელი ასევე უსაფუძვლოა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა 40 659 ლარის გადახდა, 2014 წლის 6 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 40 659 ლარის 1%-ის დაკისრების ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბენეფიციარმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო საჩივრის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, ვალდებულების დარღვევის გამო ბენეფიციარისათვის გარანტიის მიერ გადახდილი თანხის პრინციპალისათვის დაბრუნების წინაპირობების არსებობა (ამ თანხის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის – მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სამართლომ უარყო სარჩელი, სსკ-ის 264-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, შესაბამისად, მასზე საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს). ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნით, კასატორს მოსარჩელის წინაშე წარმოეშვა კონდიქციური ვალდებულება, რამდენადაც საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის მიღებით ის გამდიდრდა უსაფუძვლოდ. კასატორი არ ეთანხმება ხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ შესრულება სამართლებრივი საფუძვლით განხორციელდა და არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების წესების გამოყენების წინაპირობა, შესაბამისად, მხარე საკასაციო პრეტენზიას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს უკავშირებს.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მი-

მართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2013 წლის 16 აგვისტოს სამინისტროსა და კომპანიას შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №490 ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, მიენოდებინა მოპასუხისათვის, ამავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონელი (საველე ფორმა კეპითა და პანამით) 2013 წლის 1 ნოემბრამდე. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 974 950 ლარით, საქონლის მიწოდების ადგილად გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაბა ვ-ი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2013 წლის 31 დეკემბერი. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მენარდემ შემკვეთს წარუდგინა 19 499 ლარის საბანკო გარანტია. 2013 წლის 9 აგვისტოს, ბანკს და პრინციპალს შორის დაიდო საგანარანტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გარანტმა იკისრა ვალდებულება, პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეხადა ჯამური თანხა 19 499 ლარი. გარანტიის მაქსიმალური მოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 31 იანვარი. საგანარანტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ იქნა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლითაც გარანტმა პრინციპალის თხოვნით წერილობით იკისრა ვალდებულება, რომ პრინციპალის მიერ წარდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს გადაუხდიდა საერთო ფულად თანხას არა უმეტეს 19 499 ლარს, ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

1.2.2. 2013 წლის 6 სექტემბერს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №550 ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, მიენოდებინა მოპასუხისათვის ამავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონელი (ქურთუკი, მათბუნებელი, შარვალი სა-

ქარე, საწვომარი ლაბადა) 2013 წლის 1 ნოემბრამდე. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 1 058 000 ლარით, საქონლის მიწოდების ადგილად – გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაბა ვ-ი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2013 წლის 31 დეკემბერი. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოსარჩელემ შემკვეთს წარუდგინა საბანკო გარანტია. 2013 წლის 5 სექტემბერს, გარანტსა და პრინციპალს შორის დაიდო საგარანტიო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გარანტმა იკისრა ვალდებულება, პრინციპალის მიერ სამინისტროს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარისათვის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გადაუხადოს ჯამური თანხა 21 160 ლარი. გარანტიის მაქსიმალური მოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 31 იანვარი. საგარანტიო ხელშეკრულების საფუძველზე გარანტმა ბენეფიციარის სახელზე გასცა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია და წერილობით იკისრა ვალდებულება, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტროსათვის გადაეხადა თანხა არაუმეტეს 21 160 ლარისა, ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

1.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების 16.1 პუნქტებით განისაზღვრა, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში (მათ შორის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საქონლის მიწოდებლობისათვის) მას წინასწარი შეტყობინების გარეშე დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავე ხელშეკრულებების 16.5 პუნქტების თანახმად, მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას შემკვეთი უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

1.2.4. 2014 წლის 9 აგვისტოსა და 5 სექტემბრის საბანკო გარანტიების თანახმად, თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნას სათანადოდ ხელმოწერილი, ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი. ამავე სა-

ბანკო გარანტიის მიხედვით, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარდგენილი უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე;

1.2.5. მენარდემ დაარღვია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობები. კერძოდ: საქონლის მიწოდების ვადა, რომელიც უნდა ყოფილიყო 2013 წლის 1 ნოემბერი, ფაქტობრივად მიწოდება განხორციელდა №490 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 2013 წლის 20 დეკემბერს, ხოლო, №550 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 2013 წლის 16 დეკემბერს. პირველ შემთხვევაში ვადაგადაცილებამ შეადგინა 49 დღე, ხოლო, მეორე შემთხვევაში – 45 დღე. №490 ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს 2014 წლის 29 იანვრის №490-1 აქტის საფუძველზე შემკვეთმა დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელმაც შეადგინა 95 545 ლარი. ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ბენეფიციარმა ბანკს მოსთხოვა საბანკო გარანტიის თანხის გადარიცხვა. 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდზე ჩარიცხა საგარანტიო თანხა 19 499 ლარი;

1.2.6. 2013 წლის 5 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის №550 ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოპასუხემ, 2014 წლის 5 თებერვლის №550-1 აქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მენარდეს დააკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელმაც შეადგინა 95 545 ლარი. 2014 წლის 6 თებერვალს გარანტმა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, №550 ხელშეკრულების დარღვევის საგარანტიოდ, 2013 წლის 5 სექტემბრის საბანკო გარანტიის საფუძველზე სამინისტროს საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდზე ჩარიცხა საგარანტიო თანხა 21 160 ლარი;

1.2.7. შემკვეთის მიერ შედგენილი №490-1 და №550-1 აქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებაზე მენარდემ განაცხადა უარი იმ მოტივით, რომ ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, მიწოდების ვადის გადაცილება თავდაპირველად თვითონ შემსყიდველის ბრალეული ქმედებით იყო განპირობებული, ხოლო შემდგომ – ფორსმაჟორით. სამინისტროს სარჩელის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მენარდეს მის სასარგებლოდ

დაეკისრა შემცირებული პირგასამტეხლოს – 5 000 ლარის გადახდა, ხსენებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მენარდის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, უმეტესწილად, განპირობებული იყო შემკვეთის ბრალით, თუმცა, არც მენარდის ბრალეულობა არ გამოირიცხა (დადგინდა მხარეთა შერეული ბრალი, რაშიც სამინისტროს ბრალი უპირატესი იყო). აღნიშნული გადაწყვეტილება აღასრულა მენარდემ;

1.2.8. საგარანტიო თანხა, ჯამურად 40 659 ლარი, გარანტიის მიერ უაქცეპტოდ იქნა ანაზღაურებული მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ არ არსებობდა საბანკო გარანტიის საფუძველზე გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის ვალდებულების დარღვევის გამო ანაზღაურებული თანხის კონდიციის წესებით დაკისრების წინაპირობები. ამ მხრივ კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული (სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა) დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

1.3.2. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სარჩელის ფაქტულაზე: მოსარჩელეს სურს, დაიბრუნოს ხელშეკრულების დარღვევის მოტივით მოპასუხისათვის საბანკო გარანტიის გზით გადაცემული შესრულება, ამასთან, მიიჩნევს, რომ სახეზეა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები. მხარე მიიჩნევს, რომ სადავო შესრულებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის წარმატებულობის განსაზღვრისათვის სასამართლომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა მოიძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აღნიშნული საკითხის კვლევა კი, ხორციელდება შემდეგი სახით: უპირველესად, მოწმდება მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსი იცნობს სახელშეკრულებო, არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ან სპეციალური კანონით გათვალისწინებულ ვალდებულების წარმოშობის წინაპირობებს (სკ-ის 317.1 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურიდან გამომდინარე, მოთხოვნის საფუძვლებიც შესაბამისადაა კოდიფიცირებული. დამფუძნებელი ნორმის მოძიებისას სასამართლო მოთხოვნის წინაპირობებს (მითითების ფარგლებში სარჩელში გადმოცემულ ფაქტობრივ მოცემულობას) ამოწმებს შესაბამისი თანმიმდევრობით.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეები იმ-ყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, კერძოდ, მათ შორის გაფორმებულ იქნა ორი დამოუკიდებელი ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა შესაბამისად, ვალდებულების დარღვევა უზრუნველყოფილ იქნა, როგორც პირგასამტეხლოთი (სკ-ის 417-ე-420-ე მუხლები), ისე – საბანკო გარანტიით (სკ-ის 879-ე-890-ე მუხლები). პრეიუდიციული ძალის (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) მატარებელი ფაქტობრივი გარემოებაა ისიც, რომ ნარდობის ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, მხარეთა შერეული ბრალიდან გამომდინარე, სამინისტრომ პირგასამტეხლოდან გამომდინარე მოთხოვნა სასამართლო წესით დაიკმაყოფილა, რაც შეეხება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე შესრულებას, შეთანხმებული თანხა მას აუნაზღაურა გარანტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლით. მოცემულ შემთხვევაში, სამინისტროს დელიქტურ ქმედებაზე არც მოსარჩელე მიუთითებს და არც საქმის მასალებითაა ამგვარი გარემოება დადგენილი, ამასთანავე, შედავებული არ არის თავად საბანკო გარანტიის ნამდვილობა. ამდენად, ის ფაქტი, რომ მოთხოვნილი თანხა კასატორს ხელშეკრულების ფარგლებში გადაეცა, თავისთავად გამორიცხავს კონდიქციიდან გამომდინარე ნორმათა გამოყენების შესაძლებლობას (ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, სახეზე იყო შესრულების კონდიქცია – სკ-ის 976-ე მუხლი, თუმცა, როგორც ხსენებული ნორმის, ისე – ზოგადად, უსაფუძვლო გამდიდრების სხვა ნორმათა გამოყენებისათვის ქონებრივ გადანაცვლებას არ უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი, შესრულება არანამდვილი ნების საფუძველზე უნდა იყოს განხორციელებული, რასაც შედეგად ერთი პირის ქონებრივი დანაკლისი, ხოლო, მეორე პირის უსაფუძვლო გამდიდრება უნდა მოჰყვეს), რამდენადაც თანხის გადაცემას გააჩნდა სახელშეკრულებო საფუძველი. საკასაციო პალატის დასკვნით, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა სახელშეკრულებო სამართლაში, კერძოდ კი, საბანკო გარანტიის მარეგულირებელ ნორმებში უნდა იქნას მოძიებული.

1.3.4. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი განსაზღვრავს საბანკო გარანტიის ელემენტებს და ადგენს, რომ საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის ხსე-

ნებული საშუალება გარკვეულწილად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული იმგვარი გარიგებაა, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მისი კრედიტორის ინტერესებს. სამოქალაქო ბრუნვაში საკმაოდ მყარად დამკვიდრებული ხსენებული ინსტიტუტის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი მისი, როგორც სახელმეკრულებო ურთიერთობის დამოუკიდებლობაა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულებისაგან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. გარანტიის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს ბენეფიციარის მოთხოვნის შესრულების წესი, კერძოდ, ამავე კოდექსის 887-ე მუხლი ანაზღაურების წინაპირობას ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების გარანტიის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის შემოწმებასა და მოთხოვნის განსაზღვრულ ვადაში წარდგენის ფაქტს უკავშირებს (I), უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეწყდა შესრულებით, სხვა საფუძველით ან თუნდაც ბათილია, ბენეფიციარის მხრიდან განმეორებითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, გარანტს ნაკისრი ვალდებულების უპირობოდ შესრულება ევალება (II).

1.3.5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საბანკო გარანტიის ინსტიტუტის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ შეიცავს ბენეფიციარისათვის გარანტიის საფუძველზე გადაცემული შესრულების გამოთხოვის შესაძლებლობას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ ვალდებულება დაირღვა, რომელიც უზრუნვეყოფილი იყო ორი დამოუკიდებელი საშუალებით (პირგასამტეხლო და საბანკო გარანტია) და არცერთი მათგანის ნამდვილობა სადავო არაა, ამდენად, იურიდიულად გაუმართლებელია პრინციპალის მოთხოვნა ბენეფიციარის მიმართ, დააბრუნოს საბანკო გარანტიის საფუძველზე მიღებული შესრულება.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია მატერიალური სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევით, კერძოდ, სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამ დარ-

ღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, ამავდროულად კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), თავად იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე: ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, პალატა მიიჩნევს რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც კი გაუმართლებელია და სრულად უარყოფს მას.

2. პროცესის ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასატორი სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებულია, პროცესის სხვა ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა კი, მას არ წარუდგენია, შესაბამისად, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის დებულებებით არ ხელმძღვანელობს, ამასთანავე, წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად იქნა უარყოფილი სარჩელი, ხოლო, ამავდროულად კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადასახდელ იმ ბაჟს (40 659X9%), რომლის გადახდისაგან გათავისუფლებულია მოპასუხე, აკისრებს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

2.1. შპს „მ-ას“ სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 40 659 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

3. შპს „მ-ას“ (ს/კ №2-...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ.თბილისი,

„სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) სასარგებლოდ დაეკისროს 3 659,31 ლარის გადახდა

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გარანტიის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-257-2022

27 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე**

დავის საგანი: საბანკო გარანტიის თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე-მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ა(ა)იპ ბაგა-ბალების მიმართ და მოითხოვა განეული მომსახურების ღირებულების, პირგასამტეხლოს და საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურება. ა(ა)იპ ბაგა-ბალებმა შეიტანეს შეგებებული სარჩელები და მოითხოვეს ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით: შპს „ე-ის“ სასარგებლოდ ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღს“ დაეკისრა განეული მომსახურების ღირებულების – 8405.95 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის – 1751 ლარის და პირგასამტეხლოს – 588 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღს“ – განეული მომსახურების ღირებულების – 21615.30 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის – 3372 ლარის და პირგასამტეხლოს – 1680 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღს“ – განეული მომსახურების ღირებულების – 27072.05 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის – 4539 ლარის და პირგასამტეხლოს – 2079 ლარის გადახ-

და; ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბაღს“ – განეული მომსახურების ღირებულების – 23 969.55 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის – 3840 ლარის და პირგასამტეხლოს – 2070 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბაღს“ – განეული მომსახურების ღირებულების 15129.25 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის – 2443 ლარის და პირგასამტეხლოს – 1200 ლარის გადახდა. ამავე გადანყვებით, შეგებებული სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „ქ. თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 57.42 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „ქ. თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ – პირგასამტეხლოს – 110.56 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „ქ. თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ – პირგასამტეხლოს – 148.84 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „ქ. თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ – პირგასამტეხლოს – 125.93 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „ქ. თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ – პირგასამტეხლოს – 80.10 ლარის გადახდა; შეგებებული სარჩელები ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხების შპს „ე-ისთვის“ დაკისრების მოთხოვნათა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. 2017 წლის 17 აგვისტოს, ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურის GEO170000502 საფუძველზე, 2017 წლის 14 სექტემბერს შპს „ე-ს“ და მოპასუხე ა(ა)იპ ბაგა-ბაღებს შორის დაიდო ხელშეკრულებები. ხელშეკრულების საგანი იყო სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვების კვება და კვებითი მომსახურება ხელშეკრულების პირობებისა და თანდართული კვების მენიუს მიხედვით;

3.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოქმნილი რისკის თავიდან ასაცილებლად, გამოყენებული იყო უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის. ხელშეკრულების 9.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ყოველთვიურად ფაქტიურად განეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.3. 2017 წლის 14 სექტემბერს, ერთი მხრივ, შპს „ე-ს“ და მეორე მხრივ: ა(ა)იპ „ქ. თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღს“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღს“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღს“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის №181 საბავშვო ბაგა-

ბალს“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის №62-ე საბავშვო ბაგა-ბალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების დანართი №1-ის (შესასყიდი პროდუქტების აღწერილობა) თანახმად, შპს „ე-ის“ მიერ შემსყიდველთათვის მისაწოდებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჩამონათვლიდან ყველის ტექნიკური მახასიათებლები თითოეულ შემთხვევაში განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: – თითოეული მონოდებული პარტია უნდა იყოს დამზადებული პასტერიზებული რძისგან, ნაკლებად მარილიანი, ქარხნული წარმოების, ნათხის რბილი ყველი, არაღამახასიათებელი სუნის და გემოს გარეშე;

3.4. 2017 წლის 14 სექტემბერს, მოსარჩელე ბაგა-ბალებს და შპს „ე-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სს „ბ. ბ-ის“ საბანკო გარანტიები გაიცა, რომლის თანახმადაც, პრინციპალი იყო შპს „ე-ი“, ხოლო ბენეფიციარები – ბაგა-ბალები;

3.5. ბაგა-ბალებმა უარი განაცხადეს შპს „ე-თან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2017 წლის დეკემბრის თვის შედარების აქტის შედგენაზე, მიწოდებული პროდუქციის ხელშეკრულებით მოთხოვნილ სავალდებულო პარამეტრებთან შეუსაბამობის გამო. საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ე-ის“ მიერ ბაგა-ბალებისთვის მიწოდებული პროდუქტი – ყველი ნაცვლად პასტერიზებული რძისა, დამზადებული იყო აღდგენილი რძისგან. ასევე დადგენილია, რომ კასატორებმა მიიღეს ზემოაღნიშნული პროდუქტია – გააფორმეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეაფასა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საკითხი და მიიჩნია, რომ იმგვარ შეუსრულებლობას, რაც შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გამორიცხავდა, მოსარჩელის მიერ ადგილი არ ჰქონია. ამ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა საბანკო გარანტიის თანხების გაცემის სამართლებრივი საფუძველი და ისინი უსაფუძვლოდ იქნა გადახდილი ყოველ მოპასუხესთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე საბანკო გარანტიის ბენეფიციარების – მოპასუხეების ხელში უსაფუძვლოდ აღმოჩნდა საბანკო გარანტიის გამოთხოვის შედეგად მიღებული თანხები.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება ბაგა-ბალებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოითხოვეს შპს „ე-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მათი შეგებებული სარჩელების სრულად დაკმაყოფილება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინებით ბაგა-ბალების სააპე-

ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ, მიიჩნია, რომ სახეზეა შპს „ე-ის“ მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, კერძოდ შპს „ე-მა“ ბაგა-ბალებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პასტერიზებული რძისგან დამზადებული ყველის მაგივრად, აღდგენილი რძისგან დამზადებული ყველი მიაწოდა.

8. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესრულების გარანტიის (საბანკო გარანტიის ერთ-ერთი სახე) მთავარ მიზანს შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის კომპენსირება წარმოადგენს. მსგავსი გარანტია დამკვეთის მხრიდან საკონტრაქტო ფასის შესაბამისი სრული მომსახურების მიღებას და იმ დანაკარგის კომპენსაციას ემსახურება, რაც შეიძლება კონტრაქტის არასათანადო შესრულებით წარმოიშვას. ამასთან, საბანკო გარანტია ფარავს იმ რისკს, რაც მიწოდებულ პროდუქციაში დეფექტების აღმოჩენასთან არის დაკავშირებული. ამდენად, შესრულების საბანკო გარანტია არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, ვალდებულების შესრულების ჩანაცვლების მაკომპენსირებელი საშუალებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბაგა-ბალებისთვის მოსარჩელის მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტის არარსებობის პირობებში, სახეზეა ბაგა-ბალების მიერ უსაფუძვლოდ გახმობილი საბანკო გარანტიების თანხების შპს „ე-ისთვის“ ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინება მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს და მოითხოვეს ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „ე-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მათი შეგებებული სარჩელების სრულად დაკმაყოფილება.

10. კასატორების მტკიცებით, იმ პირობებში, როდესაც შეთანხმებით გათვალისწინებული ხარისხის ყველი არ მიუღიათ, არც საფასურის გადახდის ვალდებულება გააჩნიათ, რაც, თავის მხრივ, მათთვის ზიანის მიყენებას განაპირობებს. კასატორების განმარტებით, დაუსაბუთებელია მსჯელობა, რომ ნაკლიანი შესრულების მიღება, მხარეთა შორის ახალი გარიგების დადებას გულისხმობს. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარებების აქტების გაფორმების მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარე არ თავისუფლდება ნაკლიანი შესრულების პასუხისმგებლობისაგან მომსახურებისას შეთანხმებული ხარისხის ყველის მიუწოდებლობისთვის.

11. კასატორები განმარტავენ, რომ შპს „ე-ი“ მათ აწვდიდა პროდუქციას მზა სახით, იმგვარად, რომ მათ უშუალოდ პროდუქტთან შეხება არ ჰქონიათ. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და იმ პირობებში, როდესაც დადგენილია მიმწოდებლის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული იყო ბაგა-ბალების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების გამოთხოვა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბალისა“ და ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბალის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმომადგენლობით დასაშვებობის შესამოწმებლად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 აპრილის განჩინებით მოპასუხეების საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმომადგენლობით დასაშვებობის შესამოწმებლად.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინებით ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბალის“, ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბალისა“ და ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბალის“ საკასაციო საჩივარი მიწოდებული საქონლის ღირებულების, პირგასამტეხლოს და ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინება საქონლის ღირებულების, პირგასამტეხლოს და ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა არსებითად განსახილველად მხოლოდ ნაწილობრივ – საბანკო გარანტიის თანხების დაკისრების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ბაგა-

ბალების საკასაციო საჩივარი, არსებითად განსახილველად დაშვებულ ნაწილში, უნდა დაკმაყოფილდეს.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების პირობებში, ბენეფიციარების მხრიდან საბანკო გარანტიის თანხების გამოთხოვის კანონიერება წარმოადგენს.

18. სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასების საფუძვლიანობის შემოწმებისას, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კოდექსის 881-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

19. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები ადგენს საბანკო გარანტიის ლეგალურ დეფინიციას და განსაზღვრავს საბანკო გარანტიის სამართლებრივ კონსტრუქციაში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობებს.

20. სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასების საფუძვლიანობის შემოწმებისას, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლზე, რომლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ოქტომბრის №ას-1048-2021 განჩინება).

21. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „ე-მა“ ბაგა-ბალებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პასტერიზებული რძისგან დამზადებული ყველის მაგივრად, აღდგენილი რძისგან დამზადებული ყველი მიაწოდა, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.

22. ბაგა-ბალების მხრიდან საბანკო გარანტიის თანხის გამოთხოვის გამო წარმოშობილი დანაკლისის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორების შედაგებას, კერძოდ საბანკო გარანტიის სამართლებრივი თავისებურება გულისხმობს მის არააქსესორულობას პრინციპალს და ბენეფიციარს შორის არსებული ძირითადი მოთხოვნებისგან, ამიტომ კრედიტორი (ბენეფიციარი) ნებისმიერ დროსაა უფლებამოსილი გარანტისგან მოითხოვოს შესრულება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბრის №ას-749-709-2015 განჩინება).

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენის წინაპირობა არ არის ვალდებულების დარღვევის შედეგად ბენეფიციარისათვის ზიანის მიყენება. უფრო მეტიც, ბენეფიციარი, საგარანტიო თანხის მოთხოვნისას, გარანტორის წინაშე არაა ვალდებული, დაასაბუთოს პრინციპალის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების უტყუარობა. ბენეფიციარის მოთხოვნა მოწმდება მხოლოდ საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის კუთხით, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახისა და ხარისხის კვლევა გარანტის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის №ას-1057-2020 განჩინება).

24. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ბაგა-ბალების, როგორც ბენეფიციარების უფლება შპს „ე-ის“ მიერ დაირღვა სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით. პალატა მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მოქმედება საბანკო გარანტიის გამოთხოვის ნაწილში კანონშესაბამისია და არ შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას. პალატის მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა საბანკო გარანტიის თანხების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შპს „ე-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის საფუძველზე, კასატორების მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს საბანკო გარანტიის თანხების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილეს.

25. რაც შეეხება საპროცესო ხარჯის განაწილებას, საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მხარეებს ერთმანეთის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ სარჩელსა და საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებული ნაწილების პროპორციულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 401-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღის“, ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღის“, ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღის“, ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბაღისა“ და ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბაღის“ საკასაციო საჩივარი (არსებითად განსახილველად დაშვებულ ნაწილში) დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 დეკემბრის განჩინება არსებითად განსახილველად დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ე-ის“ სარჩელი მოპასუხეებისთვის საბანკო გარანტიის თანხების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 157,59 ლარის ანაზღაურება;

5. შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 303,48 ლარის ანაზღაურება;

6. შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 408,51 ლარის ანაზღაურება;

7. შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 345,6 ლარის ანაზღაურება;

8. შპს „ე-ს“ ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბაღის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 219,87 ლარის ანაზღაურება;

9. ა(ა)იპ „თბილისის №155 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 270,47 ლარის ანაზღაურება;

10. ა(ა)იპ „თბილისის №80 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 699,84 ლარის ანაზღაურება;

11. ა(ა)იპ „თბილისის №216 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 874,83 ლარის ანაზღაურება;

12. ა(ა)იპ „თბილისის №181 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 773,8 ლარის ანაზღაურება;

13. ა(ა)იპ „თბილისის №62 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 490,71 ლარის ანაზღაურება;

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყევტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge